# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 აპრილი 2000 №65 (1087) | ფასი 50 თეთრი

4 თბილისი იღბლიანი ქალაქია



მანფრედ კალცი, კაცი, რომელმაც თითქმის ყველაფერს მიაღწია

5 ვერონის საქმე

არგენტინელმა ვარსკვლავმა, შესაძლოა, პასუხი აგოს

8 ანამანია

რუსი ლამაზმანის სექსუალური მილიონები



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

გუშინ ქუთაისში: „ტორპედო“ — „არაქსი“ 0:0. გია მეგრელაძე და შირაქ სარიკიანი

## ტორპედო ლუქს!

### 20 ათასიანი განახლებული განათებული და პრეზიდენტის მოწონებული სტადიონი

*ცოტა ხნის წინ საქართველოში კეთილმოწყობილი სტადიონი ალარსად მოგვეძევებოდა. ახლა კი უკვე ცალი ხელის თითებზე ჩამოგვეთვლება. ხუთი წლის წინ განახლებულ ბათუმის „დინამოს“ და ბოლო წლებში პერმანენტულად სარემონტო ეროვნულ სტადიონს ახლახან ქუთაისის „ტორპედოს“ სარბიელიც შეემატა. გუშინ ქუთაისელმა გულშემატკივრებმა და იმერეთის სტუმარმა ედუარდ შევარდნაძემ 1200-ლუქსიანი განათების შუქზე უცქირეს „ტორპედო“ — „არაქსის“ უგოლო მატჩს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მალე ვაკეში „მიხეილ მესხის“ სტადიონის მშენებლობაც დასრულდება, ისღა დაგვრჩენია, კარგი სტადიონების პატრონებმა კარგი ფეხბურთის ხილვაც ვისურვოთ.*

იხილეთ მეორე გვერდი

# ერთი სტამბოლელი მკვლელი ცნობილია

## თურქული პოლიცია მეორის ამოცნობასაც ეშურება

სტამბოლიდან გავრცელებულ ცნობათა თანახმად, მავანმა თურქმა, ალი უმით დემირმა, რომელიც პოლიციამ ხუთშაბათს, ორი ინგლისელი გულშემატკივრის მკვლელობის დროს დააკავა, ალიარა, რომ მსხვერპლს დანა დაარტყა. გამომძიებლები ეჭვობენ, რომ მეორე ლიდსელი ფანის მკვლელი ერთ-ერთია იმ ოთხიდან, რომლებიც დემირთან ერთად შეიპყრეს. ოთხეულის ინტენსიური დაკითხვა გრძელდება.

ამასობაში კი ბრიტანეთის მთავრობიდან გაისმა თურქ გულშემატკივართათვის უცხოეთის სტადიონებზე დასწრების აკრძალვის მოწოდებები, თუმცა ამას პასუხიც მწვავე მოჰყვა:

„თუ ჩვენთან ერთად ქომაგებს არ გამოუშვებენ, მაშინ რა აზრი აქვს თავად ჩვენს წასვლას საპასუხო შეხვედრაზე? ეს საქმისადმი მცდარი დამოკიდებულებაა“ — განაცხადა „გალათასარაის“ პრესმდივანმა თუგაი ვარდარმა, ხოლო კლუბის ოფიციალური პარტნიორის, „დურუ ტურიზმის“ წარმომადგენლებმა ინგლისურ მხარესა და ავიაკომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები არ გააუქმეს. ისინი „ელანდ როუდზე“ 90 ქომაგის წაყვანას ვარაუდობენ.

იხილეთ მეშვიდე გვერდი





მთავარი ეჭვმიტანილი ალი უმით დემირი დაკავებულია





გაინტერესებთ, რას მოგვითხრობს მიხეილ მესხი (ცხადია, გულწრფელად!) ნოდარ ახალკაცზე, კონსტანტინ ბესკოვზე, 300 ათას მანეთ ქრთამზე, დიდ მიშაზე და ბევრ სხვა რამეზე?

გაინტერესებთ, რას ნიშნავს ბემ, ბემ, ბემ! ანუ რა მოსწონს და რა არა უელსელ გრეჰემას ქართულ რაგბიში?

გაინტერესებთ, როგორ ვითარდებოდა საფეხბურთო ტაქტიკა ან რას ამბობს ვლადიმერ სტეფანიაზე ექსკლუზიურ ინტერვიუში მეჯიქ ჯონსონის დუბლიორი დევიდ რიცერსი?

შეიძინეთ

ჟურნალ სარბიელის

მეორე ნომერი,

*რომელიც პირველზე ლარით იაფია და მომდევნო კვირაში იხილავთ ჯიხურებში.*

ფასი 2 ლარი

# ტორპედო ლუქს!

ქუთაისი
7 აპრილი
20 საათი
ტორპედო
13 000 (ტევადობა 20 000)

**ტორპედო 0:0 არაქსი**

საერთაშორისო
ამხანაგური მატჩი

**ტორპედო** (ქუთაისი, საქართველო): ზოიძე, ახვლედიანი, ამისულაშვილი (ხვადაგიანი 46), მახვილაძე (თურმანიძე 83), შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, ვაჩიბერაძე (მაღლაკელიძე 77), მ. ბობოხიძე (დ. ჯანაშია 46), მეგრელაძე, მედოევი (იონანიძე 46)
*სათადარიგო:* ჭანტურია
**არაქსი** (არარატი, სომხეთი): გ. ჰოვანესიანი, აირაპეტიანი, მკრტჩიანი, სიმონიანი (გრიგორიანი 60), ოხოიანი (ნაზარიანი 65), ხაჩატრიანი, ტ. ჰოვანესიანი, დოხოიანი, არა აკოფიანი (სარიკიანი 75), არამ აკოფიანი (არუთინიანი 46), მინასიანი (სარქისიანი 89)
*სათადარიგონი:* დადამიანი; ვოსკანიანი
**გაფრთხილება:** შეყრილაძე (80), ხაჩატრიანი (88)
**მსაჯები:** ლ. მიქელაძე; გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); კ. ბერაძე (სამტრედია)

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

ამ შეჭირვებულ, ზოგჯერ გაუსაძლის ყოფაში კაცს პატარა უხარია და დიდზე ხომ ლაპარაკიც არაა. სამწუხაროდ, ერთიც და მეორეც იშვიათობაა. თუმც ეს იშვიათობა მთლად არაფერს მაინც სჯობს.

არა მგონია, გუშინდელი დღე ოდესმე დაავიწყდეთ ქუთაისელ ფეხბურთის მოყვარულთ. წინა „სარბიელშიც" გაუწყეთ, ლამაზი სანახაობა უნდა შემდგარიყო 7 აპრილის საღამოს ქალაქის მთავარ სპორტულ არენაზე.

დიდ საქმეს მოჰკიდა შარშან ხელი კლუბ „ტორპედოს" გენერალურმა სპონსორმა, ფირმა „არგომარ ოილმა" და აჰა, 43 წლის წინათ აშენებული სტადიონის გალამაზება-გაკოხტავება თითქმის დასრულდა. რამდენიმე დღის წინ იყო, მთლიანად შეიმოსა ინდივიდუალური სკამებით მისი ტრიბუნები, უნიკალური, თანაც ისეთი, ყოფილ საბჭოეთში მხოლოდ „ლუჟნიკის" სტადიონს რომ გააჩნია, 1200 ლუქსის სიმძლავრის პროჟექტორები აკაშკაშდა გამოსაცდელად და... განახლებული სტადიონის პრეზენტაციად მოინათლა გუშინდელი ღონისძიება, რომლის ორგანიზატორებიც უამრავ მაყურებელთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დასწრებასაც მოელოდნენ. ასეც მოხდა.

სკამებიც კარგია, პროჟექტორებიც, მაგრამ მთავარი მაინც მატჩი იყო.


ნორიკ ოხოიანი (მარცხნივ) და კახაბერ ჩხეტიანი

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

თუმც ამხანაგური. ქუთაისის „ტორპედომ" ხომ სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, 40-ათასიან ქალაქ არარატის „არაქსი" გამოიწვია გასაჯიბრებლად.

სტუმარი გუნდი რომ ხელწამოსაკრავი არ გახლდათ, მისი ბოლოდროინდელი წარმატებებიც მეტყველებს. 1998 წელს „ცემენტი" (ასე ერქვა „არაქსს" წლევანდლამდე) ქვეყნის ყველა უმაღლეს ჯილდოს დაეუფლა — ჩემპიონობა, თასი და სუპერთასი არავის დაუთმო. შარშან „არაქსმა" ჩემპიონატის ბრინჯაო და ქვეყნის თასი შეირგო, ხოლო ერთი თვის წინ დაწყებულ სომხეთის ახალ ჩემპიონატში ისევ ოქროს უმიზნებს.

სასტარტო ორ ტურში „არაქსმა" დებიუტანტ „მიკას" და „კილიკიას" სძლია და გიუმრის „შირაქთან" ერთად გათამაშებას ლიდერობს.

„არაქსის" მთავარ მწვრთნელად ერევნის „არარატის" ყოფილი მოთამაშე სამველ პეტროსიანი დაინიშნა. მან ვარუჟან სუკიასიანი შეცვალა, რომელიც სომხეთის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში.

„არაქსს" რომ სერიოზული მიზნები აქვს, ისიც მოწმობს, რომ გუნდმა ადრე რუსეთში მივლინებული ორი ფეხბურთელი დაიბრუნა — ვლადიკავკაზის „ალანიას" ყოფილი თავდამსხმელი არა აკოფიანი და მოსკოვის „ტორპედოსა" თუ სამარის „კრილია სოვეტოვში" ნათამაშევი მცველი არტურ მკრტჩიანი. ამათ გარდა „არაქსის" შემადგენლობაში ჩვენთვის ნაცნობი ორი მოთამაშე აღმოვაჩინეთ. კარენ სიმონიანი და რაფაელ ნაზარიანი. ესენი შარშანწინ ერევნის „ერებუნიში" იყვნენ და ითამაშეს კიდეც „ტორპედოს" წინაალმდეგ ინტერტოტოზე.

კერკეტი კაკალი გამოდგა ქუთაისელთათვის სომხური გუნდი. დავით ყიფიანმა ჯერ ექსპერიმენტული შემადგენლობით სცადა სტუმართა წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმში მოედანზე ტორპედოელთა ლიდერებიც გამოჩნდნენ. თუმც ვერც მათ დააშინეს სტუმართა მყარი დაცვა. ეს კი არა, „არაქსს" ცოტა იღბალი რომ დაჰყოლოდა, ქუთაისიდან გამარჯვებული წავიდოდა. სომხებს „ტორპედოს" კარის აღების ორი მეტად ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ: ნაზარიანის სახიფათოდ დარტყმული ზოიძემ გააუვნებლა, ტიგრან ოგანესიანის დარტყმისას კი მასპინძლები ხარიხამ იხსნა.

— ვიცით, რომ „ტორპედოს" 5 აპრილს საქართველოს ჩემპიონატის ძნელი მატჩი ჰქონდა და გუნდი გადაღლილი იყო. არც ჩვენ ვიყავით უკეთეს დღეში. ერევნიდან ჩამოსვლას 15 საათი მოვანდომეთ. ავტობუსმა გვიმუხთლა გზაში. მართალია, ამხანაგური თამაში იყო, მაგრამ ჩვენ მას პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებდით. შედეგმა დამაკმაყოფილა — გვითხრა თამაშის შემდეგ არაქსის" თავკაცმა სამველ პეტროსიანმა.

ეს თამაშის შემდეგ...

თამაშის დამთავრებამდე სამიოდე წუთით ადრე კი მსაჯის გადამეტებულ დროში სტადიონის შეთხელებული აუდიტორია (მეორე ტაიმში კოკისპირულად გაწვიმდა) მატჩს შემოსწრებულ საქართველოს პრეზიდენტს მიესალმა. ედუარდ შევარდნაძე საარჩევნო კამპანიის ბოლოსწინა დღეს იმერეთს სტუმრობდა.


არა აკოფიანი (მარცხნივ) და ბადრი ახვლედიანი

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

# საქართველომ ევროპა და აფრიკა მოინადირა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთშია საერთაშორისო ტურნირზე. მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ თავისი შეგირდები ჰავრში 4 აპრილს ჩაიყვანა. დაბინავებისა და პირველი ვარჯიშის შემდეგ ქართველებმა ტურნირის გახსნის ცერემონიალში მიიღეს მონაწილეობა და ორგანიზაციული საკითხებიც გაარკვიეს.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში ტაიმთა ხანგრძლივობა 30 წუთია.

საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ ჩვენებურებმა ჯგუფში თავიანთი მეტოქეების ვინაობაც საბოლოოდ გაარკვიეს (რატომღაც აღარ ეგონათ, აფრიკულ გუნდთან თუ მოუწევდათ თამაში). ჩვენების მოწინაალმდეგეები ბრაზილია, დანია და ალჟირი ყოფილან.

გუშინწინ ხურცილავას ბიჭები პირველ მატჩში სწორედ აფრიკელებს დაუპირისპირდნენ, მეტოქისთვის გასაქანი არ მიუციათ და დიდი უპირატესობაც მოწინააღმდეგის კარში გატანილი სამი უპასუხო გოლით გამოუხატავთ. ვალერი გაგუას დუბლი გაუხერხებია, ერთხელ გია იმედაძეს გამოუსწორებია თანაგუნდელის შეცდომა, გაცუდებული პენალტის შემდეგ პირველი ბურთთან სწორედ გია გაჩენილა და ალჟირელთა კარი დაულაშქრავს.

გუშინ ქართველებმა მეორე გამოცდაც ფრიადზე ჩააბარეს. ამ ჯერზე დანიელი თანატოლები დაჩაგრეს ცეზარ ხუროძის გოლის წყალობით და ახლა ბრაზილიელებთან შეხვედრის მოლოდინში არიან, რომელთაც დღეს, ჩვენი დროით საღამოს 8 საათზე ეთამაშებიან.

ბრაზილიამ თავის მხრივ ჩვენებურებს სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. ყველასთვის მოულოდნელად, სამხრეთ ამერიკელებმა ალჟირთან წააგეს და ჯგუფიდან რომ გააღწიონ, ამისთვის ქართველების დიდი ანგარიშით განადგურება მოუწევთ, რაც ნაკლებსავარაუდო გვგონია.

მეორე ჯგუფში პირველობას ხორვატები და ბოლივიელები ეცილებიან ერთმანეთს. ამათი ბედიც თურმე ხვალ, ერთურთთან ჭიდილში გაირკვევა.

მთელი ეს ინფორმაცია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა დავით ნამგალაძემ მოგვაწოდა, რომელსაც საფრანგეთში წუხელ შევეხმიანეთ.

ნამგალაძემ ისიც გვითხრა, თითქმის ყველა თამაში ვნახე და ჩვენებზე უკეთესი არც ერთია. ტექნიკური დირექტორი ნახევარფინალში გასვლას დაგვპირდა, მერე კი ვნახოთო.

თუ როგორ განვითარდება მოვლენები და რა შედეგს მოიმკის ხურცილავას სამწყსო, ამას მომდევნო „სარბიელში" გამცნობთ.

**მამუკა ქვანტალიანი**


საქართველოს ახალგაზრდულმა გუნდმა, ლოკომოტიველი ცეზარ ხუროძის (№10) გოლით, გუშინ დანიელ თანატოლებს მოუგო

# აღმასკომი მეშვიდედ შეიკრიბება

19 აპრილს სფფ-ის ოფისში გაიმართება სფფ აღმასკომის რიგით მეშვიდე სხდომა. როგორც ქართული ფეხბურთის საფიხვნოდან გვაცნობეს, სხდომაზე მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, თუმც დაწვრილებით მათი გამხელისგან თავი შეიკავეს.

სხდომა შეიძლებოდა ცოტა ადრეც ჩატარებულიყო, მაგრამ ათიდან თოთხმეტ აპრილამდე სფფ-ის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ბაქოში ვიზიტს გეგმავენ და ამდენად, აღმასკომის შეკრებაც ჩვენი ფეხბურთის წარჩინებულ პირთა აზერბაიჯანის დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ გაიმართება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# მწვრთნელებო, გინდათ ჰოლანდიაში? ისწავლეთ ინგლისური!

ორშაბათს, 10 აპრილს დღის ორ საათზე სფფ-ში ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტის უფროსი ლევან ყიფიანი გამართავს პრესკონფერენციას, რომელზეც სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ჰოლანდიაში გასამართი მწვრთნელთა პროგრეს-კურსების შესახებაც გაიჟღერებს. ამდენად, პრესკონფერენციამ არა მარტო მასმედიის, ქართველ მწვრთნელთა გილდიის ინტერესიც შეიძლება გამოიწვიოს.

კონკრეტულად „ჰოლანდიურ მოთხოვნებზე" უშუალოდ პრესკონფერენციაზე ითქმება, მაგრამ როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ერთ-ერთი მოთხოვნათაგანი ინგლისურის ცოდნა და ვარჯიშის ინგლისურად ჩატარების გამოცდილებაა. და რამდენი ქართველი მწვრთნელი შეძლებს ამას, ნამდვილად ვერ გეტყვით.

თუმცა დასათვლელად რომ ცალი ხელის თითებიც გვეყოფა, ნაღდია.

**ლუკა თალაკვაძე**

# მორიგი საფეხბურთო მზაკვრობა თურქეთში

## ექიმებმა კი კვალიფიკაცია უნდა აიმაღლონ



ვლადიმერ გუცაევი და გიორგი კიკნაძე: რა ხდება?!

ბადრი ქათამაძის ფოტო

სარფის საბაჟოს გახსნის დღე დაიქცა. მას შემდეგაა, ყოფა ეტირა საქართველოს ეკონომიკას და სპორტსაც, სხვათა შორის. დაჰქროლა ახალმა სიომ, კომუნისტური რელსებიდან ეგრევე, ყოველგვარი შეკრებების გარეშე დემოკრატიული ქვეყნების მარაქაში გარევა მოვინდომეთ და „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, იმისი არ იყოს, თურქეთთან დაძმაკაცებით (ჩაყარდაშებით, რა) ვცდილობთ ეკონომიკის (და სპორტის) აყვავებას.

შენებისა რა მოგახსენოთ (ჯერჯერობით სიყვარულმა ჩვენთვის ვერ მოიცალა და მარტო თურქეთს აშენებს), არც ეკონომიკაზე გვეთქმის ბევრი (არ გვესმის, ბატონო), მაგრამ ერთ სპორტულ ამბავზე მოგითხრობთ და ანალიზი მკითხველისთვისაც მიმინდვია.

საქმე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელის, გიორგი კიკნაძის ტრანსფერს ეხება. როგორც იცით, გიორგი თბილისიდან სამსუნს გაემგზავრა და იქაურ „სამსუნსფორთან“ ხელშეკრულებაც გააფორმა.

მოგეხსენებათ ისიც, რომ თურქები ფულს წყალში კარგა ხანია, აღარ ყრიან და რახან კიკნაძეში თანხა გადაიხადეს, ალბათ, ულირდათ კიდეც. თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა — ფეხბურთელი ნელ-ნელა ერგებოდა „სამსუნსფორის“ სათამაშო სქემას და ის იყო, ძირითადში სტაბილურად თამაში უნდა დაეწყო, დაშავდა.

წელის ტკივილი წელის ტკივილია და თითქოს ადვილადაც სამკურნალო — იქნებ ზურგის კუნთი დაეჭიმოს სპორტსმენს ან დაცემისას დაიჟეჟოს, ანაც სხვა ამგვარი მიკროტრავმა მიიღოს. ეს ყოველივე ადვილად იკურნება-ხოლმე და ტკივილიც ჩვეულებრივ ერთი-ორი კვირის მეტი არ გრძელდება. კიკნაძის შემთხვევაში სხვაგვარად წავიდა საქმე — წელის ტკივილი თამაშისა და ვარჯიშის საშუალებას არ აძლევდა ჩვენებურს, ექიმებიც გადაჭრით ვერაფერს ეუბნებოდნენ და გიორგიც სათამაშო პრაქტიკის გარეშე რჩებოდა.

თბილისში თავის ავადმყოფობაში უკეთ გასარკვევად ჩამოსულ გიორგი კიკნაძეს ქართველმა მკურნალებმაც იგივე დიაგნოზი დაუსვეს, რაც თურქებმა — სამწვერა თუ რომელიღაც ნერვის ანთება. უსაშველო არც ეს არის, ნერვის ანთების მკურნალობაც ადვილად შეიძლება და ცოტა ხანში კიკნაძე ვლადიკავკაზის „ალანიას“ გაჰყვა კვიპროსულ შეკრებაზე.

„ალანია“-კიკნაძის ურთიერთობა ცალკე ყურადღებას იმსახურებს. ოსურ კლუბში ვლადიმერ გუცაევის მისვლის შემდეგ კიკნაძეც იმ ქართველ ფეხბურთელთა შორის მოხვდა, ვინც მომავალი „ალანიას“ დაუკავშირა და რახან თურქული მხარე მხოლოდ იმ თანხის კომპენსაციას ითხოვდა, რაც გიორგის ტრანსფერზე დაეხარჯა, თითქოს პრობლემა აღარ უნდა წამოჭრილიყო. მით უმეტეს, ვლადიმერ გუცაევმა დაარწმუნა კიკნაძე, რომ ვლადიკავკაზური კლუბი გადაიხდიდა იმ თანხას, რასაც თურქები ითხოვდნენ.

თუ სადმე სამართალია, ჩვენებურის ცოდვა თურქული ჩემპიონატის ფსკერზე დაძირავს „სამსუნსფორს“, ამ გუნდის მესვეურები კი უარესის ღირსნიც არიან. ფეხბურთელი და ფეხბურთი ტრავმის გარეშე, აბა, ვის გაუგია და როცა შენი გუნდის მოთამაშე ტრავმას იღებს, მას უნდა უმკურნალო კიდეც. მკურნალობის ხარჯებს ვინ დაეძებს, გიორგის საკონტრაქტო თანხა და ხელფასიც არ გადაუხადეს და უფულოდ სამსუნში ჯდომას რომ საქართველოში წამოსვლა არჩია ავადმყოფმა ფეხბურთელმა, ესეც გასაგები უნდა იყოს.

და მაინც, „ალანიაში“ უნებართვოდ არ გადაბარგებულა კიკნაძე. მან საქმის კურსში შეიყვანა თურქული მხარე, ნებართვა და თანხმობა აიღო მათგან და ამის შემდეგლა ეწვია გუცაევის სამწყსოს. „ფულს გადავიხდით“ — ერთხელაც დაარწმუნა იგი ბატონმა ვოვამ და კვიპროსული შეკრებაც ამის მერე იყო.

ტკივილი კვიპროსზე მეტად გაუძლიერდა გიორგის და რადგან სხვა საშველი აღარ იყო, ფეხბურთელმა თბილისის თოდუას სახელობის სხივური დიაგნოსტიკისა და ინტერვენციის კლინიკას მიაშურა. დიაგნოზი აქამდელი საექიმო დასკვნებისგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა — კიკნაძეს ნეკნის ძვალი საკმარისზე მეტად გამოსწეოდა და ბუნებრივია, მკურნალობის კურსიც განსხვავებული სჭირდებოდა.

მანუალური თერაპია, ანუ უსისხლო ოპერაცია ხანგრძლივი არ ყოფილა, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება და ფეხბურთელს მოსამჯობინებლად კიდევ თვენახევარი დასჭირდება. ასე დაეკარგა დრო გიორგის ექიმთა არაკვალიფიციურობის გამო.

რაც შეეხება კონტრაქტს „ალანიასთან“, იგი ჯერაც არ შემდგარა. არა, გუცაევს უარი არ უთქვამს, მაგრამ ჩვენებურის სატრანსფერო ფურცელი ჯერაც თურქეთშია და მანამ არ ჩამოვა საქართველოში, სანამ თურქები დაპირებულ თანხას არ მიიღებენ.

საქმეში სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც ჩაერია. ფაქსით შეუთვალა „სამსუნსფორის“ მესვეურებს, სატრანსფერო ფურცელი „ალანიაში“ კი არა, თბილისში, სსფ-ს ოფისში გამოგვიგზავნეთო.

როგორც კიკნაძის ახლობლებმა „სარბიელს“ აცნობეს, ტრავმა ერთი ჭირია და მას სატრანსფერო გაუგებრობაც ზედ დაერთო — გუცაევი ირწმუნება, რომ თანხა გადახდილია, თურქები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, ფეხბურთელმა კი ბევრიც ვერაფერი გაიგო.

თუმცა ახლა მთავარი გიორგი კიკნაძის მალე გამოჯანმრთელებაა. მკურნალობის შემდეგ რეაბილიტაცია ნორმალურად მიმდინარეობს და ვინძლო როცა გიორგი ფეხზე წამოდგება, სატრანსფერო აბრაკადაბრაც მოგვარებული იყოს.

ჩვენი მხრიდან ერთსაც დავამატებთ ამ ყოველივეს — თურქული საფეხბურთო ექსცესები საკმაოზე მეტად მოგვიმრავლდა ამ ბოლო ხანს და სხვა თუ არაფერი, ვაგრძნობინოთ მაინც, რომ ფეხბურთს საქართველოშიც მინდორზე თამაშობენ და ჭურში არა.

არა მგონია, არსებობდეს კონტრაქტის ფორმა, რომელშიც კლუბი საკუთარი ფეხბურთელის მკურნალობაზე უარს აცხადებდეს, როგორც ეს „სამსუნსფორმა“ გააკეთა.

ვფიქრობთ, პასუხია მოსათხოვი, მაგრამ ამას გიორგი კიკნაძე ვერ ეყოფა. ამ შემთხვევაში კიკნაძე მარტოკაცია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ქართველები რუსეთში აღარ ფასობენ

## ჩვენებურები მოლდოველების, ლიტველებისა და სომხების კონკურენციას ვერ უძლებენ

ამ უქმეებზე რუსეთში პირველი დივიზიონის გათამაშებაც დაიწყება. ქართველები აქ მხოლოდ ხუთ გუნდს წარმოადგენენ. უმაღლესი დივიზიონიდან დაქვეითებულ, დაშლის პირას მყოფ სოჭის „ჟემჩუჟინას“ კვლავ დაუბრუნდა ვეტერანი გოჩა გოგრიჭიანი. ქართველი ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივმა“ გაუშვა. სოჭელებს შეკედლა ასტრახანის „ვოლგარიდან“ გათავისუფლებული გერონტი ფრუიძეც. იქვეა აფხაზეთის წარმომადგენელი ვინმე კვარაცხელია. „ვოლგარმა“ ამასობაში ექსმერანელი ბახვა ამბიძე აიყვანა. სარატოვის „სოკოლში“ დარჩა მიხეილ ჯიშკარიანი, ხოლო ძმები გიზო და ზვიად ჯელაძეები „სოკოლიდან“ გივი ნოდიას პეტერბურგის „ლოკომოტივში“ გადაბარგდნენ. სულ ეს არის — ექვსი ქართველი, რომელთაგან ხუთი რუსეთში კარგა ხანია, თამაშობს. ახალბედა მხოლოდ ბახვა ამბიძეა.

უკეთესი სიტუაცია არც უმაღლეს დივიზიონშია. ქართველები იქ, ისევ და ისევ პროქართული ორიენტაციის ვლადიკავკაზის „ალანიისა“ და კლუბის მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის მეშვეობით ინარჩუნებენ წონას. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგივე „ალანიას“, მთავარი მწვრთნელი თბილისელი რომ არ ჰყოლოდა, ყურადღება მიეპყრო თუნდაც მიხეილ ფოცხვერიას, გიორგი კიკნაძისა და გიორგი ანჩაბაძისთვის, რომლებიც ბოლო დროს პრაქტიკულად უთამაშებლები იყვნენ.

ამჟამად რუსეთის უმაღლეს დივიზიონში თერთმეტი ქართველი გამოდის. ერთადერთი სიახლე 2000 წელს ისაა, რომ ვლადიმერ კაკაშვილი მოსკოვის „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა. თუმცა „ლოკომოტივს“ ამ ფეხბურთელში კაპიკი არ გადაუხდია, მას კონტრაქტი გაუფორმა და თავის ფარმ-კლუბ „ლოკომოტივი 2“-ში დაამტკიცა. დებიუტანტ მახაჩყალის „ანჟიშიც“ თავიდან რამდენიმე ქართველი ისინჯებოდა, მაგრამ საბოლოოდ კლუბმა ისევ ალეკო გოგობერიშვილის დატოვება გადაწყვიტა. ასევე საყურადღებოა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარის დავით ხმელიძის ტრანსფერი „ჟემჩუჟინიდან“ „როსტსელმაშში“, თუმცა აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ეს მოთამაშე რუსული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. სხვა კლუბები ქართველებით არ დაინტერესებულან.

ერთი სიტყვით, ჩვენი თანამემამულეები ჩრდილოეთ სამეზობლოში სულ უფრო ნაკლებად ჩნდებიან. რას ნიშნავს ეს? 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც საქართველომ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება დაიწყო, რუსეთის ჩემპიონატი ქართველების მთავარი ნავსაყუდელი გახლდათ. სწორედ იქ იმაღლებდნენ ჩვენებურები სათამაშო კლასს და იქვე ამჩნევდნენ მათ დასავლური კლუბები. სხვა, უფრო მაღალი კლასის ჩემპიონატს რომ ავსებდნენ ისინი, რა თქმა უნდა, პროგრესზე ვილაპარაკებდით. ამ შემთხვევაში კი სახეზე აშკარა რეგრესია.

ქართველი ფეხბურთელი რუსეთში აღარ ფასობს. ჩვენები სულ უფრო ნაკლებად იქცევენ რუსული კლუბების ყურადღებას, ვერც იმ კონკურენციას უძლებენ, რომელიც რუსეთის ბაზარზე მძვინვარებს. ამჟამად რუსეთის უმაღლეს დივიზიონში 107 ლეგიონერია. ტრადიციულად მყარი პოზიციები უკავიათ უკრაინისა (30 ფეხბურთელი) და ბელარუსის (17) წარმომადგენლებს. ქართველებს თანდათან ავიწროებენ მოლდოველები, ლიტველები და სომხები. ისინი წლეულს აშკარად მომრავლდნენ, განსაკუთრებით რუსეთის პირველ დივიზიონში, რაც იმის წინაპირობაა, რომ სამომავლოდ უმაღლესდივიზიონელებსაც დააინტერესებენ. რუსული კლუბების ახალ სატრანსფერო პოლიტიკაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ყაზახეთისა და უზბეკეთის რუსი წარმომავლობის ფეხბურთელთა მიგრაციაც რუსეთში. შორეული საზღვარგარეთიდან კი ყველაზე მეტი კვლავაც ბრაზილიელები არიან, როგორც პირველ, ისე უმაღლეს დივიზიონში მეტ-ნაკლებად იკლო ინტერესმა აფრიკელთა მიმართ, სამაგიეროდ, დიდია მოთხოვნა სერბებზე, ხორვატებზე, რუმინელებსა და ბულგარელებზე.

ტენდენცია, რომელიც 2000 წელს აშკარად გამოიკვეთა, მიანიშნებს, რომ ქართველები რუსეთში კიდევ უფრო დაკარგავენ ფასს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ სულ უფრო მეტი ჩვენებური მიეშურება მოლდოვაში, უკრაინასა და ლატვიაში, იმ ქვეყნებში, რომლებიც ზრდიან წამყვანი ფეხბურთელების ექსპორტს რუსეთში. ჩვენ ნელ-ნელა ვთმობთ ადგილს პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესო საფეხბურთო ბაზარზე და ვიდევნებით იქ, საიდანაც ნორმალურ დასავლურ გუნდში გადასვლა გაცილებით რთული იქნება.

**სიმონ მენაბდე**




# სოლოღაშვილი თბილისში დაბრუნდება

ბოლნისური „სიონის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობის (ქვემოქართლელები ზედიზედ ორჯერ დამარცხდნენ ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში) ერთ-ერთი მიზეზი ამ კლუბის წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებიცაა. ამას საგონებელში ჩაუგდია „სიონის“ მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე — ბათუმში, პელთხე ტურის კალენდარული მატჩის წინაც მისი კლუბი ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ხუთი ფეხბურთელის გარეშე დარჩა. ბოლნისელთა მთავარი საწუხარი კი მენისკია. სწორედ ამ მიზეზით ვერ თამაშობს დღესდღეობითაც გუნდის დაცვის ბურჯი არჩილ შაკიაშვილი, მენისკის ოპერაცია გაიკეთა ამასწინათ „სიონის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით სოლოღაშვილმაც. ეს ფეხბურთელი ყველაზე მეტად აკლიათ ქვემოქართლელებს, რადგან მოედნის ცენტრალურ ხაზში თამაშის მომწესრიგებელი, სოლოღაშვილის დარი ფეხბურთელი დღეისათვის არ ჰყავს არჩვაძის გუნდს.

სოლოღაშვილის ოპერაცია ქირურგთა წყალობით თავის დროზე წარმატებული იყო და დათომ სარეაბილიტაციო კურსი უმტკივნეულოდ და გათვალისწინებულ დროში გაიარა. იგი გუნდთან ერთად ვარჯიშს ორშაბათიდან შეუდგება, მეექვსე ტურში კი, 14 აპრილს, თბილისში, „დინამოსაც“ ურთულეს მატჩში დაუპირისპირდება.

მოკლედ, სოლოღაშვილი „სიონს“ თბილისში შეუერთდება, რაც შეეხება მის თანაგუნდელ არჩილ შაკიაშვილს, ქვემოქართლელთა ექსკაპიტანს მკურნალობის კურსი ჯერაც არ დაუსრულებია და საეჭვოა, იგი გუნდსა და სარბიელს ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე დაუბრუნდეს.

**პაატა კვანტალიანი**

# თბილისი იღბლიანი ქალაქია


ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

2000 წლის 6 აპრილი. მანფრედ კალცი „შერატონში“


სარბიელის არქივიდან

1979 წლის 6 ნოემბერი. მანფრედ კალცი თბილისში

*მანფრედ კალცი. „ჰამბურგი“. მწარე მოგონება. კარგი დასაწყისი და ცუდი დასასრული. გერმანელთა დიდებული მარჯვენა მცველი. დიდებული ყველანაირად – აღნაგად, კლასით, სტილით, რით გსურთ, რომ არა.*

*მას შემდეგ თითქმის ოცდაერთი წელიწადი გავიდა – ოცდაერთი საფეხბურთო სეზონი. და მანფრედ კალცი კვლავ თბილისშია. სხვა დროა, სხვა ხალხი ტრიბუნაზე. ნახევარმაც არ იცის, არ ახსოვს, არ უნახავს, არ გაუგია მის შესახებ. ვებ ძველი კადრებითაც ვერ იცნო – აღარც წვერი აქვს, აღარც სისხარტე შერჩენია, ეგ არის, ბურთთან აღრინდებულად შეხმატკბილებულია. ქველმოქმედება? მოვალეობა? საპრეზიდენტო არჩევნები? არც ერთი ამათგანი არ გახლავთ მთავარი. მთავარი ფეხბურთია და კიდევ მოგონებები. კალცი მარტო „ჰამბურგის“ და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი როდია ჩვენთვის, კალცი ქართული ფეხბურთის ისტორიის ერთი ნაწილია, ვებ არცთუ ვარდისფერი თავისი ფლანგური გარღვევებითა და ჩვენს კარში ჩაჭრილი ბურთით, აბეზარი ჩაწოდებებითა და ორი დასანანი მარცხით.*

*მაგრამ დრო მკურნალია. დრო ცუდ მოგონებებსაც ტკბილად გარდაქმნის-ხოლმე (ამაშია მისი დიდებულება) და აჰა, ტკბილ-მწარე წარსულიც – მანფრედ კალცი. თავიდან იუარა ინტერვიუ. მერე, მატჩის შემდეგ „მეტეხში“ მოვიხელთეთ და აღარ დაგვზარდა.*

*საუბარიც „დინამო“ – „ჰამბურგის“ ჩემპიონთა თასის მერვედფინალური შეხვედრებით დავიწყეთ.*

— თავად მატჩები ბუნდოვნად მახსოვს. მატჩის წინ ჩვენი ქომაგები ერთობ ნერვიულობდნენ, თქვენი გუნდის ძალა კარგად იცოდნენ, თუმცა ეს დაძაბულობა ჩვენ არ გადმოგვდებია. ორივე შეხვედრა კი მოვიგეთ, მაგრამ „დინამოს“ სიძლიერეშიც დავრწმუნდი, ძალიან დაძაბული მატჩები იყო. მაშინ „ჰამბურგი“, თამამად შემიძლია ვთქვა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იყო.

**— თქვენ თბილისში უკვე მეოთხედ იმყოფებით, ერთი უკვე ვთქვით, მერე კი ჯერ გერმანიის ნაკრებს ჩამოჰყევით საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ, მერე კი „ჰამბურგის“ ფორმით კიევის „დინამოს“ დაუპირისპირდით...**

— არც ეს მატჩები მახსოვს კარგად, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თბილისში ჩემი ყველა სტუმრობა წარმატებით დასრულდა. იღბლიანი ქალაქია. თქვენი გუნდი 3:2 დავამარცხეთ, საბჭოთა კავშირის ნაკრები 3:1, კიევის „დინამო“ კი 3:0. ახლაც გამარჯვებული მივდივართ აქედან, თუმცა ეს იმ შეხვედრებთან რა მოსატანია.

**— ახლა ცოტა თქვენი კარიერის შესახებაც გვითხარით. როდის დაიწყეთ თამაში?**

— ფეხბურთი პატარაობიდანვე შემიყვარდა. ჯერ საფეხბურთო სკოლაში დავდიოდი, მერე კი „ჰამბურგის“ ძირითად გუნდში მიმიწვიეს. მაშინ უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი თავს. სულ კი მთელი ჩემი კარიერა ორ კლუბს შევალიე, „ჰამბურგის“ შემდეგ ერთხანს ფრანგულ „ბორდოში“ ვთამაშობდი, თუმცა მთელი ჩემი სასიამოვნო მოგონებები ჰამბურგულ პერიოდს უკავშირდება.

**— თქვენ რამდენიმე ჩინებული მწვრთნელის ხელმძღვანელობით გითამაშიათ. მათ შორის ვის გამოარჩევდით?**

— მართალაც დიდი მწვრთნელების ხელში გამოვიარე. მათგან უდავოდ ჰელმუტ შიონს გამოვყოფდი. იგი არამარტო გამორჩეული მწვრთნელი იყო, პიროვნებაც ბრწყინვალე გახლდათ. იუპ დერვალიც ძალიან ძლიერი სპეციალისტი იყო, მისი ხელმძღვანელობით 1980 წელს ევროპის ჩემპიონებიც გავხდით, თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, პირველ ადგილზე მაინც შიონს დავაყენებ.

**— თქვენ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე გითამაშიათ, 1978 წელს არგენტინაში და 1982 წელს ესპანეთში. 1978 წლის ჩემპიონატში თითქმის ფიასკო განიცადეთ, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდი ნახევარფინალურ ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონატს გამოეთიშა.**

— ფიასკო ცოტა გადამეტებული სიტყვაა. უბრალოდ, 1974 წლის ფონზე აშკარად სუსტად გამოვედით. ისე, ჰოლანდიასაც და იტალიასაც ფრედ ვეთამაშეთ, ბოლო შეხვედრა აუტსაიდერ ავსტრიელებთან რომ მოგვეგო, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდოდით, მაგრამ 2:3 წავაგეთ. კატასტროფული არაფერი ყოფილა.

**— ესპანეთს კი ევროპის ჩემპიონის რანგში ეწვიეთ და ქომაგები პირველივე შეხვედრაში გააწბილეთ — სუსტ ალჟირის ნაკრებთან 1:2 დამარცხდით, ბოლო მატჩიც წააგეთ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი. ფინალში იტალიამ 3:1 გაჯობათ, რა მოხდა?**

— რა მოხდა? არაფერი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავედით. ეს რა, ცოტას ნიშნავს? ფინალი კი ფინალია და იქ რა მოხდება, არავინ იცის. მეტოქეც არანაკლებ ძლიერი გვყავდა. ვისაც გაუმართლებდა, ის გაიმარჯვებდა, სამწუხაროდ, ფორტუნამ იტალიელებს გაუღიმა და თასიც მათ დარჩათ. ალჟირთან მატჩში კი საგანგაშო არაფერი მომხდარა, ასეთი რამ ყველას ემართება.

**— ამ ორ მსოფლიოს ჩემპიონატს შორის კი იყო ევროპის ჩემპიონატი და გერმანიის ნაკრების ტრიუმფი.**

— ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. იმ დროს ნაკრებმა თავის პიკს მიაღწია. გუნდის წამყვანი ფეხბურთელები — შუმახერი, ალოფსი, რუმენიგე, ჰრუბეში და სხვები საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდნენ. ამას დაუმატეთ მწვრთნელი იუპ დერვალი და ყველაფერი გასაგები იქნება.

**— მაშინ მართლაც კარგი გუნდი გყავდათ, ახლა კი ასეთი კრიზისი გერმანიის ნაკრებს არასოდეს ჰქონია.**

— მართალი ხართ, ნაკრები თავის თავს აღარ ჰგავს, ძალიან დასუსტდა, თუმცა ეს გასაგებიცაა. გუნდი ძალიან ძლიერმა თაობამ დატოვა, თაობამ, რომელმაც გერმანიას 1990 წელს მესამე მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა. კლინსმანის, ფიოლერის, ბრემეს, ბუხვალდის, ბერთოლდის და სხვების ფეხბურთიდან წასვლამ ნაკრებს, ცხადია, თავისი კვალი დააჩნია. მათი შემცვლელები კი ჯერაც არ ჩანან.

**— რატომ? განსხვავებით ახლანდელისაგან გერმანიას ნიჭიერი ახალგაზრდები არასდროს აკლდა...**

— ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ბუნდესლიგაში წამყვან ფეხბურთელთა უმეტესობა უცხოელია. ლეგიონერთა სიმრავლის გამო ახალგაზრდებს გაზრდის, ჩამოყალიბების გზა მოეჭრათ. ფეხბურთელი მინდორზე უნდა ჩამოყალიბდეს, ყმაწვილს მოედანზე გასვლის საშუალება არ უნდა წაართვა. თუ არ ითამაშე, ვერც კლასს აიმაღლებ და ვერც გამოცდილებას შეიძენ, სკამზე ჯდომით ფეხბურთელი ვერ გახდები.

**— თქვენ ყოველთვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდით, მცველი იყავით, ამპლუის გამოცვლა არ გიცდიათ?**

— არა. თავიდანვე მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდი და ისე შევეჩვიე, სხვაგან თამაში არც მიფიქრია. მწვრთნელებსაც არ უცდიათ ექსპერიმენტების ჩატარება, რადგან გუნდისთვის დიდი სარგებლობა მომქონდა.

**— როგორც ფეხბურთელს, რა ნაკლი გქონდათ?**

— მიჭირს ნაკლზე საუბარი. ალბათ მაინც მარცხენა ფეხით თამაში, თუმცა ამ ნაკლის გამოსწორებას ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობდი. შეიძლება ითქვას, აღმოვფხვერი კიდეც. ისე კი ნაკლს სხვა უფრო შემამჩნევდა. მე, თუ გაინტერესებთ, ჩემს დადებით მხარეზე გეტყოდით.

**— ცხადია გვაინტერესებს.**

— უპირველეს ყოვლისა, სისწრაფე. წეღან რომ აღვნიშნე, თავიდანვე ფლანგზე ვთამაშობდი და ამპლუის გამოცვლა არც მიფიქრია-მეთქი, სწორედ სისწრაფის გამო. ჩემთვის სისწრაფის აკრეფა, შეტევაში გადასვლა და რამდენიმე კაცის მოტყუება პრობლემა არასოდეს ყოფილა. ასეთ რამეებს კი ხშირად ზუსტი ჩაწოდება და გოლი მოსდევდა. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა.

**— თბილისის „დინამოსთან“ ჰამბურგში გამართულ შეხვედრაში ამგვარი რამ სამჯერ გააკეთეთ, სამივე გოლი სწორედ თქვენი ჩაწოდების შემდეგ გავიდა...**

— სამწუხაროდ, კარგად არ მახსოვს.

**— მოედანზე ყველაზე კარგად ვის უგებდით?**

— „ჰამბურგში“ ჰორსტ ჰრუბეში გახლდათ ჩემი საუკეთესო პარტნიორი, გერმანიის ნაკრებში კი კარლ-ჰაინც რუმენიგე. თუმცა ჰრუბეშს მაინც გამოვყოფდი. ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა. ფლანგური გარღვევის შემდეგ ზუსტად ვიცოდი, სად უნდა ჩამეწოდებინა, სად დახვდებოდა ბურთს ჰრუბეში.

**— რაზე გწყდებათ გული?**

— არაფერზე. მე ხომ თითქმის ყველაფერს მივაღწიე. ვარ გერმანიის ჩემპიონი, თასის მფლობელი, მოგებული მაქვს ევროთასებიც, ვარ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი.

**— მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და არა ჩემპიონი...**

— მერე რა. რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვითამაშე, ის განცდაც გამოვცადე, რაც შეიძლება მსოფლიოში უდიდესი ტურნირის გადამწყვეტ მატჩში დაგეუფლოს ადამიანს.

**— აბა, კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?**

— სავსებით.

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— ცოტა ხნის წინ მწვრთნელთა სკოლა დავამთავრე და ლიცენზია მივიღე. პროფესიული კლუბისთვის ჯერ არ მითავკაცია, თუმც უახლოეს მომავალში ამის დროც დადგება.

ვანო ოქროპირიძე

# ლოკომოტივი — რკინიგზის ჰოსპიტალი?

## ზაზა ჯანაშია დაშავდა

რუსეთის თასის მეოთხედფინალური შეხვედრა ლიპეცკის „მეტალურგსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით კი დამთავრდა, მაგრამ რად გინდა...

ასეთ გამარჯვებას მარცხი სჯობიაო, იციან ჩვენში (ალბათ, რუსეთშიც) თქმა და მართალიცაა.

საკმაოდ ჯიუტ ლიპეცკურ გუნდთან თამაში მოსკოველ რკინიგზელებს ოთხ მიკრო და ერთ სერიოზულ ტრავმად დაუჯდათ.

რკინიგზელებმა — დროზდოვმა, ლავრიკმა, ჩერევჩენკომ და სმერტინმა ოდნავი ტკივილები კი იგრძნეს, მაგრამ „ლოკომოტივის“ ექიმის, საველი მიშალოვის განცხადებით, ისინი დღეს „სპარტაკის“ წინააღმდეგ ითამაშებენ.

„აი, ქართველი ფორვარდის, ზაზა ჯანაშიას საქმე კი გაცილებით რთულადაა — აღნიშნა მიშალოვმა — პირველ ნახევარში ზაზამ მუხლი დაიზიანა და იმდენად შესამჩნევად კოჭლობდა, შესვენებაზე შევცვალეთ კიდეც. ჯანაშია ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი კია, მაგრამ ითამაშებს თუ არა „სპარტაკთან“, ამის თქმა მხოლოდ სერიოზული გამოკვლევების შემდეგ შეგვეძლება“.

ჩვენი მხრიდან კი ერთ კეთილ სურვილსაც დავამატებდით ექიმის სიტყვებს — ვინძლო ყველაფერმა კარგად ჩაიაროს და ჯანაშიას ტრავმა არც ისე სერიოზული აღმოჩნდეს“.

ლუკა თალაკვაძე


ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

ზაზა ჯანაშია რუსეთის ნაკრებთან მატჩისას

# ნივას მერვე ქართველი

უკრაინის უმაღლესლიგელმა ტერნოპოლის „ნივამ“, რომელიც ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, განაცხადში კიდევ ერთი ქართველი, მცველი დიმიტრი არსოშვილი შეიყვანა. ეს ფეხბურთელი ბოლოს მოლდოვაში, ტირასპოლის „შერიფში“ თამაშობდა. „ნივას“ მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება კიევში „დინამოსთან“ 1:4 დამარცხების შემდეგ მიიღო. ამ შეხვედრაში ტერნოპოლელთა, რიგებში კიდევ ორი ქართველის დებიუტი შედგა. „ნივაში“ ექსდინამოელმა შოთა ჩომახიძემ და ექსსამტრედიელმა კოტე მეტრეველმა ითამაშეს.

არსოშვილის დამატებით „ნივაში“ მოთამაშე ქართველების რიცხვმა რვას მიაღწია. მეტრეველის, ჩომახიძის და არსოშვილის გარდა „ნივას“ ღირსებას იცავენ: ტყუპი ძმები ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები, კახა დგებუაძე, ავთანდილ სიხარულიძე და ავთანდილ გვიანიძე.

დღეისთვის ეს საზღვარგარეთულ კლუბში ქართველთა თავმოყრის სარეკორდო მაჩვენებელია.

სიმონ მენაბდე

# ვერონის საქმე

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყნის ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბების არაევროკავშირელ ფეხბურთელებზე ერთგვარი ლიმიტია დაწესებული. მწვრთნელებს გუნდების განაცხადში კონკრეტულ მატჩზე მხოლოდ სამი მათგანის შეყვანა შეუძლიათ.

ცნობილია, რომ „ლაციო" მსოფლიოს ფეხბურთის არაერთი ვარსკვლავითაა დაკომპლექტებული. გუნდში ერთბაშად ოთხი არგენტინელი ფეხბურთელი ირიცხება — მატიას ალმეიდა, დიეგო სიმეონე, ნესტორ სენსინი და ხუან სებასტიან ვერონი. თუმცა ოთხივეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს და არგენტინულთან ერთად იტალიურ პასპორტსაც ფლობს, შესაბამისად, „ევროკავშირული" ლიმიტი მათზე არ ვრცელდება. ორმაგი მოქალაქეობა მიილო იუგოსლაველმა სინიშა მიხაილოვიჩმაც.

მხოლოდ თავიანთი ქვეყნის მოქალაქენი არიან — ჩეხი პაველ ნედვედი, ჩილელი მარსელო სალასი, ხორვატი ალენ ბოკშიჩი და იუგოსლაველი დეან სტანკოვიჩი.

იტალიურ პრესაში სულ ახლახან ერთი სენსაციური ცნობა გავრცელდა, რის გამოც რომის „ლაციოს" სერიოზული სამართალდარღვევისთვის შესაძლოა სასამართლოში აგებინონ პასუხი.

საქმე ხუან სებასტიან ვერონს ეხება. არგენტინელმა იტალიის პასპორტი და ორმაგი მოქალაქეობა შარშან სექტემბერში მიიღო, ოფიციალურ დოკუმენტაციაში განმარტა, რომ მისი ნათესავების ერთი შტო იტალიაში, კერძოდ, კალაბრიის მხარეში ცხოვრობს.

არგენტინაში მდებარე იტალიის საელჩომ კი კარგა ხნის შემდეგ განაცხადა, რომ ვერონის გაიტალიელების ფაქტი შესაძლოა სერიოზული კანონდარღვევა აღმოჩნდეს და ფეხბურთელმა ამისთვის პასუხი აგოს.

ვერონის საქმე ბიუროკრატი იურისტების ხელში ჩავარდა, დაიწყო ძირეული და სერიოზული გამოძიება. საგულდაგულოდ შემოწმდა თითქმის ყველა დოკუმენტი, რომლებიც ფეხბურთელის იტალიაში გადასვლასთანაა დაკავშირებული. ბიუროკრატიულ მაქინაციებშია ეჭვმიტანილი „ლაციოს" სპორტული დირექტორი ფელიცე პულიჩი, რომლის საბუთებიც ასევე გადაისინჯება.



ხუან სებასტიან ვერონი

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია თავს იმართლებს და აცხადებს, რომ ხსენებულ შესაძლო კანონდარღვევაში ბრალი არ მიუძღვის: „ჩვენ ვერონის გაევროკავშირელების საბუთი მივიღეთ და შესაბამისად რეგისტრაციაში გავატარეთ".

„ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ მომხდარზე თავისი აზრი გამოთქვა. მისი განცხადებით, არც კლუბის ხელმძღვანელობას და არც ვერონს უკანონო საქციელი არ ჩაუდენიათ. „ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა — ამბობს კრანიოტი — ვერონი სავსებით მართალია, მოქალაქეობის მიღება სურდა და მიილო კიდეც. მას კანონი არ დაურღვევია, ამას უახლოეს დღეებში ოფიციალურად დაასაბუთებს. ჯერჯერობით მშვიდად ვარ, მჯერა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება. გუნდის წევრები კი ცოტათი შეშფოთდნენ".

თავის მხრივ იმასაც იხსენებენ, რომ იტალიაში დოკუმენტაციის გაყალბება ექვსიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

**ნიკა შუბლაძე**




**ევროკავშირის პოლიტიკური რუკა**

1. შვედეთი
2. ფინეთი
3. დანია
4. ირლანდია
5. დიდი ბრიტანეთი
6. ნიდერლანდები
7. გერმანია
8. ბელგია
9. ლუქსემბურგი
10. ავსტრია
11. საფრანგეთი
12. იტალია
13. საბერძნეთი
14. ესპანეთი
15. პორტუგალია

ევროკავშირი ევროპის 15 წამყვანი ქვეყნის მძლავრი გაერთიანებაა. ეს სახელმწიფოები განვითარების დონით ერთმანეთს თითქმის უახლოვდებიან და ბევრი კონტინენტის დანარჩენ ქვეყნებს ერთობ უსწრებენ.

სახელმწფიოებს შორის არსებობს თავისუფალი ეკონომიკური ზონები, საზღვრები გახსნილია და ბიუროკრატიული მექანიზმიც მინიმუმადეა დაყვანილი. დაბრკოლება არ არსებობს — მოსახლეობის მიმოსვლა თავისუფალია, საქონელსა და მომხსახურებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, მათი გადაადგილება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა სისხლხორციეულად არის დაახლოებული ერთმანეთთან. მიმდინარეობს აქტიური მიმოცვლა საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, ენერგომომარაგების და სხვა მრავალ სფეროებში.

საკანონმდებლო ორგანოები აქტიურად თანამშრომლობენ უნიფიცირებული კანონების შემოსაღებად.

კავშირს აქვს საკუთარი ფულადი ერთეული — ევრო, რომელიც უკვე აქტიურ ბრუნვაშია.

ევროკავშირის შემადგენელი სტრუქტურები

მინისტრთა საბჭო — თითოეული ქვეყნის წარმომადგენლებისგან შედგენილი საბჭო, რომელიც იღებს თითქმის ყველა პრინციპულ გადაწყვეტილებას.

ევროკომისია — 19 წევრისგან და პრეზიდენტისგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა გაერთიანება ერთგვარ მაკონტროლებელ ფუნქციას ასრულებს, მართავს და განკარგავს სხვადასხვა პროგრამებსა და ფონდებს.

ევროპარლამენტი — 626 წევრისგან შემდგარ ანსამბლეა, რომელიც დაკომპლექტებულია 15 წევრი ქვეყნის მოქალაქეებით. ისინი იღებენ კანონებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებსაც შემდგომში იყენებს და ახორციელებს მინისტრთა საბჭო და ევროკომისია. მათ ფუნქციებში შედის ადამიანთა უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და ჰუმანისზმის განვითარების, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების შესწავლა-დამუშავება და დაკანონება;

კავშირს აქვს დროშა, გერბი და აღნიშნავს ევროპის დღეს — 9 მაისს.

## ინგლისი

**ნიუკასლი VS ჩელსი**

„ნიუკასლი" და „ჩელსი" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში კვირას შეხვდებიან ერთმანეთს. თუმც არც „სენტ ჯეიმსის პარკზე" და არც „სტემფორდ ბრიჯზე" ამ დღეს საინტერესო არაფერი მოხდება, რადგან მატჩი „უემბლიზე" გაიმართება.

„ჩელსის" და „ბარსელონას" თამაშს გაოგნებული შევყურებდი. გულახდილად გეტყვით, რომ ვიალის გუნდისგან ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი — განაცხადა ჯორდების თავკაცმა ბობი რობსონმა, თავადაც ყოფილმა „ბარსელონელმა" — მაგრამ კარგია, რომ ასე მოხდა. ლონდონელებმა იმ შეხვედრას იმდენი ენერგია შეალიეს, ვფიქრობ, ჩვენთან ძალიან გაუჭირდებათ. იშვიათად ხდება, რომ გუნდმა სხვადასხვა ტურნირზე ზედიზედ ორჯერ ერთნაირად ჩინებულად ითამაშოს". რობსონი მართალია. გადავხედოთ „ჩელსის" სტატისტიკურ მონაცემებს. იმ ცამეტი შეხვედრიდან, რომლებიც მან ჩემპიონთა ლიგის მატჩებიდან რამდენიმე დღეში გამართა, სამი წააგო და ოთხი ფრედ დაასრულა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „ჩელსიმ" ქულები არცთუ ძლიერ გუნდებთან დაკარგა. ასე რომ, ბობი რობსონს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად აქვს. მით უმეტეს, რომ თასის მოგება „ნიუკასლისთვის" გაისად ევროტურნირზე მოხვედრის საუკეთესო საშუალება იქნება. „კაჭკაჭები" ხომ პრემიერლიგაში მხოლოდ მე-11 ადგილზე არიან.

სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორე. ვითომ ადვილად დანებდება „ჩელსი"? ცხადია, თავხოტორა ჯანლუკა ვიალისაც კარგად ესმის, რომ ფეხბურთელები დაიღალნენ. 51 ჩატარებული მატჩი მიმდინარე სეზონში ცოტა როდია, მაგრამ სხვა სტატისტიკაც არსებობს. ლონდონელები შინაურ ტურნირებზე 19 დეკემბრის შემდეგ არ დამარცხებულან და ეს ფაქტიც, ალბათ, რაღაცას ნიშნავს.

ფინალი 20 მაისს იმავე „უემბლიზე" ჩატარდება. ერთი ფინალისტი უკვე ცნობილია — „ასტონ ვილა", რომელმაც წინა კვირას ნახევარფინალში უგოლო ფრის შემდეგ „ბოლტონს" პენალტების სერიით მოუგო. ვინ იქნება ჯონ გრეგორის ბიჭების მეტოქე, ხვალ შევიტყობთ. ისე, ბოლო ორი წელია, ინგლისელთა უძველესი ტურნირის გადამწყვეტ მატჩს ნიუკასლელთა გარეშე არ ჩაუვლია. იქნებ ამჯერადაც ასე მოხდეს. ღმერთი სამობითაო, ამბობენ.

## ამხანაგური მატჩი

25 აპრილი

**ბოსნია — ფიფა**

წუხელ ფიფამ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 25 აპრილს სარაევოში ამხანაგურად ბოსნიის ეროვნულ ნაკრებს შეხვდებიან.

მატჩი საქველმოქმედოა, რომლის მთლიანი შემოსავალიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ომისგან დაზარალებულთ მოხმარდებათ.

მეკარეები: *ბერნარ ლამა (საფრანგეთი), ანდრეას კიოპკე (გერმანია), ხორხე კამპოსი (მექსიკა);*

მცველები: *კლაუდიო სუარესი (მექსიკა), ალდაირი, აუგუსტო სესარი, კარლოს დუნგა, ალოიზიო ალვეში (ყველა ბრაზილია), მანუელ სანჩისი (ესპანეთი), ჟოსელინ ანგლომა (საფრანგეთი), პიერ ნჯანკა (კამერუნი);*

ნახევარმცველები: *სუ მაოჟენი (ჩინეთი), რობერტო ბაჯო (იტალია), თომას ჰესლერი (გერმანია), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო);*

თავდამსხმელები: *ალი დაეი (ირანი), აბედი პელე (განა), სონი ანდერსონი, რონალდო (ორივე ბრაზილია)*

## ფეხბურთის რუკასთან



ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ „ვესტ ჰემის" ცენტრალური მცველის, რიო ფერდინანდის შეძენის სურვილი რამდენიმე წამყვანმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა. მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი იტალიაში გადაბარგდეს და „პარმაში" ან „მილანში" ჩაირიცხოს. 21 წლის ფერდინანდმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ლონდონურ კლუბში დარჩენა აღარ სურს, რადგან „ვესტ ჰემმა" ბოლო წლებში ერთი ტურნირიც კი ვერ მოიგო. სატრანსფერო თანხა, ისევე, როგორც ინგლისური და იტალიური გუნდების მოლაპარაკების შედეგები, ჯერჯერობით უცნობია. „ვესტ ჰემს" ფერდინანდის გაშვებაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

**ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲘᲡ ნაკრების მთავარ მწვრთნელად „ფიორენტინას" ყოფილი თავკაცი სებასტიანო ლაზარონი დაინიშნა, ბრაზილიელი სპეციალისტი გუნდს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ თებერვალში ნაკრების მწვრთნელის პოსტი ბრაზილიელმა რენე სიმოესმა დატოვა, რომელიც შემდეგ „ფლამენგოში" გადავიდა. მისი ხელმძღვანელობით იამაიკელებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და გუნდის ისტორიაში პირველად მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება. მათ ბოლო მსოფლიოს პირველობაზე, საფრანგეთში იასპარეზეს.**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა ნახევარმცველი იენს იერემისი დასაჯა და შვეიცარიელების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ, ალბათ, არ გამოიძახებს. მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ბუნდესნაკრები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ასეთი სუსტი თამაშით გუნდი ევროპის ჩემპიონატზე წარმატებებს ვერ მიაღწევს. მწვრთნელმა იერემისის აუგი სიტყვები ვერ მოითმინა და იგი შერისხა, თუმცა არ გამორიცხა, რომ ევრო 2000-ზე საასპარეზოდ იგი შესაძლოა გუნდში მიიწვიოს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ თავდამსხმელი ანდრეა პირლო, რომელიც ამჟამად „ინტერიდან" „რეჯინაში" განათხოვრებით თამაშობს, უახლოეს მომავალში შესაძლოა „ჩელსიში" გადაბარგდეს. ლონდონური და მილანური კლუბები მალე მოლაპარაკებებს დაიწყებენ. „ჩელსის" იტალიიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის, პირლოზე გაცილებით ხნიერი არგენტინელის, გუსტავო აბელ ბალბოს გადაბირება სურს. შესაძლო ტრანსფერზე „ფიორენტინას" პასუხი ჯერჯერობით უცნობია, ლონდონურ და ფლორენციულ კლუბებს არც საკომპენსაციო თანხის ოდენობა დაუსახელებიათ.**

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲛᲐ გრანდებმა „აიაქსმა" და „პსვ ეინდჰოვენმა" „ინტერის" რუმინელი ფორვარდის, ადრიან მუტუს ყიდვა განიზრახეს. თავდამსხმელი მილანური გუნდის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდება, ამიტომ არ არის გამორიცხული, „ინტერმა" იგი ერთი წლით გაანათხოვროს. თუმცა მთავარ მწვრთნელ მარჩელო ლიპის ჯერჯერობით არაფერი უთქვამს. მუტუ ერთ-ერთი პერსპექტიულ რუმინელ ფეხბურთელად ითვლება. ნაკრების თავკაცმა ემერიხ იენეიმ ახალგაზრდა ფორვარდი შესაძლოა ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდაც მიიწვიოს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონი „მილანი" სეზონის ბოლოს „კორინთიანსში" განათხოვრებული ბრაზილიელი მეკარის, დიდას დაბრუნებას აპირებს. „მილანმა" იგი 1998 წელს შეიძინა, თუმცა მაშინ გოლკიპერების ნაკლებობას არ განიცდიდა და ფეხბურთელი „კორინთიანსს" ათხოვა. სეზონის ბოლოს მილანური გუნდი შესაძლოა ვეტერანმა სებასტიანო როსიმ დატოვოს და „მილანს" მისი შემცვლელი სჭირდება. აღსანიშნავია, რომ დიდა ევროკავშირის პასპორტსაც ფლობს, იგი იტალიას, ალბათ, ივნისში ეწვევა. იტალიური პრესის ცნობით, „მილანმა" „უდინეზეს" მეკარეს, ლუიჯი ტურჩისაც დაადგა თვალი და არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს ისიც გადაიბიროს.**

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ფორვარდი რობი ფაულერი ნავარაუდევზე გაცილებით ადრე გამოჯანმრთელდა და მსუბუქი ვარჯიში განაახლა. ერთ-ერთ საწვრთნელ მატჩზე „ლივერპულის" თავდამსხმელმა 20 წუთი ითამაშა და თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა. ფაულერის დაბრუნებით გახარებულმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ განაცხადა: „ერთობ რთული ტრავმის შემდეგ რობი მინდორზე გამოჩნდა, ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს. ზუსტად არ ვიცით, გუნდს როდის დაუბრუნდება. ექიმები ამას, ალბათ, მალე გვეტყვიან, არ არის გამორიცხული, ფაულერმა სეზონის ბოლომდე კიდევ ითამაშოს".

**ᲤᲠᲐᲜᲒᲛᲐ ნახევარმცველმა ემანუელ პეტიმ მომავალი სეზონიდან კარიერა შესაძლოა „ინტერში" გააგრძელოს. იტალიური პრესის ცნობით, მილანური გუნდი „არსენალს" დაახლოებით 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს, თუმც იმასაც იუწყებიან, რომ პეტის შეძენას კიდევ რამდენიმე ევროპული გრანდი, მათ შორის „ლაციო" და მადრიდის „რეალიც" ცდილობს. ლონდონურ კლუბსა და თავად ფრანგ ფეხბურთელს შესაძლო ტრანსფერზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ.**

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ეროვნული ნაკრებისა და ბერლინის „ჰერტას" ფორვარდი ალი დაეი აზიის 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. საზეიმო ცერემონიალი გუშინ აზიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბბინაში ჩატარდა. ირანელმა ტიტული ორ იაპონელთან ბრძოლაში მოიპოვა — „რომას" ნახევარმცველ ჰიდეტოში ნაკატასა და „ჯუბილო ივატას" მასასი ნაკაიამას აჯობა. ბედნიერი დაეი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და თავისი სიძლიერის დამტკიცებას ნისლიან ალბიონზე აპირებს. „ჰერტასთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ინგლისში გადასვლაზე აქედანვე ვფიქრობ, თუ, რა თქმა უნდა, შემოთავაზებაც იქნება. ვთვლი, რომ ნებისმიერ ინგლისურ გუნდში თამაში ძალმიძს და დიდ წარმატებებსაც მივაღწევ" — განაცხადა საუკეთესო აზიელმა. ვნახოთ...

**ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. *ლევსკი* — ცსკა (სოფია) 3:1 (1:0); *ჩერნომორეცი* — შუმენი 6:0 (2:5); ბოტევი — *ნეფტოხიმიკი* 1:1 (0:3); *ველბაჟდი* — ლოკომოტივი (სოფია) 2:0 (1:3). ნახევარფინალები გაიმართება 18 აპრილს.**

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ. 24-ე ტური. მურა — მარიბორი 1:3; ოლიმპია — ცელიე 2:2; დომზალე — ველენიე 0:0; რუსე — პრევალიე 0:1; დრავოგრადი — ნოვა გორიცა 1:1. ჩემპიონატს 56 ქულით „მარიბორი" ლიდერობს, მეორე-მესამე ადგილებს 44-44 ქულით „ნოვა გორიცა" და „ველენიე" იყოფენ.

**მომავალი კვირიდან ევროპის ჩემპიონატების ისტორიის ჩანართებს ოთხშაბათობით იხილავთ**

**გალათასარაი**

**2:0**

**ლიდსი**

1:0 ჰაქან შუქური (12), 2:0 კაპონე (44)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთი, პოპესკუ, ემრე, არიფი (ჰასან სასი 78), ოკანი (ჰაქან უნსალი 62), სუათი, კაპონე, ერგუნი, ჰაჯი (აჰმეთი 88), ჰაქან შუქური
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
ლიდსი: მარტინი, კელი, ჰარტი, რადებე, ვუდგეიტი, ბაკე, მაკფაილი, ბოიერი, ჯოუნსი (უილკოქსი 65), ბრიჯისი (ჰაკერბი 75), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
30 000 მაყურებელი

# თასზე ძვირფასი

UEFA CUP

## უეფას თასი. ნახევარფინალი. I წრე

**წინადღით** მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ ყმაწვილ ლიდსელ ფეხბურთელებზე, ალბათ, განსაკუთრებულად იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, მათი თამაშის შემხედვარე ამას თუ იფიქრებდი. „გალათასარაი“ კი ერთი ფეხით ფინალშია. არც ერთ თურქულ კლუბს ასეთი შედეგისთვის არასდროს მიუღწევია.

გუნდები მინდორზე გავიდნენ: ინგლისელები შავი სამკლავურებით, თურქები — არა. სტადიონის ინფორმატორმა სისხლიანი შეტაკების შესახებ ამცნო შეკრებილთ და თამაშიც დაიწყო. აქვე ვთქვათ, რომ სტუმრებს ძალიან უჭირდათ ჰაქან შუქურის ამოკეტვა და პირველი გოლიც მცველთა უნიათობის შედეგი გახლდათ. მე-12 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არიფ ერდემმა მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ შუქურს პასი ჩააწოდა და სტამბოლელმა ბომბარდირმაც თავით ქვედა კუთხეში შეგდო.

ლიდსელებს შესვენებამდე სულ რაღაც ერთი წუთი უნდა გაეძლოთ და მეორე ტაიმში მინიმალური სხვაობის გაქვითვა ეცადათ, მაგრამ ამ დროს თურქთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა კაპონემ ისახელა თავი. მასპინძლებმა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდეს. კარის სიახლოვეს ბევრი ფეხბურთელი ირეოდა — ძირითადად ლიდსელები, თუმც ამ დავაში კაპონემ იმარჯვა. ბრაზილიელმა ბურთი მიიღო, ფეხზე გადაიტანა, ინგლისელთა დაცვაში ნაპრალი მოძებნა და — 2:0.

„გალათასარაი“ შინ ორბურთიან უპირატესობას დაყაბულდა. შესვენების შემდეგ თურქებს დიდად არ გამოუდიათ თავი, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ საპასუხო შეხვედრაში 0:3 წაგების შესაძლებლობა არარეალური იყო.

გეორგე ჰაჯიც უნდა ვახსენოთ. რუმინელი ბავშვებს შორის მოხვედრილ გამოცდილ ყოჩს ჰგავდა (რაც, ფაქტობრივად, ასეც არის) და ბურთის ყოველი მიღებისას ლამაზ ილეთებსაც ასრულებდა. სამიოდე შემთხვევა იყო, როდესაც საამერიკოდ გამზადებულმა ვეტერანმა ლამის ცენტრიდან მოინდომა ნაიჯელ მარტინის კარის დალაშქვრა.

სტუმართა შეტევები არ გვიხსენებია. ამის მიზეზი მასპინძელთა მცველების კარგი თამაში იყო. თუმცა რამდენიმე მწვავე იერიში ინგლისელებმა მაინც განახორციელეს. უპირველესად ჰარი კიუელის უილბლობაზე უნდა ითქვას. კიუელი ოდინდელ მსოფლიოს ჩემპიონ კლაუდიო ტაფარელთან პირისპირ დარჩა. დაარტყა — მეკარემ მოიგერია. ბურთი კვლავ ავსტრალიელს მიუვიდა. ამჯერად მეკარეც აღარ ელობებოდა, მაგრამ დამატებაზე ბურთი კარს ააცილა. კიუელის გოლის ალლო რომ ვიცით, უილბლობაა, აბა, რა.

მატჩის შემდეგ ფათიჰ თერიმმა ჯერ განაცხადა, ოღონდ გუშინ სისხლი არ დაღვრილიყო და წაგებაზეც თანახმა ვიყავიო. „ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არც ერთი თასი არ გახლავთ“ — დაამატა თერიმმა. უშუალოდ თამაშის მსვლელობაზე კი შემდეგი თქვა: „ლიდსი“ ჩინებული გუნდია, მაგრამ რაკი ორი გოლი გავუტანეთ, ჩვენ უკეთესები ვყოფილვართ. კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ინგლისში იქაური ქომაგების თვალწინ თამაში, მაგრამ საპასუხო შეხვედრის არ მეშინია. ცხადია, ასპროცენტიან გარანტიებზე საუბარი უაზრობაა. თუმცა როგორ ფიქრობთ, ლიდსში სამ გოლს გავუშვებთ? ერთსაც ვიტყვი, „გალათასარაი“ იბრძოლებს. იბრძოლებს მანამ, სანამ მსაჯის საფინალო სასტვენი უეფას თასის მოგებას არ გვაუწყებს“.

რა შეიძლება დავუმატოთ თურქი მწვრთნელის სიტყვებს? ჯერ კიდევ შემოდგომაზე ველოდით, რომ სახელოვანი „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე თურქებს მესამე ადგილს (უეფას თასზე გამსვლელს) არ დაანებებდა. შემდეგ იყო „ბოლონია“ და „მალიორკა“. ახლა „ლიდსსაც“ ძალიან ცუდად აქვს საქმე. გავა „გალათასარაი“ ფინალში? ინგლისელთა მწვრთნელი დევიდ ოლირი ამბობს, რომ მისი გუნდი ყველაფერს ილონებს, რათა თურქებს ფინალისკენ მიმავალი გზა გადაუღობოს. ამისთვის კი საჭიროა: „ნაკლები შეცდომები დაცვაში. ეს არის და ეს“.

დაბოლოს, როდესაც ოლირის მომხდარი ტრაგედიის კომენტირება სთხოვეს, მან უპასუხა: „სისხლისღვრაზე არც ერთი სიტყვა, მხოლოდ ფეხბურთზე ვილაპარაკოთ“.



REUTERS სტამბოლიდან

გალათასარაი — ლიდსი 2:0. ავსტრალიელი ჰარი კიუელისა და ბრაზილიელი კაპონეს დუელი

**არსენალი**

**1:0**

**ლანსი**

1:0 ბერხკამპი (2)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, სილვინიო, გრიმანდი, ვიეირა, პეტი, პარლოუ, ბერხკამპი (შუკერი 83), ოვერმარსი (ლიუნგბერგი 74), კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, კოლი, მავენე, კუედრუ, ნიარკო, ბლანშარი, ბრუნელი, მორეირა (სახო 79), ნუმა, კორიდონი
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
38 102 მაყურებელი

# შენყვეტილი დუმილი

UEFA CUP

## უეფას თასი. ნახევარფინალი. I წრე

**ლონდონში** თამაში უცნაურად დაიწყო. საერთოდ ასე ხდება, მსაჯი ჩასტვენს და ტრიბუნებზე ქომაგთა ყიჟინა ტყდება ხოლმე — ფეხბურთელებს ამხნევებენ. ამჯერად კი „ჰაიბერიზე“ მისული ხალხი (და თავად ფეხბურთელებიც) გაოცებულნი დარჩნენ. საქმე ის გახლავთ, რომ მატჩის დაწყების წინ ცნობილ მიზეზთა გამო წუთიერი დუმილი გამოცხადდა. მოგეხსენებათ, ეს რიტუალი ერთ წუთს უნდა გაგრძელდეს (სახელიდან გამომდინარე), მაგრამ ავსტრიელმა არბიტრმა გიუნტერ ბენკომ დაღუპულთათვის პატივის მისაგებად ხუთი წამიც საკმარისად ჩათვალა და ინფორმატორს ლაპარაკიც არ დაემთავრებინა, რომ თამაშის დაწყება ბრძანა. აღშფოთდნენ გულშემატკივრები, მაგრამ ორიოდ წუთში ისეთი რამ მოხდა, რამაც აღშფოთება სიხარულით შეცვალა. დენის ბერხკამპის გოლზე მოგახსენებთ.

მეტოქის ნახევარზე ოდნავ გადასულმა ჰოლანდიელმა ემანუილ პეტისგან პასი მიიღო და ჟილიომ ვარმუზის კარისკენ დაიძრა. სამი ფრანგი მცველი ამაოდ ცდილობდა მის შეჩერებას. ბოლოს მეკარეც წინ გამოვარდა, მაგრამ ბერხკამპმა უზადოდ იმოქმედა. ამ დროს კი მხოლოდ 93-ე წამი იწურებოდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ვარმუზმა „ლანსის“ გადარჩენა ვერ შეძლო. დარჩენილ დროში (არადა, დრო საკმარისად იყო) მან რამდენჯერმე იხსნა თავისიანები და სახიფათო დარტყმების მთელი სერია მოიგერია. მათგან ორს გამოვყოფთ. 42-ე წუთზე ვარმუზმა რეი პარლოუს აული, ხოლო მეორე ტაიმში მარკ ოვერმარსის ახლო მანძილიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი კუთხურზე გაჭირვებით გადააგდო. ორჯერ ნვანკვო კანუმაც შეუტია სახიფათოდ, მაგრამ გოლი რომ არ გავიდა, თავად ნიგერიელის მცირედი უზუსტობის ბრალი იყო.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა, „არსენალის“ თამაში მაინც არადამაკმაყოფილებელი გახლდათ. რატომ? ვერ გეტყვით. ეს თავად არსენ ვენგერმაც არ იცის: „ფეხბურთელებს აშკარად რაღაც აკლდათ, ალბათ, ბრძოლის ჟინი. ამის მიზეზს კი ნამდვილად ვერ მოგახსენებთ.“ სამაგიეროდ, ვენგერის თანამემამულესა და კოლეგას, ფრანსუა ბრისონს უკმაყოფილებისა არაფერი ეტყობოდა: „ჩემების თამაშით ფრიად ნასიამოვნები ვარ, გული მხოლოდ გაშვებულმა გოლმა დამწყვიტა.“ მართლაც, ევროტურნირის ნახევარფინალის დებიუტანტობის კვალობაზე ფრანგებს ცუდად არ უთამაშიათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ 71-ე წუთზე პასკალ ნუმამ ბურთი ხარიხას გაარტყა, მატჩი შესაძლოა ფრედაც დასრულებულიყო.

ერთი სახალისო შემთხვევაც ვახსენოთ. მოგეხსენებათ, „არსენალისა“ და „ლანსის“ სათამაშო ფორმები ერთმანეთს ჰგავს. მინდორზე ფეხბურთელების გარჩევა რომ არ გაჭირდეს, უეფას ოდითგანვე დაუდგენია, რომ მასპინძლები საგარეო მაისურებით უნდა გამოვიდნენ, სტუმრები კი — საშინაოთი. ახლაც ასე იყო. როგორც ჩანს, არსენ ვენგერმა ეს წესი გულდასმით შეისწავლა და არ მოეწონა, რაღაც უკულმართობა გამოდისო. ჰოდა, შესვენების დროს მსაჯთან მისულა და უთხოვია, იქნებ მეორე ტაიმში ჩვენი ტრადიციული სამოსით თამაშის ნება დაგვრთოო. გაუკვირდა არბიტრს, ამ კაცს ლენარტ იუჰანსონი ანდა სულაც ზეპ ბლატერი ხომ არ ვგონივარ, დადგენილი წესის შეცვლას რომ მთხოვსო და უარით გაისტუმრა.

ცხადია, მაისურების ამბავი მეორეხარისხოვანია. მთავარი კი ის გახლავთ, თუ რა მოხდება ორი კვირის შემდეგ ლანსში. „არსენალი“ მეტოქეზე სოლიდურად გამოიყურება, მით უმეტეს, საპასუხო მატჩის წინ მეგოლე ტიერი ანრის „ვერდერთან“ წითელი ბარათის მიღების გამო დისკვალიფიკაციის ვადაც გაუვა. მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ერთბურთიანი უპირატესობა ლონდონელებს მშვიდად ყოფნის უფლებას არ აძლევს. აკი არსენ ვენგერიც ამას ამბობს: „გულახდილათ გეტყვით, ლანსში რა მოხდება, არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ იქაც გავიტანთ, მაგრამ დღევანდელი თამაშიდან გამომდინარე, ეს ძალიან გაგვიჭირდება. „ლანსს“ ფავორიტად არ მიიჩნევენ, მაგრამ ნახევარფინალში სუსტი გუნდები არ არიან.“

ჯერ კიდევ ორი დღის წინ ბევრი ფიქრობდა, რომ უეფას თასის 2000 წლის ფინალი წმინდა ინგლისური იქნებოდა. დღევანდელი გადასახედიდან სხვაგვარად ხომ არ ჩანს?



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლანსი 1:0. მეთოფეთა „მფრინავი ჰოლანდიელი“ დენის ბერხკამპი ფრანგ ფრანკ კუედრუს ლამის გადააფრინდა

„ლიდს იუნაიტედის“ გულშემატკივრები სტამბოლიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. მატჩი, რომლის სანახავადაც ისინი თურქეთს გაემგზავრნენ, ემოციურად და, საბედნიეროდ, ექსცესების გარეშე დამთავრდა — „გალათასარაიმ“ სტუმრებს 2:0 მოუგო — მაგრამ წინა ღამით ორი ინგლისელის მკვლელობამ ყოველივეს საშინელი, შავი დაღი დაასვა.

ლიდსის „ბრედფორდ აეროპორტში“ დაბრუნებულთ ენაზე ერთი და იგივე ეკერათ: ცუდად მოგვეპყრნენ თურქი ხელისუფალნი, ცუდად მოგვეპყრნენ „გალათასარაის“ გულშემატკივრები...

ენდრიუ ჰენშოუ, ჩვეულებრივი ფანი: „არ მჯერა, რომ იქიდან გამოვაღწიეთ. „გალათასარაის“ ქომაგები სრულიად უპატივცემულოდ გვეპყრობოდნენ. დაღუპულებს წუთიერი დუმილით მხოლოდ „ლიდსის“ მხარდამჭერებმა ვეცით პატივი“.

პოლ კოკრენი: „ყველაფერმა რაღაც არარეალურის შთაბეჭდილება დასტოვა. ასეთ რამეს ადამიანი ცხოვრებაში ვერ ნახავ“.

მას მერე, რაც სტამბოლის სასტუმრო „მარმარასთან“ 37 წლის კრისტოფერ ლოფტუსი და 40 წლის კევინ სპეიტი მოკლეს, ქალაქის პოლიციამ საქმეში დიდი ძალები ჩართო. წესრიგის დაცვა წესრიგის დაცვად და მკვლელობასთან კავშირში ეჭვმიტანილი ხუთი ადამიანი დააპატიმრეს (მთავარი ეჭვმიტანილია ალი უმით დემირი), დაახლოებით ათს კი ჯერაც ეძებენ. თამაშის დამთავრების შემდეგ ლიდსელი ქომაგები საგანგებო ესკორტმა პირდაპირ აეროპორტში წაიყვანა, რათა შესაძლო გართულებებისგან გაერიდებინა.

მოკლედ, ინგლისელთა დელეგაცია ფეხბურთელების, ოფიციალურ პირთა და გულშემატკივართა ჩათვლით მშობლიურ „ბრედფორდ აეროპორტში“ დილის 4 საათზე დაბრუნდა. დაბრუნებულთა შორის გახლდათ კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი, რომელმაც თურქეთში მოგზაურობას კოშმარული 48 საათი უწოდა. მისი თქმით, ფეხბურთელები ბედნიერნი არიან, რომ შინ ცოცხლები დაბრუნდნენ, ხოლო უახლოეს მომავალში „ლიდს იუნაიტედი“ ყველა ღონეს იხმარს, რათა დაღუპულთა ოჯახებს ყურადღება არ მოაკლდეს.

„თავში მხოლოდ ერთი რამ გვიტრიალებდა: ვითამაშოთ თუ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განვაცხადოთ. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან და უეფასთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ გვეთამაშა, მაგრამ აზრის მოკრება და მონდომება უკვე ძალიან ძნელი გახლდათ. საკუთრივ თამაშს აზრი ჰქონდა დაკარგული. ადამიანთა სიცოცხლესთან ბურთაობა ხომ მეტად უმნიშვნელო რამ არის“ — თქვა რიდსდეილმა.

სტადიონის შესასვლელში პოლიცია უკლებლივ ყველას ჩხრეკდა, ხოლო ინგლისელები განსაკუთრებული, გაძლიერებული დაცვით შეიყვანეს მათთვის განკუთვნილ ტრიბუნაზე.

შემდეგ, სტამბოლელი გულშემატკივრის სტვენის თანხლებით, სტადიონის გამომცხადებელმა ქალმა ასეთი სიტყვები თქვა: „გალათასარაი“ გულწრფელად წუხს გასული ღამის ტრაგიკული შემთხვევის გამო და ფეხბურთის სახელის შემბღალავ ყველა ძალადობის აქტს გმობს“.

შავსამკლაურებიანი „ლიდს იუნაიტედი“ პოლიციის მწკრივით დაცული გვირაბიდან მოედანზე გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად წუთიერი დუმილი არ გამოცხადებულა, პატივი სცა დაღუპულთა ხსოვნას. ტრიბუნაზე ინგლისელ გულშემატკივართა ნაწილი „მკვლელებოს“ გაიძახოდა.

თამაში რომ დასრულდა, „ლიდსის“ ფანები, როგორც მოგახსენეთ, პოლიციის ესკორტის თანხლებით პირდაპირ აეროპორტისკენ წაიყვანეს, ხოლო მასპინძელ ქომაგებს ქალაქის ქუჩებში ზეიმი ჰქონდათ.

### მაინც, რა მოხდა?

თითქოს სასტუმრო „მარმარასთან“ ჩხუბი იმიტომ ამტყდარა, რომ ლიდსელი გულშემატკივრები ბარგის მთრეველ თურქ კურტნის მუშას შეკამათებიან. კაცმა არ იცის. ფრენკ უოლში, ჩეშირელი ვაჭრობის აგენტი ამბობს, კიდევ კარგი მე და ერთმა ჯგუფმა იქაურობა შეიარაღებულ თურქთა მოსვლამდე წამებით ადრე დავტოვეთო. გუშინდელ „სარბიელში“ სხვა ქომაგის მონაყოლს წაიკითხავდით. მის თანახმად ბარიდან ქუჩაში გამოსულ ინგლისელთა ნაწილს ასამდე დანით და რკინის კეტებით აღჭურვილი სტამბოლელი დაესხა თავს. იმავე ამბავს 38 წლის თურქმა ჰასიმ ისკანმა ასე უყურა:

„ლიდსელი ფანები თურქეთის დროშას დასცინოდნენ და უზრდელურ ჟესტებს აკეთებდნენ. ინგლისელები ნამდვილი ცხოველებივით იქცეოდნენ“.

ასე იყო თუ ისე, BBC-ს ცნობით, „გალათასარაის“ ქომაგებმა მოგვიანებით მკვლელობის ადგილი ყვავილებით შეამკეს.

### დევიდ მელორის მოთხოვნა

ბრიტანეთის საფეხბურთო ტასკ ფორსის თავმჯდომარე დევიდ მელორმა თურქული გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებიდან გაძევება მოითხოვა. „წარმოუდგენელია, რომ უეფა თურქულ პრობლემას ვერ უმკლავდება“ — თქვა მან — „ინგლისელი ფანების ტრადიციული, რიტუალური კრიტიკის ნაცვლად ყურადღების თურქეთზე გამახვილება აჯობებდა. პანტომიმური სისულელე საბოლოოდ ნამდვილ ძალადობაში გადაიზარდა და ამის უყურადღებოდ დატოვება ყველას მხრივ დანაშაული იქნებოდა. უეფა თურქთა წინააღმდეგ უსუსური ყოფილა“.

თავმჯდომარემ დასძინა, რომ მისახედია პოლიციის პრობლემაც, რადგან საფეხბურთო ექსცესების უმრავლესობაში წესრიგის მცველები სრულ ხისთავიანობას იჩენენ. მელორი თვლის, რომ პოლიციელთა საზრიანი მოქმედების სულ ერთი-ორი მაგალითი ყოფილა და ასეთად ინგლისში გამართული ევრო 96-ს ასახელებს და ბოლოს:

„გულშემატკივრებს უფლება აქვთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გაჰყვნენ თავიანთ გუნდებს, მათ უსაფრთხოებაზე კი პასუხისმგებელი პოლიცია უნდა იყოს“

### ხმა უეფადან

ბუნებრივია, სტამბოლში დატრიალებულ ტრაგედიას უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი გამოეხმაურა:

„როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერს აკონტროლებ, ირკვევა, რომ ასე არ არის. იმედი მაქვს, რომ ხალხი ახლა მაინც მიხვდება, რატომ ცდილობს უეფა შეიტყოს თითოეული ბილეთის მფლობელის ვინაობა. თურქეთში დატრიალებული ამბავი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის პოლიციისთვის საგანგებო გაფრთხილება უნდა იყოს, იკვეთება მათი თანამშრომლობის აუცილებლობა“.

შემდეგ პრეზიდენტმა გულშემატკივრებს ურჩია: „თუ დაინახავთ, რომ სადმე ჩხუბი ატყდა, ნუ ჩაებმებით, გაეცალეთ იქაურობას“.

### რას წერს „სანი“?

„დამშვიდდით. განსჯას ნუ იჩქარებთ. სენტიმენტები გულში ჩავიმარხოთ — ჩვენს ქომაგებს უცხოეთში მორიგი ტრაგედია შეემთხვათ. ცნობები იმის თაობაზე, თუ რამ გამოიწვია ჩხუბი სტამბოლში, ჯერაც წინააღმდეგობრივია, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ ორი ადამიანი დაიღუპა, ოჯახის კაცები, ნამდვილი ფანები. ისინი კოშმარში მოხვდნენ, როდესაც მხოლოდ საყვარელი გუნდის თამაშის ნახვა უნდოდათ.

კევინ სპეიტი პაბის მფლობელი გახლდათ, ორი პატარას მოსიყვარულე მამა იყო. მის ბავშვებს აპრილის ბოლოს დაბადების დღეები უნდა გადაეხადათ.

კრის ლოფტუსი ელექტრომემონტაჟე იყო. ის სტამბოლში სამიდან ერთ-ერთ ძმასთან ერთად ჩაფრინდა. მათ ოჯახებს „სანის“ რედაქცია და მთელი ქვეყანა სამძიმარს უცხადებს (აღსანიშნავია, რომ „სანის“ ვერსიით სპეიტი 36 წლისა გახლდათ, ხოლო ლოფტუსი 35-ის).

მხოლოდ დრო გვეტყვის, ვინ დაიწყო ინციდენტი ქალაქში, რომელსაც თურქები მეტოქეთა ჯოჯოხეთს უწოდებენ, თუმცა ეჭვი გვაქვს, რომ პოლიციამ შესაძლოა გამოძიება სერიოზულად ააცდინოს ჭეშმარიტ გზას.

ერთი კი ნამდვილია, „ლიდსის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი დიდი კაცი ყოფილა. ის საავადმყოფოში მივიდა, რათა მსხვერპლთა მდგომარეობა გაეგო და მათი ვინაობის ამოცნობაში დიდი როლი ითამაშა. შემდეგ მან თავისი მძღოლი დაჭრილთათვის გადასასხმელი სისხლის შესაგროვებლად გაუშვა და სხვათა დასაცავად მთელი ღამე „იმორიგევა“.

რიდსდეილმავე მიიღო გადაწყვეტილება, რომ მატჩი უნდა ჩატარებულიყო, რაც „ლიდსის“ ქომაგთა დიდ ნაწილს არ მოეწონა, მაგრამ თავმჯდომარე თვლიდა, რომ თამაში მის თანამემამულეთა უსაფრთხოებას უფრო დაიცავდა, ვიდრე პროტესტი. ყველაფერთან ერთად პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან ურთიერთობაში — ყველა ინტერვიუში — სწორ ნოტებზე გაამახვილა ყურადღება.

მისი შემდეგი ამოცანა ორი კვირის შემდეგ, „ელანდ როუდზე“, საპასუხო თამაშის დროს წესრიგის დაცვაა.

### მეუღლე

გლოვა ყველა ქვეყანაში გლოვაა. დაღუპული კევინ სპეიტის მეუღლე, 36 წლის სიუ — შვიდი წლის ჯორჯის და ორი წლის ჰოლის დედა — ქვითინებდა: „ბავშვებს უნდა ვუთხრა, რომ მამა არ დაბრუნდება. ის ოჯახის კაცი იყო და გარშემო ყველას ასე დაამახსოვრდება... სტამბოლში რომ ჩავიდა, დამირეკა და აღფრთოვანებულმა მითხრა, რომ აეროპორტში თავდამსხმელ ალან სმიტთან ერთად გაიარა, რამდენიმე საათის შემდეგ კი შევიტყვე, რომ კევინი მოკვდა. განადგურებული ვარ. მალე ჩვენი ბავშვების დღეობებია, რა ვუთხრა?

### ისევ დროშა

BBC-ს ყოფილი კორესპონდენტი ანკარაში ჰემ ოტული წერს: „გალათასარაი“ თურქეთის უძველესი და ყველაზე პრესტიჟული გუნდია, მაგრამ მისი გულშემატკივრები ინციდენტების მოწყობით ცნობილნი არ არიან. ბოლო, ყველაზე სერიოზული კონფლიქტი მათ 1993 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებთან ჰქონდათ. მაშინდელი ამბის თურქი მოწმეები ამბობდნენ, რომ მანჩესტერელმა გულშემატკივრებმა თურქეთის დროშას მოაშარდეს (აქაც დროშა!), რაც ნაციონალისტურ ქვეყანაში დიდ შეურაცხყოფად ითვლება. ინციდენტის შემდეგ 100-ზე მეტი მანჩესტერელი გააძევეს ქვეყნიდან. კიდევ, სტუმარ გულშემატკივრებს სასტუმრო „ძველ ქალაქში“ ფანჯრების ჩალეწვაში დასდეს ბრალი.

„გალათასარაის“ წარმომადგენლები უარყოფენ, რომ ახლანდელ ინციდენტში კლუბის გულშემატკივრები იყვნენ ჩარეულნი, მაგრამ იმის თქმა, რომ ისინი კონფლიქტებში არასდროს მონაწილეობენ, არ იქნება მართალი. მაგალითად, „გალათასარაის“ და სტამბოლის მეორე გუნდის, „ფენერბაჰჩეს“ მხარდამჭერებს შორის თითქმის ყოველ სეზონში ხდება თუნდაც მცირე უსიამოვნება. თურქეთის პოლიცია კარგა ხანია დანებს და ქაბაბის სპეციალურ საჭრელებს ართმევს გულშემატკივრებს, რომელთაც, სხვათა შორის, თამაშის შემდეგ ჰაერში ტყვიის სროლა სჩვევიათ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ ჩვევას აივანზე გამოსული უდანაშაულო ხალხი უმსხვერპლია.

უსიამოვნებებისგან არც თავად ფეხბურთელები არიან დაზღვეულნი. მაგალითად, ამასწინათ ხულიგნებმა საკუთარი მანქანიდან გადმოიყვანეს და სცემეს „ფენერბაჰჩეს“ მეკარე, რომელმაც გოლი გაუშვა...

მაგრამ თურქები სინამდვილეში მაინც ნაკლებად აგრესიულნი არიან, ვიდრე ჩანან. გავიხსენოთ „იუვენტუსის“ შემთხვევა. ტურინელებს „გალათასარაისთან“ მაშინ მოუხდათ თამაში, როდესაც იტალიამ ანკარის თურქთა წინააღმდეგ მოჯანყე ქურთი ლიდერის, დაპატიმრებული აბდულა ოჯალანის გადაცემაზე უარი განუცხადა აღშფოთებულმა თურქებმა ქუჩებში დემონსტრაციულად დაწვეს და დალეწეს ყველაფერი იტალიური.

და აი, დიდი ბჭობის შემდეგ „იუვენტუსი“ სტამბოლის აეროპორტში ჩავიდა. იქ, მის ავტობუსს უამრავი გულშემატკივარი შემოერტყა და ატყდა... თეთრი იასამნის სროლა“.

...ხუთშაბათს თეთრი იასამანი აღარსად ჩანდა.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში.

**მიხეილ სურგულაძე**


REUTERS ლიდსიდან

დაღუპული კევინ სპეიტის ოჯახი: მეუღლე სიუ, ჰოლი, ჯორჯი და თავად კევინი



REUTERS ლიდსიდან

გლოვა ლიდსის „ელანდ როუდზე“


REUTERS სტამბოლიდან

ჯოჯოხეთის გული — ასე გულშემატკივრობენ „ალი სამი იენიზე“

## მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### I ჯგუფი: იუგოსლავია, რუსეთი, შვეიცარია, სლოვენია, ლუქსემბურგი, ფარერები

**2000 წელი**

2 სექტემბერი შვეიცარია — რუსეთი; ლუქსემბურგი — იუგოსლავია; ფარერები — სლოვენია
7 ოქტომბერი შვეიცარია — ფარერები; ლუქსემბურგი — სლოვენია; იუგოსლავია — რუსეთი
11 ოქტომბერი რუსეთი — ლუქსემბურგი; სლოვენია — შვეიცარია; იუგოსლავია — ფარერები

**2001 წელი**

24 მარტი ლუქსემბურგი — ფარერები; იუგოსლავია — შვეიცარია; რუსეთი — სლოვენია
28 მარტი შვეიცარია — ლუქსემბურგი; სლოვენია — იუგოსლავია; რუსეთი — ფარერები
2 ივნისი რუსეთი — იუგოსლავია; სლოვენია — ლუქსემბურგი; ფარერები — შვეიცარია
6 ივნისი შვეიცარია — სლოვენია; ლუქსემბურგი — რუსეთი; ფარერები — იუგოსლავია
1 სექტემბერი შვეიცარია — იუგოსლავია; სლოვენია — რუსეთი; ფარერები — ლუქსემბურგი
5 სექტემბერი ლუქსემბურგი — შვეიცარია; იუგოსლავია — სლოვენია; ფარერები — რუსეთი
6 ოქტომბერი იუგოსლავია — ლუქსემბურგი; რუსეთი — შვეიცარია; სლოვენია — ფარერები

### II ჯგუფი: ჰოლანდია, პორტუგალია, ირლანდია, კვიპროსი, ანდორა, ესტონეთი

**2000 წელი**

16 აგვისტო ესტონეთი — ანდორა
2 სექტემბერი ანდორა — კვიპროსი; ჰოლანდია — ირლანდია
3 სექტემბერი ესტონეთი — პორტუგალია
7 ოქტომბერი პორტუგალია — ირლანდია; ანდორა — ესტონეთი; კვიპროსი — ჰოლანდია
11 ოქტომბერი ირლანდია — ესტონეთი; ჰოლანდია — პორტუგალია
15 ნოემბერი კვიპროსი — ანდორა

**2001 წელი**

14 თებერვალი პორტუგალია — ანდორა
24 მარტი ანდორა — ჰოლანდია; კვიპროსი — ირლანდია
28 მარტი პორტუგალია — ჰოლანდია; კვიპროსი — ესტონეთი; ანდორა — ირლანდია
25 აპრილი ჰოლანდია — კვიპროსი; ირლანდია — ანდორა
2 ივნისი ირლანდია — პორტუგალია; ესტონეთი — ჰოლანდია
6 ივნისი ესტონეთი — ირლანდია; პორტუგალია — კვიპროსი
15 აგვისტო ესტონეთი — კვიპროსი
1 სექტემბერი ანდორა — პორტუგალია; ირლანდია — ჰოლანდია
5 სექტემბერი ჰოლანდია — ესტონეთი; კვიპროსი — პორტუგალია
6 ოქტომბერი ჰოლანდია — ანდორა; პორტუგალია — ესტონეთი; ირლანდია — კვიპროსი

### III ჯგუფი: ჩეხეთი, დანია, ბულგარეთი, ისლანდია, ჩრდ. ირლანდია, მალტა

**2000 წელი**

2 სექტემბერი ისლანდია — დანია; ბულგარეთი — ჩეხეთი; ჩრდ. ირლანდია — მალტა
7 ოქტომბერი ჩრდ. ირლანდია — დანია; ჩეხეთი — ისლანდია; ბულგარეთი — მალტა
11 ოქტომბერი დანია — ბულგარეთი; მალტა — ჩეხეთი; ისლანდია — ჩრდ. ირლანდია

**2001 წელი**

24 მარტი მალტა — დანია; ჩრდ. ირლანდია — ჩეხეთი; ბულგარეთი — ისლანდია
28 მარტი ჩეხეთი — დანია; ბულგარეთი — ჩრდ. ირლანდია
25 აპრილი მალტა — ისლანდია
2 ივნისი დანია — ჩეხეთი; ისლანდია — მალტა; ჩრდ. ირლანდია — ბულგარეთი
6 ივნისი დანია — მალტა; ისლანდია — ბულგარეთი; ჩეხეთი — ჩრდ. ირლანდია
1 სექტემბერი დანია — ჩრდ. ირლანდია; ისლანდია — ჩეხეთი; მალტა — ბულგარეთი
5 სექტემბერი ბულგარეთი — დანია; ჩეხეთი — მალტა; ჩრდ. ირლანდია — ისლანდია
6 ოქტომბერი დანია — ისლანდია; მალტა — ჩრდ. ირლანდია; ჩეხეთი — ბულგარეთი

### IV ჯგუფი: შვედეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, მაკედონია, აზერბაიჯანი, მოლდოვა

**2000 წელი**

2-3 სექტემბერი თურქეთი — მოლდოვა; აზერბაიჯანი — შვედეთი; სლოვაკეთი — მაკედონია
7 ოქტომბერი მაკედონია — აზერბაიჯანი; შვედეთი — თურქეთი; მოლდოვა — სლოვაკეთი
11 ოქტომბერი სლოვაკეთი — შვედეთი; აზერბაიჯანი — თურქეთი; მოლდოვა — მაკედონია

**2001 წელი**

24 მარტი შვედეთი — მაკედონია; თურქეთი — სლოვაკეთი; აზერბაიჯანი — მოლდოვა
28 მარტი მოლდოვა — შვედეთი; სლოვაკეთი — აზერბაიჯანი; მაკედონია — თურქეთი
2 ივნისი თურქეთი — აზერბაიჯანი; მაკედონია — მოლდოვა; შვედეთი — სლოვაკეთი
6 ივნისი თურქეთი — მაკედონია; შვედეთი — მოლდოვა; აზერბაიჯანი — სლოვაკეთი
1 სექტემბერი მაკედონია — შვედეთი; მოლდოვა — აზერბაიჯანი; სლოვაკეთი — თურქეთი
5 სექტემბერი თურქეთი — შვედეთი; სლოვაკეთი — მოლდოვა; აზერბაიჯანი — მაკედონია
7 ოქტომბერი მაკედონია — სლოვაკეთი; მოლდოვა — თურქეთი; შვედეთი — აზერბაიჯანი

*ესტონეთ — ანდორის მატჩით 16 აგვისტოს დაიწყება იაპონია-კორეაში გასამართი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ევროპული შესარჩევი ციკლი. ამომავალი მზის ქვეყანაში მსოფლიოს თასის მოსაპოვებლად „ბებერი კონტინენტიდან" 50 ქვეყანა ჩაებმება. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრები შესარჩევი მატჩებიდან თავისუფალია.*

*ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად მოიპოვებენ იაპონია-კორეის საგზურს, მეორეადგილოსნები კი პლეი ოფში ითამაშებენ. 9 გუნდიდან შეიქმნება 4 ევროპული წყვილი, მეხუთეს კი უარესი მეორეადგილოსანი და აზიის მესამე გუნდი შეადგენს.*

*საქართველოს ნაკრები მერვე ჯგუფში მოხვდა. ჩვენებურნი პირველ მატჩს 7 ოქტომბერს სტუმრად ლიტვის ნაკრებთან ჩაატარებენ.*

## მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### V ჯგუფი: ნორვეგია, უკრაინა, პოლონეთი, სომხეთი, ბელარუსი

**2000 წელი**

2-3 სექტემბერი ბელარუსი — უელსი; ნორვეგია — სომხეთი; უკრაინა — პოლონეთი
7-8 ოქტომბერი უელსი — ნორვეგია; სომხეთი — უკრაინა; პოლონეთი — ბელარუსი
10-11 ოქტომბერი პოლონეთი — უელსი; ნორვეგია — უკრაინა; ბელარუსი — სომხეთი

**2001 წელი**

24-25 მარტი უკრაინა — ბელარუსი; ნორვეგია — პოლონეთი; სომხეთი — უელსი
27-28 მარტი პოლონეთი — სომხეთი; უელსი — უკრაინა; ბელარუსი — ნორვეგია
2-3 ივნისი სომხეთი — ბელარუსი; უელსი — პოლონეთი; უკრაინა — ნორვეგია
5-6 ივნისი ნორვეგია — ბელარუსი; უკრაინა — უელსი; სომხეთი — პოლონეთი
1-2 სექტემბერი ბელარუსი — უკრაინა; უელსი — სომხეთი; პოლონეთი — ნორვეგია
4-5 სექტემბერი უკრაინა — სომხეთი; ბელარუსი — პოლონეთი; ნორვეგია — უელსი
6-7 ოქტომბერი უელსი — ბელარუსი; სომხეთი — ნორვეგია; პოლონეთი — უკრაინა

### VI ჯგუფი: ბელგია, შოტლანდია, ხორვატია, ლატვია, სან მარინო

**2000 წელი**

2 სექტემბერი ლატვია — შოტლანდია; ბელგია — ხორვატია
7-8 ოქტომბერი ლატვია — ბელგია
7 ოქტომბერი სან მარინო — შოტლანდია
11 ოქტომბერი ხორვატია — შოტლანდია
15 ნოემბერი სან მარინო — ლატვია

**2001 წელი**

14 თებერვალი ბელგია — სან მარინო
24 მარტი ხორვატია — ლატვია; შოტლანდია — ბელგია
28 მარტი შოტლანდია — სან მარინო
25 აპრილი ლატვია — სან მარინო
2 ივნისი ხორვატია — სან მარინო; ბელგია — ლატვია
6 ივნისი ლატვია — ხორვატია; სან მარინო — ბელგია
1 სექტემბერი შოტლანდია — ხორვატია
5 სექტემბერი სან მარინო — ხორვატია; ბელგია — შოტლანდია
6 ოქტომბერი ხორვატია — ბელგია; შოტლანდია — ლატვია

### VII ჯგუფი: ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, ბოსნია, ლიხტენშტაინი

**2000 წელი**

2 სექტემბერი ბოსნია — ესპანეთი
3 სექტემბერი ისრაელი — ლიხტენშტაინი
7 ოქტომბერი ლიხტენშტაინი — ავსტრია; ესპანეთი — ისრაელი
11 ოქტომბერი ისრაელი — ბოსნია; ავსტრია — ესპანეთი

**2001 წელი**

24 მარტი ბოსნია — ავსტრია; ესპანეთი — ლიხტენშტაინი
28 მარტი ლიხტენშტაინი — ბოსნია; ავსტრია — ისრაელი
2 ივნისი ესპანეთი — ბოსნია; ლიხტენშტაინი — ისრაელი
6 ივნისი ავსტრია — ლიხტენშტაინი; ისრაელი — ესპანეთი
1 სექტემბერი ბოსნია — ისრაელი; ესპანეთი — ავსტრია
5 სექტემბერი ლიხტენშტაინი — ესპანეთი; ავსტრია — ბოსნია
7 ოქტომბერი ისრაელი — ავსტრია; ბოსნია — ლიხტენშტაინი

### VIII ჯგუფი: რუმინეთი, იტალია, ლიტვა, უნგრეთი, საქართველო

**2000 წელი**

2 სექტემბერი რუმინეთი — ლიტვა
3 სექტემბერი უნგრეთი — იტალია
7 ოქტომბერი ლიტვა — საქართველო; იტალია — რუმინეთი
11 ოქტომბერი ლიტვა — უნგრეთი; იტალია — საქართველო

**2001 წელი**

24 მარტი უნგრეთი — ლიტვა; რუმინეთი — იტალია
28 მარტი საქართველო — რუმინეთი; იტალია — ლიტვა
2 ივნისი რუმინეთი — უნგრეთი; საქართველო — იტალია
6 ივნისი ლიტვა — რუმინეთი; უნგრეთი — საქართველო
1 სექტემბერი საქართველო — უნგრეთი; ლიტვა — იტალია
5 სექტემბერი საქართველო — ლიტვა; უნგრეთი — რუმინეთი
6 ოქტომბერი იტალია — უნგრეთი; რუმინეთი — საქართველო

### IX ჯგუფი: გერმანია, ინგლისი, საბერძნეთი, ფინეთი, ალბანეთი

**2000 წელი**

2 სექტემბერი ფინეთი — ალბანეთი; გერმანია — საბერძნეთი
7 ოქტომბერი საბერძნეთი — ფინეთი; ინგლისი — გერმანია
11 ოქტომბერი ალბანეთი — საბერძნეთი; ფინეთი — ინგლისი

**2001 წელი**

24 მარტი ინგლისი — ფინეთი; გერმანია — ალბანეთი
28 მარტი ალბანეთი — ინგლისი; საბერძნეთი — გერმანია
2 ივნისი საბერძნეთი — ალბანეთი; ფინეთი — გერმანია
6 ივნისი საბერძნეთი — ინგლისი; ალბანეთი — გერმანია
1 სექტემბერი გერმანია — ინგლისი; ალბანეთი — ფინეთი
5 სექტემბერი ინგლისი — ალბანეთი; ფინეთი — საბერძნეთი
6 ოქტომბერი გერმანია — ფინეთი; ინგლისი — საბერძნეთი

## უნგრეთი

24-ე ტური. ჰონვედი — ნიირშეგი 0:1; ჰალადაში — მტკ 0:4; ვაშაში — ვაცი 3:0; პეჩი — ზალაეგერსეგი 2:2; ნადიკანიჟა — უიპეშტი 1:1; შიოფოკი — დებრეცენი 4:1; ფერენცვაროში — დიოშდიორი 2:0; დიორ ეტო — ტატაბანია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 23 | 15 | 7 | 1 | 51:19 | 52 |
| ვაშაში | 23 | 15 | 3 | 5 | 47:20 | 48 |
| მტკ | 23 | 13 | 7 | 3 | 46:19 | 46 |
| ფერენცვაროში | 24 | 10 | 7 | 7 | 45:28 | 37 |
| დებრეცენი | 24 | 10 | 7 | 7 | 34:30 | 37 |
| ტატაბანია | 24 | 9 | 10 | 5 | 24:28 | 37 |
| ნიირშეგი | 24 | 10 | 5 | 9 | 28:33 | 35 |
| უიპეშტი | 24 | 9 | 7 | 8 | 42:33 | 34 |
| ზალაეგერსეგი | 23 | 7 | 11 | 5 | 25:16 | 32 |
| დიორ ეტო | 23 | 8 | 7 | 8 | 35:24 | 31 |
| პეჩი | 23 | 6 | 10 | 7 | 26:37 | 28 |
| ჰონვედი | 24 | 7 | 6 | 11 | 21:32 | 27 |
| ნადიკანიჟა | 24 | 5 | 8 | 11 | 20:32 | 23 |
| ჰალადაში | 23 | 6 | 3 | 14 | 24:40 | 21 |
| დიოშდიორი | 24 | 5 | 6 | 13 | 21:41 | 21 |
| შიოფოკი | 24 | 6 | 5 | 13 | 20:38 | 20 |
| ვაცი | 23 | 2 | 5 | 16 | 19:58 | 11 |

*„შიოფოკს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## რუმინეთი

27-ე ტური. ბრაშოვი — დინამო 4:3; ასტრა — სტიაუა 1:0; ფარული — გლორია 2:1; ნაციონალი — პეტროლული 4:1; ონეშტი — ექსტენსივი 3:2; რაპიდი — როკარი 1:1; რეშიცა — ოცელული 1:2; უნივერსიტატეა — არჯეში 3:1; ბაკეუ — ჩეჰლაული 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 23 | 2 | 2 | 75:25 | 71 |
| რაპიდი | 27 | 17 | 5 | 5 | 49:31 | 56 |
| ჩეჰლაული | 27 | 15 | 4 | 8 | 44:35 | 49 |
| არჯეში | 27 | 14 | 4 | 9 | 37:27 | 46 |
| ასტრა | 27 | 12 | 5 | 10 | 37:32 | 41 |
| გლორია | 27 | 13 | 2 | 12 | 39:37 | 41 |
| ნაციონალი | 27 | 12 | 4 | 11 | 48:35 | 40 |
| ოცელული | 27 | 12 | 3 | 12 | 43:39 | 39 |
| ბაკეუ | 27 | 11 | 6 | 10 | 30:30 | 39 |
| სტიაუა | 26 | 12 | 3 | 11 | 45:46 | 39 |
| პეტროლული | 27 | 10 | 5 | 12 | 36:42 | 35 |
| ბრაშოვი | 27 | 10 | 3 | 14 | 40:40 | 33 |
| უნივერსიტატეა | 27 | 9 | 6 | 12 | 30:31 | 33 |
| ფარული | 27 | 9 | 6 | 12 | 30:39 | 33 |
| როკარი | 26 | 10 | 1 | 15 | 35:43 | 31 |
| ონეშტი | 27 | 8 | 3 | 16 | 29:62 | 27 |
| რეშიცა | 27 | 5 | 7 | 15 | 32:56 | 22 |
| ექსტენსივი | 27 | 4 | 3 | 20 | 21:50 | 15 |

## ავსტრია

### თასის მეთექვსმეტედფინალი

პოლიცეი (III) — *ლეობენი* (II) 0:5; ბრაუნაუ (II) — ლუსტენაუ 4:2; ობერვარტი (III) — *ვიორგლი* (II) 2:5; ალტახი (III) — *ადმირა მიოდლინგი* (II) 0:2; ბადბლიბერგი (III) — *კარინტია* (II) 0:3; რანშოფენი (III) — *ლინცერი* 0:3დ.დ. (0:0); სეკირხენი (III) — *ვატენსი* (II) 0:4; ფაკი (III) — *ვიენა* (II) 0:3; ზიმერინგი (III) — რიდი 2:1; ჰარტბერგი (III) — *აუსტრია* 0:1; კიოფლახი (III) — *უნტერზიბენბრანი* (II) 0:3დ.დ. (0:0); კოტინგბრანი (III) — *გრაცერი* 1:5; პაზხინგი (III) — შტურმი 1:1 (პენ. 5:4); შპიტალი (III) — *ზალცბურგი* 0:2; *ტიროლი* — ბრეგენცი 2:0; ზალცბურგი (მოყვარულები) (III) — სენტ პოლტენი. მოყვარული ზალცბურგელები ავტომატურად გავიდნენ მერვედფინალში. მიზეზი, „სენტ პოლტენს" ჩამოერთვა ლიცენზია.

## დანია

### თასის მერვედფინალი

ფრიმადი — *ვიბორგი* 3:9; B 93 — *ბრონდბიუ* 0:4; გლოსტრუპი — *ლიუნგბიუ* 2:4; *ესბიერგი* — ოდენსე 1:0; მიდტილანდი — *ოლბორგი* 4:5; *ორჰუსი* — ვაილე 3:2; *აკადემისკი* — ჰერფიოლგე 1:0; *კოპენჰაგენი* — სილკებორგი 2:0

### მეოთხედფინალის წილისყრა

ორჰუსი — ბრონდბიუ; კოპენჰაგენი — აკადემისკი; ესბიერგი — ოლბორგი; ლიუნგბიუ — ვიბორგი.

*მატჩები გაიმართება 12 აპრილს.*

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08



*მას არა აქვს ტყვიასავით მოწოდება, არ გამოირჩევა დები უილიამსების ათლეტურობით და ჯერჯერობით, თუნდაც დიდი სლემის ტურნირის ფინალში გასვლითაც ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ როდესაც ფულზე მიდგება საქმე, ანა კურნიკოვას ვერავინ გაეჯიბრება.*



# ანამანია

## რუსი ლამაზმანის სექსუალური მილიონები

**მარტი(ე)** შარშან, 18 წლის რუსმა დაახლოებით 20 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, იმაზე მეტი, ვიდრე მსოფლიოს პირველმა და მეორე ჩოგნებმა — ლინდსი დევენპორტმა და მარტინა ჰინგისმა ერთად აღებული, და მისი შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება.

კურნიკოვა პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი ქალია და, ადრე თუ გვიან, უეჭველად გადაასწრებს ყველა დროის რეკორდსმენს — შტეფი გრაფს, რომელმაც კარიერაში საპრიზოებითა და ტურნირების ორგანიზატორებისგან მიღებული ჰონორარებით 30 მილიონი დააგროვა, ოთხი ამდენიც — რეკლამებით.

მაგრამ თუ ლეგენდარული გერმანელის შთამბეჭდავ საბანკო ანგარიშს უკან 22 დიდი სლემის ტიტული და კლასიფიკაციის პირველ ადგილზე გატარებული 7 წელი უდგას, კურნიკოვას, ჯერ ერთი, თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული ტურნირიც კი არ მოუგია.

მაშ რითი აიხსნება ანას ფენომენი? ცინიკოსების თქმით, იმ აქსიომით, რომ სექსი ყოველთვის და ყველგან იყიდება.

რკინის ფარდა სულ ახალი მოხსნილი იყო, როდესაც 10 წლის კურნიკოვა დედასთან, ალასთან ერთად მშობლების მოსკოვური კომუნალური ბინიდან ფლორიდაში, ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში აღმოჩნდა. 1995-ში ნიჭიერმა პატარამ თავისზე გაცილებით უფროს მეტოქეებს აჯობა, იუნიორებში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა და ყველას ყურადღება მიიპყრო.

ქერა, გრძელფეხება და ლამაზი რუსი, ლესბოსელებით, დაკუნთული და დამაშინებელი გარეგნობის ნახევარდიაცებით სავსე სპორტში ნამდვილი აღმოჩენა იყო და მასთან მსოფლიოს უდიდესმა სპორტულმა სააგენტომ — IMG-მ მოაწერა კონტრაქტს ხელი.

ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებიდან გამოსული ყველა სპორტსმენის მსგავსად, კურნიკოვას კლანსაც უპირველესად ხელის მოთბობა სურდა და პატარა ასაკის მიუხედავად, მისი სექს-სიმბოლოდ ქცევის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუ, რა თქმა უნდა, ამას მწვანეების შვიდნიშნა რაოდენობაც მოჰყვებოდა.

16 წლის ანას გამომწვევი, ქალი-ვამპირის იმიჯი შეუქმნეს, უამრავ ფოტოზე მაცდუნებელი იერი მისცეს და შესაფერისი მეტსახელებითაც დააჯილდოვეს — რუსული თოჯინა, ლოლიტა, ჩოგნიანი სპაის გოგო...

საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, მისი მლიერი სქესის წარმომადგენელთა ლომის ნაწილი ანკესზე ორივე ლაყუჩით წამოეგო: კურნიკოვა დღემდე მსოფლიოს ყველაზე პოპულარული ქალი სპორტსმენია, მის მატჩებზე ტრიბუნები ყოველთვის სავსეა, ინტერნეტში კი ყველა რეკორდი მოხსნა, პირადად მისთვის მიძღვნილი საიტების რაოდენობით.

ერთი ხანობა ანამანიამ ისეთ ისტერიულ დონეს მიაღწია, თვით ჩოგბურთელის ბანაკიც მიხვდა, რომ დრო იყო, ისტერიისთვის ალვირი ამოედოთ. 1998-ში კურნიკოვამ განაცხადა, რომ მისი კორტსგარეთა იმიჯი „ზედმეტად სექსუალური“ გახდა, IMG-ის არასწორ პოლიტიკაში დადო ბრალი და კონკურენტ სააგენტო „ოქტაგონში“(ყოფილი „ედვანთიჯი“) გადაბარგდა.

პრინციპში, ამით არაფერი შეცვლილა: კორტზე რუსი დიდი მიღწევებით არ გამოირჩევა და სტაბილურად მარცხდება ძლიერ მეტოქეებთან, მაგრამ კომპანიები ისევ რიგში დგანან, რათა თავიანთი სახელი მისას დაუკავშირონ.

კურნიკოვას სპონსორთა სია ძალიან გრძელია: სპორტული აღკაზმულობის მხრივ მას „ადიდასთან“ აქვს კონტრაქტი, ჩოგნებით „იონექსი“ ამარაგებს. თავის წილ მილიონებს უთვლიან მას საინტერნეტო კომპანია „ეთლით დირექტი“და ამერიკული საბირჟო გიგანტი „შვაბი“.

ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც



რამდენიმე თვის წინ საცვლების მწარმოებელ ცნობილ ფირმა „ბერლეისთან“ დადებულ ხელშეკრულებას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც ჩოგბურთელმა სპორტულ ბიუსტჰალტერებს უნდა გაუწიოს რეკლამა. კურნიკოვას მენეჯერთა გუნდს სექსუალური მიმზიდველობით სპეკულირებაში დასდეს ბრალი, ზემოხსენებული პროდუქტით შემოსილი მოთამაშის სურათებმა კი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა წალეკა.

„ბერლეისგან წინადადება ძალიან დიდი ხანია მივიღე, მაგრამ სანამ ანას 18 არ შეუსრულდა, მასზე სერიოზულად არც გვიფიქრია — თავს იცავს კურნიკოვას აგენტი ფილ დე პიჩოტო — ყოველთვიურად ჩვენ ასობით სპონსორის მოთხოვნას ვღებულობთ, რომლებიც ყველაფერზე მზად არიან, ოღონდ მასთან კონტრაქტი გააფორმონ. ათიდან ცხრას უარს ვეუბნებით“.

პრესტიჟული ფირმების რეკლამირების გარდა კურნიკოვას ათობით სხვა სალიცენზიო შეთანხმებაც გააჩნია, რაც ჯიბის გასქელების მეტად იოლი საშუალებაა. ის ნებას რთავს მისი იმიჯი რაიმე პროდუქტთან დააკავშირონ და ამასთან არანაირ ვალდებულებას არ კისრულობს. ასეთი ხელშეკრულებები ეხება ყველაფერს, პლაკატებიდან დაწყებული, იაპონური ფირმა „ნამკოს“ კომპიუტერული თამაშით დამთავრებული, რომელიც მსურველს ჩოგბურთელთან თამაშის შესაძლებლობას აძლევს.

„ის რომ კარგი ჩოგბურთელი არ იყოს, მთელი ამ ყურადღების ობიექტი არ იქნებოდა. ჩვენ ვცდილობთ, რომ ანას იმიჯი და დიდება კონტროლს დავუქვემდებაროთ, რათა ეს დაბრკოლებად არ იქცეს. მას დიდი მომავალი აქვს და ხანგრძლივი, წარმატებული კარიერისთვის ყველა პირობის შექმნა ისევ ჩვენს ინტერესებში შედის“ — პასუხობს კრიტიკოსებს პიჩოტო.

და რას ფიქრობს ყველაფერ ამაზე თავად კურნიკოვა? „ჩემს გარეგნობას ვერაფერს მოვუხერხებ. მე უპირველეს ყოვლისა ჩოგბურთელი ვარ და ჩემი მთავარი მიზანი კარგად თამაშია. რა ჩემი ბრალია, თუ კარგად გამოვიყურები და ყურადღებას ვიბყრობ?“

მაგრამ რუსის სიტყვებს ყველა არ ენდობა. შარშან ანა წყვილებში მარტინა ჰინგისთან ერთად თამაშობდა და საკმაოდ წარმატებულადაც, მაგრამ დუეტი სეზონის დასაწყისში დაიშალა. როგორც ამბობენ, მარტინას დედას, მელანი მოლიტორის მოთხოვნით, რომელიც ფიქრობდა, რომ გართობის მოყვარული მეწყვილე მის ქალიშვილზე ცუდ გავლენას ახდენდა.

რამდენიმე კვირის წინ კი კურნიკოვამ კიდევ ერთი შეუსაბამო გადაწყვეტილება მიიღო — ის ჯიმ კერის მომდევნო კომედიაში აპირებს თამაშს 65 წლის მდიდარი ბებრის საყვარლის როლში.

როგორც ეტყობა, ანა „ანლიმითიდ“ ახალი ინდუსტრიის დაპყრობას აპირებს.

**ავთანდილ სვანიძე**

# ოზური ნიჭი და გერმანული ხასიათი

**ავსტრალია 2:0 გერმანია**

**ლეიტონ ჰიუიტი — მიქაელ კოლმანი 6:1, 6:1, 6:2**

**უეინ არტურსი — დავიდ პრინოშილი 7:6, 3:6, 7:6, 6:7, 11:9**

**დევისის** თასის პირველ მატჩში ადელაიდაში, ერთმანეთს შესუსტებული ავსტრალიისა და გამოფიტული გერმანიის ნაკრებები დაუპირისპირდნენ და, როგორც თავიდან ორივე მხარე ამბობდა, პირველი ორი შეხვედრის შემდეგ ავსტრალიის უპირატესობა აშკარაა. საწყისი დაპირისპირება 19 წლის „გამოცდილ“ ლეიტონ ჰიუტსა და 26 წლის გერმანელ „ახალბედა“, მიქაელ კოლმანს შორის შედგა. კოლმანი უცნობი კაცია საჩოგბურთო ელიტაში, კლასიფიკაციაში 158-ე და ნახევრად მოყვარული, ხოლო ის, რომ პროფესიონალებსა და მოყვარულებს შუა დიდი ზღვარია, თამაშში იგრძნობოდა. კოლმანმა ორი ეისით დაიწყო, მერე კი ავსტრალიელის სეირნობის ჟამი დადგა. ჰიუიტი დომინირებდა ყოველმხრივ და შეხვედრას 80 წუთში დაუსვა წერტილი — 6:1, 6:1, 6:2. მოთამაშეთა კომენტარებიც გასაგებია — ოზმა, მშვენივრად ამეწყო თამაშიო და გერმანელმა კიდევ, ესა ვარ სულო. შედეგად 1:0 ავსტრალიის სასარგებლოდ.

შემდეგ ადელაიდის კორტზე რეიტინგებით თითქმის თანაბარძალოვანი მოთამაშენი გავიდნენ. გერმანელი დავიდ პრინოშილი 85-ეა ჩოგბურთელთა ერთიან ნუსხაში, 9 ადგილის შემდეგ კი ავსტრალიელი უეინ არტურსი მოკალათებულა. მათ ოთხნახევარი საათი უწეწეს ნერვები ერთმანეთს და, მეორე პარტიის გარდა, უტაიბრეიკოდ ერთხელაც ვერ გაიყარნენ. პირველ პარტიაში ოზმა იმარჯვა, მერე — გერმანელმა, მესამეში ისევ ოზმა, მერე — გერმანელმა და მეხუთეში 20 გეიმი დასჭირდა საბოლოო გამარჯვებულის დადგენას. მე-14 და მე-16 გეიმებში პრინოშილმა ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მაგრამ მაინც არ დაადგა. საშველი, პრინციპული გათამაშებები არტურსმა მოიგო და თამაშიც. გერმანელი გულგატეხილი ჩანდა: „ძალიან ნაწყენი ვარ, არადა, დიდებულად ვითამაშე, მეტოქეზე კარგადაც და წესით უნდა მომეგო.“ ამასთანავე პრინოშილი გერმანელია და სანამ პირში სული უდგას, იმას ვინ ათქმევინებს, მორჩა ყველაფერიო. არადა, კაცმა რომ თქვას, თითქმის მორჩა, ის კი გაიძახის, წყვილებში მოგების დიდი იმედი მაქვსო.

**ესპანეთი 2:0 რუსეთი**

**ალექს კორეტხა — მარატ საფინი 6:4, 6:3, 5:7, 6:1**

**ხუან კარლოს ფერერო — ევგ. კაფელნიკოვი 6:2, 6:2, 6:2**

ესპანეთში, მატჩის დაწყებამდე საყურადღებო ის მოხდა, რომ მალაგის კორტი საფინს არ მოეწონა და მასპინძლებს კრიტიკაც არ დააკლო. კორტის ძლიერ დათიხნარება მას საგანგებოდ მოწყობილ საქმედ მიაჩნია, რახან ესპანელები სწორედ თიხნარზე გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში. საფინი დარჩა უკმაყოფილო და რატომღაც ევგენი კაფელნიკოვს რომ რაიმე მოსწონებოდა. მსოფლიოს მეორე ნომერი თუნდაც იმით დარჩა უკმაყოფილო, რომ, ესპანელთა პროგნოზით, მათ მატჩი სამით ორზე უნდა მოიგონ. გაჩერდით ერთი, თუ ხალხი ხართ! — დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო სოჭელის კომენტარი და იმის ფარული დაპირებაც, რომ თქვენ ფერეროს ნაკუწებად ვაქცევ კორტზეო. ხუან კარლოს ფერერო 20 წლის ყმაწვილია, რომელიც ყველასგან მოულოდნელად, ესპანელთა კაპიტანმა ხავიერ დუარტემ კაფელნიკოვთან სათამაშოდ გაამწესა. ადრე ამ საქმისთვის ესპანელებს უფრო ცნობილი ალბერტ კოსტა ჰყავდათ შეგულებული, იტალიასთან მერვედფინალში გამარჯვების შემოქმედი. ცვლილებაა რუსებშიც, უფრო ზუსტად შევსება. ვეტერანი ანდრეი ჩერკასოვი წყვილებში კაფელნიკოვის სამუშაოს იტვირთავს.

ჰოდა, იმას ვამბობდით, კაფელნიკოვს ფეროროს ნაკუწებად ქცევა რომ განეზრახა. მაგრამ გაისარჯეთ და ცოტა მაღლა მოცემულ შედეგებს ერთხელაც დააკვირდით, ჩვენ მეტს აღარაფერს დავამატებთ. კორეტხასა და საფინის თამაშს რაც შეეხება, მასში ესპანელის უპირატესობა იგრძნობოდა და საფინის ვაჟკაცური წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსაგებად უკიდურესი ჯაფა არ დასდგომია.

**ბრაზილია 0:1 სლოვაკეთი**

**დომინიკ ჰრბატი — ფერნანდო მელეგინი 6:1, 7:5, 6:2**

თამაშის წინ კაფელნიკოვისა არ იყოს, გულშემატკივართა წინაშე მელეგინიც აცხადებდა, მეტოქის „შეჭმის“ თავისეული განზრახვის შესახებ და ასევე შერცხვა. ჰრბატი ისე თავდაჯერებულად იქცეოდა, ვითომ რიოს ცენტრალურ კორტზე მოღრიალე ბრბო ქვეყანაზე მისი მხარდამჭერი ყოფილიყოს და საკმაოდ უდრტვინველად ჩაწერა პირველი ქულა სლოვაკთა გრაფაში.

**დავით გულუა**



ტრაბახა კაფელნიკოვის დამმარცხებელმა ხუან კარლოს ფერერომ ესპანელთა კაპიტნის ხავიერ დუარტეს ამბორიც დაიმსახურა

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია დაბადების 60 წლისთავს ულოცავს პირველი თაობის მორაგბეს, სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ნოდარ ყიფიანს**

# ქართველი მწვრთნელები აღარ წუწუნებენ

## გაჭირვებას შეჩვეულთ ლეგიონერების პოკერის იმედი აქვთ



გელა წულაძე



ნიკო ჩერქეზიშვილი

*საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები ხვალ საფრანგეთს მიემგზავრება. ქალაქი სენ კანტენი 11-15 აპრილს თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს, სადაც ქართველებიც მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენებურთა მეტოქენი ფრანგები, რუსები, თურქები, სლოვენიელები და პოლონელები იქნებიან. ამათგან სამი რჩეული გუნდი კი დასკვნით, ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს, რომელიც ივლისში ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაიმართება.*

*ფინალში თამაშის სურვილი, ცხადია, ძალიან დიდია. საამისოდ ქართველ ჭაბუკებს უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევთ საფრანგეთში. ღმერთმა ინებოს, მათ ეს ბარიერიც დაძლიონ და კონტინენტის ელიტარულ ქვეყნებს შორის დაიბევონ ადგილი, თუმც სადღეისოდ გუნდში არსებული ვითარება და ჭაბუკთა მომზადების ხარისხი გულშემატკივარს მშვიდად ყოფნის საფუძველს არ აძლევს.*

*გუშინ ქართველმა ჭაბუკებმა გამგზავრებამდე ბოლოსწინა ვარჯიში გამართეს. უფრო სწორად, მათ უკანასკნელი საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს სტუ-სთან. თვრამეტწლამდელთა მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს და მწვრთნელ გელა წულაძეს თამაშამდე გავესაუბრეთ. ჩვენს შეკითხვებზე ხან ერთი პასუხობდა, ხან მეორე. საუბარი კი, ბუნებრივია, ჭაბუკებს და მოახლოებულ ტურნირს ეხებოდა...*

**— როდიდან შეუდექით მზადებას?**

— ექვსეულის თამაშები დამთავრდა თუ არა, მეორე დღესვე, პირველ აპრილს შევკრიბეთ ბიჭები და ვარჯიში დავიწყეთ. აქ მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებს ვგულისხმობ. ლეგიონერების ჩამოყვანის საშუალება არც კი გვქონია.

**— საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებს მანამდე არ უვარჯიშიათ ერთად?**

— ეს შეუძლებელი იყო. ჩემპიონატის მსვლელობისას ყველა თავის კლუბშია დაკავებული. მწვრთნელი სულაც არ არის ვალდებული, რომ ამ დროს სხვაგან გაუშვას მოთამაშე, თუნდაც ეს ნაკრები იყოს. ამან ხელი შეუშალა ჩვენს მომზადებას.

**— ნუთუ ნაკრების ინტერესები კლუბისას არ უნდა აღემატებოდეს?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვერავის გაამტყუნებ. ყველას თავისი ინტერესი ამოძრავებს.

**— თქვენ ბოლოს სლოვაკეთში ითამაშეთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ეს აგვისტოში იყო. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. გამოდის, რომ ამ ხნის მანძილზე გუნდში არაფერი გაკეთებულა.**

— სამწუხაროდ, არაფერი. ერთადერთი თურქეთში შეგვეძლო წასვლა, საშობაო არდადეგებისას ჩემპიონატშიც შესვენება იყო გამოცხადებული და გუნდის მოსამზადებლად ამ დროს თუ გამოვიყენებდით, მაგრამ უფულობის გამო არც ეს მოხერხდა. მიჭირს სულ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ რას ვიზამთ, ასეა. ერთი სიტყვით, სხვა საშუალება არ არის, ამას უკვე მწვრთნელებიც შევეგუეთ და აღარც ვწუწუნებთ.

**— ყველაფერი დღესავით ნათელია. შვიდი თვის მანძილზე ნაკრებმა მხოლოდ ერთი კვირა ივარჯიშა. ისიც არასრული შემადგენლობით, ლეგიონერების გარეშე...**

— მეტს ვერაფერს მოვახერხებდით, თუ რატომ, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ყველამ იცოდეს, ეს გუნდი ძალიან დიდი პოტენციისაა, მაგრამ საფრანგეთში სრულიად მოუმზადებელი მიდის. თორმეტივე რომ ვარსკვლავი გვყავდეს, უვარჯიშებლად მიზნის მიღწევა მაინც ძალიან ძნელია.

**— როგორც წესი, წამსვლელთა საბოლოო შემადგენლობას გამგზავრებამდე ერთი ან ორი დღით ადრე ასახელებენ მწვრთნელები. თქვენ მხოლოდ რვა კალათბურთელი გამოიძახეთ და თქვით, რომ ოთხი ლეგიონერიც პირდაპირ საფრანგეთში შემოგვიერთდებაო. გამოდის, თავიდანვე განაცხადეთ საფრანგეთში წამსვლელთა ვინაობა, ბიჭები კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ ნაკრებში...**

— ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მომზადებისთვის სულ ერთი კვირა გვრჩებოდა. საკუთარ თავზეც გამოგვიცდია, რომ კონკურენციის პირობებში მოთამაშეები ძალიან ბევრს ნერვიულობენ, რადგან უკლებლივ ყველას შემადგენლობაში მოხვედრა სურს. ასეთ დროს კი კალათბურთელი სრულად ვერ ავლენს შესაძლებლობებს, ემოციური წნეხის ქვეშ ექცევა. ეს რომ თავიდან აგვეცილებინა, მხოლოდ ისინი გამოვიძახეთ, ვისაც წავიყვანთ. გვინდოდა, ემოციური ტვირთი მაინც მოგვეხსნა მოთამაშეთათვის. მეტი დრო რომ გვქონოდა, სხვანაირად მოვიქცეოდით, ნაკრებში გაცილებით მეტ კალათბურთელს მოვიწვევდით, თუმცა, ვფიქრობთ, სადღეისოდ ესენი ყველაზე მეტად იმსახურებენ საფრანგეთში წასვლას.

**— რვა კაცით ახერხებდით სრულფასოვანი ვარჯიშების ჩატარებას?**

— ამისთვის რამდენიმე მოთამაშე დავიმატეთ კადეტთა ნაკრებიდან. მიუხედავად ამისა, წვრთნას სრულფასოვანს მაინც ვერ დავარქმევთ, გუნდის ოთხი წამყვანი მოთამაშე ხომ უცხოურ კლუბებში თამაშობს და მხოლოდ საფრანგეთში დაგვემატება.

**— ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა სლოვაკეთის ტურნირის ანალოგიურია?**

— ერთადერთი ცვლილება მოვახდინეთ, გიორგი მშვილდაძის ნაცვლად ბაჩანა სულაძეს ვუხმეთ. დანარჩენებმა სლოვაკეთშიც ითამაშეს.

**— ამ ხნის მანძილზე ლეგიონერებთან თუ გქონდათ ურთიერთობა, ამ ბიჭების თამაშს თუ ადევნებდით თვალყურს?**

— თამაშის ნახვის შესაძლებლობა არ მოგვეცა, თუმც თქვენი გაზეთის საშუალებით მათზე ბევრ ინფორმაციას ვიღებდით. სულ საქმის კურსში ვიყავით ამა თუ იმ კალათბურთელმა როგორ ითამაშა, რა შედეგიანობა ჰქონდა. გარდა ამისა, „სლოვენიელებთანაც“ და ფაჩულიასთანაც ხშირი კონტაქტები დავამყარეთ, სისტემატურად ვესაუბრებოდით ტელეფონით. ამას წინათ ვლადიმერ ბოისას ველაპარაკეთ და მანაც ძალიან დაგვაიმედა, ცქიტიშვილიც, უგრეხელიძეცა და კეიდიაც ისეთ ფორმაში არიან, ვერც კი იცნობთო — გვითხრა. ზაზა ფაჩულიაზე საუბარიც ზედმეტია, სრულ მზადყოფნაში რომ არ იყოს, „ულქერის“ ძირითად შემადგენლობაში არავინ ათამაშებდა.

**— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ გუნდის ტაქტიკურ მონახაზში როგორ ჩაჯდებიან ლეგიონერები? ისინი ხომ სრულიად შეუთამაშებელნი არიან ბიჭებთან. ეს არ გაშინებთ?**

— საქმე ისაა, რომ მათ ფაქსით გავუგზავნეთ კომბინაციები, სადაც ყველაფერი დეტალურად ავუხსენით. იქ ისეთი არაფერია, რაც მათ არ გაუკეთებიათ, უბრალოდ, რომ არ დავიწყებოდათ, შევახსენეთ. ახლა მთავარია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ორი ვარჯიში, რომლის გამართვის შესაძლებლობაც ტურნირის დაწყებამდე მოგვეცემა. ნაკრებს სრული შემადგენლობით რომ შევკრებთ, რამდენჯერმე კიდევ გავიმეორებთ კომბინაციებს და მეტნაკლებად, ალბათ, შეთამაშდებიან კიდეც კალათბურთელები.

**— დასამალი არ უნდა იყოს, რომ წარმატების იმედი ძირითადად ლეგიონერებს ეფუძნება...**

— რა თქმა უნდა, ასეა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ისინი საუკეთესო ფორმაში იქნებიან. კომბინაციების უმრავლესობაც სწორედ რომ მათზეა გათვლილი. ახლა დანარჩენებს ვამზადებთ იმისთვის, რომ იმავე ფაჩულიას თუ ცქიტიშვილს ყველა წინაპირობა შეუქმნან, რათა მათ თავი სრულად წარმოაჩინონ. თუ ეს შევძელით, ვფიქრობ, არ უნდა გაგვიჭირდეს სამეულში მოხვედრა. წინა ხაზი საუკეთესო რგოლია ჩვენს ნაკრებში, სლოვაკეთის ტურნირმაც ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენი მაღლები ერთი თავით სჯობნიან მეტოქეებს. ფრანგთა მწვრთნელმაც თქვა, თქვენი ცენტრები რომ მოგვცა, უეჭველად ჩემპიონები გავხდებითო.

**— ფრანგებს თქვენ სლოვაკეთშიც შეხვდით. ასე თუ ისე, კარგად იცნობთ ამ გუნდს, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენებზე...**

— ასეა. სხვა ნაკრებებზე ძალიან მწირ ინფორმაციას ვფლობთ. ვიდეოფირზე ვნახეთ სლოვენიელების, რუსებისა და თურქების კადეტების თამაშები, როცა ისინი ჩვენს კადეტებს შეხვდნენ შარშან, თუმც ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. ამით ჩვენ გავეცანით მათ სათამაშო მანერას, შევისწავლეთ მეტოქეთა სტილი, მაგრამ შემსრულებლები სულ სხვები ეყოლებათ. სლოვენიელებზე გავიგეთ, რომ ერთი წამყვანი მოთამაშე დამტვრევიათ და საფრანგეთში არ ითამაშებს (ბენო უდრიჰი — 1999 წლის საუკეთესო ახალბედა — გ.ბ.), თუმც ისედაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. ამ ასაკში ყოველთვის კარგი გუნდები ჰყავდათ რუსებს და თურქებს. შედარებით სუსტად, ალბათ, პოლონელები უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხებათ ფრანგებს, ისინი, ვფიქრობთ, ტურნირის ფავორიტები არიან. სლოვაკეთში მათთან ოთხი ქულით დავმარცხდით. ფრანგებს ჰყავთ ძალიან ძლიერი გამთამაშებელი პარკერი, რომელიც ერთ-ერთ პერსპექტიულ კალათბურთელად ითვლება ევროპაში. გუნდის თამაში მთლიანად მასზეა აწყობილი, მათთან წარმატება თუ გვინდა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, პარკერი უნდა გავაჩეროთ. თუ მას სამოქმედო სივრცე მივეცით, დიდ პრობლემებს შეგვიქმნის.

**— და მაინც, როგორ შეაფასებდით მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს?**

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებთ. ვფიქრობთ, მთლად უშანსოდ არ უნდა ვიყოთ, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად მოუმზადებლები მივდივართ. ჩვენი ერთადერთი პლუსი ისაა, რომ ოთხივე ლეგიონერი ძალიან სერიოზულ კლუბში თამაშობს. ამ ბიჭების უნარი ორმოცდაათი პროცენტით მაინც რომ გამოვიყენოთ, სამეულს მიღმა არ დავრჩებით. ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ესაა.

გიორგი ბიძაშვილი

### საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| კოტე ტულუში | 1984 | 194 | სტუ |
| ბაჩანა სულაძე | 1983 | 181 | სტუ |
| დავით მოისწრაფიშვილი | 1982 | 192 | სტუ |
| ბუბა ბერიშვილი | 1983 | 183 | სსუ |
| **ფორვარდები** | | | |
| გიორგი მარკოიშვილი | 1983 | 200 | თსუ |
| ლაშა ბაბიაშვილი | 1982 | 200 | აზოტი |
| შიო ხეცურიანი | 1983 | 197 | თსუ |
| ირაკლი შანიძე | 1982 | 199 | ვითა |
| ნიკა ცქიტიშვილი | 1983 | 211 | სლოვანი, სლოვენია |
| ირაკლი კეიდია | 1983 | 203 | სლოვანი, სლოვენია |
| **ცენტრები** | | | |
| დავით უგრეხელიძე | 1983 | 208 | სლოვანი, სლოვენია |
| ზაზა ფაჩულია | 1984 | 210 | ულქერი, თურქეთი |

*მთავარი მწვრთნელი: ნიკო ჩერქეზიშვილი; მწვრთნელი: გელა წულაძე*

### საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების თამაშთა განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 11 აპრილი | საქართველო | საფრანგეთი |
| 12 აპრილი | საქართველო | რუსეთი |
| 13 აპრილი | საქართველო | სლოვენია |
| 14 აპრილი | საქართველო | პოლონეთი |
| 15 აპრილი | საქართველო | თურქეთი |

### საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მეტოქეები

#### საფრანგეთი

უკანა ხაზი: გიიომ კონსტანტინი (195 სმ, ევრე), დავიდ ფრაპრო (190, შოლე), რობერ მიშალსკი (200, ინსეპი), ვენსან მუიარი (182, შოლე), ტონი პარკერი (186, პარი სენ ჟერმენი), გიიომ შაშჩაკი (190, ინსეპი)

ფორვარდები: ბორის დიავი (203, ინსეპი), ჟულიენ დორო (197, ინსეპი), იაკუბა დიავარა (197, დიჟონი), გაეტან მიულერი (197, ევრე), მიკაელ პიეტრუსი (197, პო ორტეზი), მიკაელ ალტიე (204, ლე მანი), რემი ბრუნელი (204, შოლე)

ცენტრები: გიიომ იანგო (200, დიჟონი), ნოელ ნიჟანი (200, ინსეპი), რონი ტურიაფი (204, ინსეპი)

*ამათგან 12 კალათბურთელი ითამაშებს ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე.*

#### სლოვენია

უკანა ხაზი: ნეიჩ სტრანდი (185, ბანექსი), მელვის ჰასკიჩი (192, კოპერი), დრაგან მილეტიჩი (186, პივოვარნა), დუშან ადამოვიჩი (192, ლიტია), ერვინ ტარანიში (192, კრკა), ზორან კესელი (192, ლოკა კავა), იგორ ივაშკოვიჩი (1197, კრკა)

ფორვარდები: საშა ლიუბენოვიჩი (203, სლოვან ჰაუპტმანი), მარინო ბურშიჩი (201, ოლიმპია), ერაჟემ ლორბეკი (204, ოლიმპია), უროშ შლოკარი (207, იეჟიცა)

ცენტრები: სალიჰ ნუჰანოვიჩი (208, ელექტრა), მიჰა ჟუპანი (205, ლიუბლიანა), სიმონ მორავეცი (212, ოლიმპია)

*სლოვენიის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი მემი ბეჩიროვიჩი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ამათგან 12 კალათბურთელს დაასახელებს.*

#### თურქეთი

უკანა ხაზი: ჯან აქინი (185, იესილიურთი), მეჰმეთ იავუზი (189, ოიაქი), ენდერ არსლანი (185, ეფესი), გიოქჰან ორალი (192, თოფაში)

ფორვარდები: ერქან ვეისელოღლუ (195, ეფესი), მესუთ ადემოღლუ (206, ულქერი), ენეშ იოლდაში (202, ოიაქი), ჯევჰერ ოზერი (199, ტელეკომი), ოზგუნ უნვერი (194, ტროი), ილჰაი ოქაი (200, ოიაქი), მელიჰ ქაბაქჩი (198, თოფაში)

ცენტრები: ოქთაი ილმაზი (201, ეფესი), ენვერ ექმენი (203, ეფესი), მუთლუ აქფინარი (203, ტელეკომი), ნიკოლაი პასტალი (200, ეფესი), ლევენთ ბილგინი (208, ითუ)

*თურქეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი ჰურსით ბაითოქი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ამათგან 12 კალათბურთელს დაასახელებს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

XXXI ტური

კახა სან ფერნანდო — კასერესი 74:81, ტაუ — ბადალონა 105:82, ბარსელონა — ფუენლაბრადა 84:54, კანარიასი — რეალი 64:66, ფორუმი — ხირონა 61:57, ტდკ — პამესა 89:80, ესტუდიანტესი — უნიკახა 77:60, ბრეოგანი — ლეონი 67:77, კანტაბრია — ხიხონი 81:61

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 23 | 8 | 2307:2034 | 54 |
| სან ფერნანდო | 31 | 22 | 9 | 2235:2099 | 53 |
| რეალი | 31 | 21 | 10 | 2362:2146 | 52 |
| ესტუდიანტესი | 31 | 21 | 10 | 2283:2162 | 52 |
| ტაუ | 31 | 20 | 11 | 2448:2255 | 51 |
| პამესა | 31 | 19 | 12 | 2488:2310 | 50 |
| უნიკახა | 31 | 18 | 13 | 2183:2138 | 49 |
| კანარიასი | 31 | 17 | 14 | 2238:2268 | 48 |
| კასერესი | 31 | 15 | 16 | 2252:2286 | 46 |
| ხირონა | 31 | 14 | 17 | 2278:2236 | 45 |
| ფორუმი | 31 | 13 | 18 | 2101:2227 | 44 |
| ბრეოგანი | 31 | 13 | 18 | 2236:2319 | 44 |
| ბადალონა | 31 | 13 | 18 | 2419:2452 | 44 |
| კანტაბრია | 31 | 11 | 20 | 2150:2386 | 42 |
| ფუენლაბრადა | 31 | 10 | 21 | 2245:2326 | 41 |
| ტდკ | 31 | 10 | 21 | 2093:2231 | 41 |
| ხიხონი | 31 | 10 | 21 | 2111:2350 | 41 |
| ლეონი | 31 | 9 | 22 | 2089:2293 | 40 |

## იტალია

XXIX ტური

კინდერი — ტრიესტი 85:69, აეროპორტი — ვარეზე 69:65, ძუკეტი — ფორტიტუდო 75:74, კანტუ — იმოლა 90:86, პეპსი — რეჯანა 84:77, ადეკო — სიენა 62:59, ბენეტონი — მიულერი 89:72, ვიოლა — სკავოლინი 74:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 29 | 26 | 3 | 2289:1998 | 55 |
| ბენეტონი | 29 | 21 | 8 | 2260:2065 | 50 |
| კინდერი | 29 | 20 | 9 | 2204:1967 | 49 |
| სკავოლინი | 29 | 18 | 11 | 2260:2162 | 47 |
| ძუკეტი | 29 | 18 | 11 | 2191:2155 | 47 |
| აეროპორტი | 29 | 17 | 12 | 2119:2133 | 46 |
| ვიოლა | 29 | 15 | 14 | 2172:2226 | 44 |
| სიენა | 29 | 14 | 15 | 2015:1996 | 43 |
| იმოლა | 29 | 14 | 15 | 2401:2403 | 43 |
| ვარეზე | 29 | 12 | 17 | 2187:2198 | 41 |
| ტრიესტი | 29 | 11 | 18 | 2126:2129 | 40 |
| მიულერი | 29 | 10 | 19 | 2126:2247 | 39 |
| პეპსი | 29 | 10 | 19 | 2073:2196 | 39 |
| ადეკო | 29 | 10 | 19 | 2055:2243 | 39 |
| კანტუ | 29 | 10 | 19 | 2057:2273 | 39 |
| რეჯანა | 29 | 6 | 23 | 2162:2306 | 35 |

## საბერძნეთი

5-12 ადგილებზე გასული გუნდების პლეი ოფი

| | |
|---|---|
| **ირაკლისი** | 2 |
| მარუსი | 0 |

მარუსი 101:102 ირაკლისი

| | |
|---|---|
| **არისი** | 2 |
| ნიარ ისტი | 0 |

ნიარ ისტი 81:85 არისი

| | |
|---|---|
| **პანიონიოსი** | 2 |
| ირაკლიონი | 1 |

ირაკლიონი 94:78 პანიონიოსი

პანიონიოსი 85:66 ირაკლიონი

| | |
|---|---|
| **პერისტერი** | 2 |
| დაფნი | 1 |

დაფნი 90:88 პერისტერი

პერისტერი 84:66 დაფნი

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან:*

ოლიმპიაკოსი — არისი

პაოკ — პერისტერი

პანათინაიკოსი — ირაკლისი

აეკ — პანიონიოსი

*მეოთხედფინალი 11 აპრილს დაიწყება. სერია ორ მოგებამდე გასტანს*

### რეგულარული ჩემპიონატი

# ბოგანოთა აღზევება

6 აპრილი

**იუტა 105:85 ფინიქსი**

იუტა: მელოუნი (19)
ფინიქსი: ჰარდევეი (13)

**ვანკუვერი 89:87 პორტლენდი**

ვანკუვერი: დიკერსონი (27), აბდურ-რაჰიმი (18 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი)
პორტლენდი: ვოლესი (28)

**კლიპერსი 90:112 მინესოტა**

კლიპერსი: ტეილორი (29)
მინესოტა: გარნეტი (28), შჩერბიაკი (23)

**დენვერი 115:116 დალასი**

(ძირითადი დრო 106:106)

დენვერი: მაკლაუდი (23), მაკდაიესი (18 ქულა, 13 მოხსნა), ვან ექსელი (17 ქულა, 12 პასი)
დალასი: ნოვიცკი (32 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), ფინლი (23)

**ჩიკაგო 90:88 მილუოკი**

ჩიკაგო: ჰოკინსი (20), ბრენდი (20 ქულა, 13 მოხსნა), არტესტი (17)
მილუოკი: რობინსონი (24), ალენი (19), კასელი (18)

**ნიუ იორკი 101:92 ვაშინგტონი**

ნიუ იორკი: იუინგი (30 ქულა, 10 მოხსნა), კემბი (21 ქულა, 15 მოხსნა)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (23), ჰოვარდი (20), ჰამილტონი (17)

**მაიამი 76:70 შარლოტი**

მაიამი: მურნინგი (26 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)
შარლოტი: მეისონი (14 ქულა, 15 მოხსნა)



REUTERS ჩიკაგოდან

ჩიკაგო — მილუოკი. ჩიკაგოელი ელტონ ბრენდი (№42) მილუოკელი დარვინ ჰემის წინააღმდეგ



AP სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ფინიქსი. იუტელი კარლ მელოუნი (№32) და ფინიქსელი როდნი როჯერსი

რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. ორიოდე დღის შემდეგ სატურნირო ცხრილი საბოლოო სახეს მიიღებს. მანამდე ვითარება ალბათ შეიცვლება, მაგრამ დიდ ძვრებს არ უნდა ველოდოთ. ყველამ დაახლოებით ის ადგილი დაიკავა, რომელსაც იმსახურებდა. გამოიკვეთნენ ლიდერები, საშუალო გუნდები და აუტსაიდერები. ამათგან ყველაზე უპრეტენზიოები თითქოს უკანასკნელნი უნდა იყვნენ, რადგან პლეი ოფში თამაშზე ფიქრით თავს არ იტკიებენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, ბოლო ომახიანი სიტყვის თქმას არავინ იზარებს და დღე არ გაივლის, ცხრილის ფსკერს მიჯაჭვულმა რომელიმე გუნდმა ბობოლა არ შეიწიროს. არც 6 აპრილს ჩაუვლია სენსაციის გარეშე — უხეირო „ვანკუვერმა“ „პორტლენდი“ გააბითურა, მცირე სენსაციად უნდა აღვიქვათ „ჩიკაგოს“ მიერ „მილუოკის“ ძლევაც.

„როცა „პორტლენდი“ გქვია და ჩემპიონობა გინდა, ასეთ გუნდებთან არ უნდა აგებდე. არ მინდა, „ვანკუვერს“ შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ შორის დიდი სხვაობაა. სამწუხარო კი ის არის, რომ როგორც გუნდი, ჩვენ უმძიმეს სიტუაციაში ვართ, რაც ამ ბოლო ერთი თვის მანძილზე გრძელდება“ — ძლეული „პორტლენდის“ თავკაც მაიკ დანლივის პესიმიზმი შეპპარვოდა. არადა, პლეი ოფი კარს მომდგარა და მის შეგირდებს გამოფხიზლება მართებთ. ეს კი „ბლეიზერსის“ თამაშში ნაკლებად შეიმჩნევა — ჯერ შინაური მარცხი „ჰიუსტონთან“, ერთი დღის შემდეგ კი ვანკუვერული სირცხვილი. და ეს მაშინ, როცა ამ გუნდს ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს.

მძლავრი შემადგენლობის გარდა „პორტლენდი“ კიდევ იმითაა განთქმული, რომ ლიგის ყველაზე მოჯაჯღანე გუნდად ითვლება. მიმდინარე ჩეზონში მისმა მოთამაშეებმა 82 ტექნიკური ჯარიმა მიიღეს და ამ მხრივ მათ ტოლს ვერავინ უდებს. ამ ტექნიკურებში ლომის წილი რაშიდ ვოლესს ეკუთვნის — მასზე 35 ტექნიკური ჯარიმა მოდის, ამდენი კი მრავლისმნახველ ნბას არც ახსოვს. ვოლესი არც იმ სალამოს დარჩა „ხელცარიელი“. აღსანიშნავია, რომ მსაჯებთან დაუსრულებელი კამათის გარდა იგი კარგი თამაშითაც გამოირჩა, რასაც ვერანაირად ვერ ვიტყვით დანარჩენ მის თანაგუნდელებზე. ამიტომაც ვერ გამოიღო მისმა თავგამოდებამ ნაყოფი.

„ვანკუვერმა“ რიხიანად დაიწყო. მასპინძლები თავიდანვე იშვიათი თავგამოდებით შეებნენ მეტოქეს და შედეგიც შესაბამისი მოიმკეს — უკვე პირველი მეოთხედი 14 ქულის სხვაობით მოიგეს, ხოლო მეორეში სულაც 21 ქულით დაწინაურდნენ. „პორტლენდმა“ გვიან, მაგრამ მაინც შეძლო შოკიდან გამოსვლა და თანდათან სხვაობაც შეამცირა, მაგრამ დრო არ ეყო, თან ხელებჩამოშვებული არც „ვანკუვერი“ იდგა. მატჩის დამთავრებამდე ორწუთნახევრით ადრე მაიკლ დიკერსონმა ორქულიანით ანგარიში 88:84 გახადა მასპინძლების სასარგებლოდ. მომდევნო ორი წუთის განმავლობაში კი ორივე გუნდი ამაოდ ლამობდა მეტოქის ფარის დალაშქვრას. ნავსი ისევ „ვანკუვერმა“ გატეხა შარიფ აბდურ-რაჰიმის ერთი საჯარიმოთი. ეს კი საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე მოხდა. 1,2 წამით ადრე „პორტლენდის“ გერმანელი ფრთის, დეტლეფ შრემპფის სამქულიანი კარის გაჯახუნებასღა ჰგავდა.

გაიხარეს ვანკუვერში, მათმა საყვარელმა გუნდმა სეზონში 21-ე გამარჯვება მოიპოვა, ამდენისთვის კი კანადელებს არც ერთ სეზონში არ მიუღწევიათ („ვანკუვერი“ 1995 წლიდან გამოდის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში).

ორი დღის წინ „მილუოკი ბაქსს“ შინაურ „ბრედლი სენტერში“ 19 ქულით დაემარცხებინა აღმოსავლეთის ყველაზე უხეირო გუნდი „ჩიკაგო ბულზი“ და ახლა დიდი იმედი ჰქონდა, რომ არც მეტოქის „იუნაიტედ სენტერში“ გაუჭირდებოდა. გაუჭირდა კი არა, სულაც დამარცხდა და ამაში თვითონაა დამნაშავე. მატჩის დამთავრებამდე წუთნახევარი რჩებოდა, როცა მილუოკელთა რიგებში იმ დღეს ყველაზე შედეგიანმა გლენ რობინსონმა მეექვსე პერსონალური მიიღო, რამაც მისი დიდი გულისწყრომა გამოიწვია. რობინსონი მსაჯს მიეჭრა და საქმის გარჩევას მიჰყო ხელი. მას სტუმართა ცენტრი ერვინ ჯონსონიც აჰყვა, რაც „მილუოკისთვის“ ერთობ სავალალოდ დასრულდა — ორივემ ტექნიკური მიიღო. „ჩიკაგომაც“ შეირგო ეს საჩუქარი და ოთხივე საჯარიმო გამოიყენა. რობინსონმა მერე კი შემოიკრა თავში ხელი, ეს რა მივქარეო, მაგრამ უკვე გვიან იყო. მისმა დაუფიქრებელმა საქციელმა „მილუოკი“ ფაქტობრივად გაწირა. ამ ეპიზოდმა გუნდს შეიძლება მთელი სეზონის ნაჯაფარი გადაუყაროს. „მილუოკი“ ხომ ორი გამარჯვებით ჩამორჩება აღმოსავლეთში მერვეადგილოსან „ორლანდოს“. ამიტომაც მისთვის ყოველი გამარჯვება ოქროდ ფასობს. „ბაქსს“ კიდევ ჰქონდა თამაშის ხსნის საშუალება. მატჩის დამთავრებამდე 11 წამით ადრე 90:88 გახდა. 11 წამი შეტევის ორგანიზებისთვის სრულად საკმარისი დროა, მაგრამ, „მილუოკიმ“ იგი ვერ გამოიყენა და ამით იქნებ პლეი ოფში თამაშის შანსიც გაუშვა ხელიდან. მისმა მარცხმა კი კიდევ ერთ გუნდს („ჩიკაგოს“ შემდეგ) გაუწია სამსახური. პლეი ოფში წინასწარ მოხვედრილ სამ აღმოსავლელს, მეოთხე — „ფილადელფია“ შეემატა. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ დღეს არ უთამაშია.

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად მოღონიერდა „ვაშინგტონი“, მაგრამ დედაქალაქელებმა მაინც ვერაფერი დააკლეს „ნიუ იორკს“, თან იმ დროს, როცა მის ორ მთავარ მექულეს — ალან ჰიუსტონს და ლატრელ სპრიუელს დიდად არ გამოუდვიათ თავი. ორივეს ანგარიშზე ერთად მხოლოდ 21 ქულა მოდის. მათზე ბევრით მეტი ქულა მასპინძელთა ამ ბოლო წლებში ტრავმებით დატანჯულმა, ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა დააგროვა. მან კარგად ისარგებლა იმით, რომ დედაქალაქელებს მისი ზომა-წონის ხეირიანი მოთამაშე არ ჰყავთ და სეზონში სარეკორდო, 30 ქულასაც გამოჰკრა ხელი. იუინგს ბევრად არ ჩამორჩა მისი შემცვლელი, მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდა მარკუს კემბი. ძირითადად ამ ორი გიგანტის ხარჯზე გაბატონდა „ნიუ იორკი“ ფარზე და 46:32 იძალა მოხსნებში.

„მაიამი ჰითმა“ სეზონში პირველად მოიგო ზედიზედ მეხუთე თამაში. ეს იყო ტიპური მატჩი „მაიამის“ მონაწილეობით — უკიდურესად დაძაბული შეხვედრა, სადაც დაცვა ჯაბნის თავდასხმას. როგორც ჩვეულებრივ ასეთ თამაშებში ხდება, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა მაიამელთა ცენტრი, ალონზო მურნინგი. „ზომ“ შეტევაში 26 ქულა და 5 მოხსნა გაახერხა, დაცვაში კი — 12 მოხსნა, ექვსი დაფარება და ორი ჩაჭრა. „ალონზო მთავარი რგოლია ჩვენს დაცვით ჯაჭვში. ხშირად ვფიქრობ, იქნებ მან ამოწურა თავისი შესაძლებლობები და მაქსიმუმს მიაღწია-მეთქი, მაგრამ მერე ყოველთვის საპირისპირო დასკვნას ვაკეთებ. იგი მუდამ რაიმე ახალს იგონებს და კვლავ და კვლავ გვაოცებს“ — ვის ვის და მურნინგის დამრიგებელ პატ რაილის ნამდვილად არაფერი შეეშლება, იგი კარგად იცნობს თავის მოთამაშეებს. მის ხელში ხომ თვით მეჯიქ ჯონსონს და ქარიმ აბდულ-ჯაბარს, შემდეგ კი პატრიკ იუინგს გამოუვლიათ. მურნინგი იმ დღეს მართლაც შეუდარებელი იყო. მან თითქმის მთლიანად გამოთიშა თამაშიდან „შარლოტის“ ორი დიდი წინახაზელი — თავდამსხმელი დერიკ კოულმენი და ცენტრი ელდენ კემპბელი. მათ ანგარიშზე მხოლოდ რვარვა ქულა მოდის.

კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა „დალასის“ გერმანელმა თავდამსხმელმა დირკ ნოვიცკიმ. მისი გუნდი თავისი წონის მეტოქეს — „დენვერს“ ხვდებოდა სტუმრად. უშელავათო ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ნოვიცკი შეუდარებელი გახლდათ. გერმანელმა კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 32 ქულა გააკეთა, თან მისმა ზუსტმა სროლამ ოვერტაიმის დამთავრებამდე 14 წამით ადრე მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სპორტული ლატარია "CROCO"

## გერმანია. ბუნდესლიგა. 28-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 005 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 006 | ბაიერნი-ულმი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 007 | ბაიერნი-ულმი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 008 | ჰერტა-აინტრახტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 009 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | ვერდერი-არმინია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 011 | ვერდერი-არმინია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 012 | დუისბურგი-ფრაიბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. 26-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 016 | მიონხენგლადბახი-კიკერსი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 017 | მიონხენგლადბახი-კიკერსი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 018 | ქემნიცი-კარლსრუე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 019 | ფორტუნა-კიოლნი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 020 | ვალდჰოფი-ფიურტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 021 | ოფენბახი-ობერჰაუზენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 022 | ბერლინი-ბოხუმი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. 32-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ბრედფორდი-საუთჰემპტონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 024 | ლესტერი-ევერტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 025 | სანდერლენდი-უიმბლდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 026 | უოტფორდი-დერბი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 027 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 028 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 029 | ლივერპული-ტოტენჰემი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4,7 | 3,3 | 1,65 |

## ინგლისი. I დივიზიონი. 41-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 032 | ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 033 | ბოლტონი-უოლსოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 034 | კრისტალ პალასი-სტოკპორტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 035 | ჰადერსფილდი-ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 036 | იფსვიჩი-პორტ ვეილი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 037 | იფსვიჩი-პორტ ვეილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 038 | მანჩესტერ სიტი-ქრიუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 039 | მანჩესტერ სიტი-ქრიუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 040 | ნოტინგემი-ჩარლტონი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 041 | პორტსმუთი-ნორვიჩი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 042 | ქუინზ პარკი-სუინდონი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 043 | ქუინზ პარკი-სუინდონი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 044 | შეფილდი-გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 045 | ვულვერჰემპტონი-ბლექბერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | ტრანმერი-ფულემი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

## ინგლისი. II დივიზიონი. 41-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 048 | ბორნმუთი-ოლდემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 049 | ბრისტოლი-რექსემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 050 | ბარნლი-ნოტსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 051 | კემბრიჯი-როვერსი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 052 | ჩესტერფილდი-უიკომბი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 053 | კოლჩესტერი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 054 | მილუოლი-ბერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 055 | მილუოლი-ბერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 056 | პრესტონი-კარდიფი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 057 | პრესტონი-კარდიფი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 058 | სკანთორპი-ლუტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 059 | სტოკი-ბრენტფორდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 060 | სტოკი-ბრენტფორდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 061 | უიგანი-ოქსფორდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 062 | უიგანი-ოქსფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

## ინგლისი. III დივიზიონი. 41-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 063 | ბარნეტი-შრიუსბერი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 064 | ჩესტერი-კარლაისლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 065 | ექსეტერი-ბრაიტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 066 | ჰალი-ლეიტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 067 | ლინკოლნი-ჩელტენემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 068 | მაკლსფილდი-პლიმუთი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 069 | ნორთჰემპტონი-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 070 | ნორთჰემპტონი-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 071 | როჩდეილი-ჰართლპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 072 | როტერჰემი-საუთენდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 073 | როტერჰემი-საუთენდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 074 | სუონსი-პიტერბრო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 075 | ტორკი-მენსფილდი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 076 | იორკი-დარლინგტონი | 3,6 | 3,3 | 1,8 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი. 30-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 079 | სენტ ეტიენი-პსჟ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 080 | ლე ავრი-ლიონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 081 | ნანსი-სტრასბური | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 082 | ოსერი-ნანტი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 083 | მონპელიე-ტრუა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 084 | ბასტია-რენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 085 | ლანსი-მეცი | 2,0 | 2,8 | 3,8 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი. 32-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 086 | ტულუზი-შატორუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 087 | კანი-გენგამი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 088 | კაენი-ლავალი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 089 | ლე მანი-ნიმი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 090 | ნიორი-ნიცა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 091 | ვასკეალი-აიაჩო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 092 | კრეტეი-ლუანი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 093 | გენიონი-სოშო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 094 | ლორიანი-ლილი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 095 | ვალანსი-ამიენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

## იტალია. სერია "ა". 29-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 096 | ტორინო-პარმა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 097 | უდინეზე-ინტერი | 3,1 | 2,8 | 2,3 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | ბოლონია-იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 099 | კალიარი-ვერონა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 100 | ლაციო-პერუჯა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 101 | ლაციო-პერუჯა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 102 | ლეჩე-რომა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 103 | პიაჩენცა-ბარი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 104 | რეჯინა-ვენეცია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 105 | მილანი-ფიორენტინა | 1,6 | 3,2 | 5,6 |

## იტალია. სერია "ბ". 30-ე ტური

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 107 | ალძანო-ფერმანა | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 108 | ჯენოა-პისტოიეზე | 1,6 | 2,9 | 7,0 |
| 109 | მონცა-კიევო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 110 | ნაპოლი-სავოია | 1,3 | 4,0 | 10,0 |
| 111 | ნაპოლი-სავოია 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| 112 | სალერნიტანა-ატალანტა | 2,3 | 2,4 | 3,6 |
| 113 | ტერნანა-კოზენცა | 2,1 | 2,4 | 4,4 |
| 114 | ტრევიზო-ემპოლი | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| 115 | ვიჩენცა-პესკარა | 1,5 | 3,2 | 7,5 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 116 | ბრეშა-რავენა | 1,5 | 3,2 | 7,5 |

## იტალია. სერია "ც1/ა". 29-ე ტური

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | ალბინოლეფე-ვარეზე | 2,2 | 2,4 | 4,0 |
| 118 | ბრეშელო-სპალ | 2,0 | 2,3 | 5,0 |
| 119 | კარარეზე-მონტევარკი | 1,8 | 2,3 | 6,5 |
| 120 | ჩიტადელა-ლუმეცანე | 1,6 | 2,8 | 7,5 |
| 121 | კომო-რეჯანა | 2,5 | 2,2 | 3,6 |
| 122 | კრემონეზე-ლეკო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 123 | ლუკეზე-ლივორნო | 1,8 | 2,4 | 6,0 |
| 124 | მოდენა-სიენა | 3,3 | 2,2 | 2,8 |
| 125 | პიზა-სანდონა | 1,5 | 3,1 | 8,0 |

## იტალია. სერია "ც1/ბ". 29-ე ტური

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 126 | ანკონა-მარსალა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 127 | ანკონა-მარსალა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 128 | ასკოლი-კატანია | 2,1 | 2,3 | 4,4 |
| 129 | ატლეტიკო-არეცო | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 130 | ბენევენტო-კროტონე | 3,2 | 2,3 | 2,7 |
| 131 | ფ.ანდრია-ლოდიჯანი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 132 | გუალდო-აველინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 133 | ნოჩერინა-ჯულიანოვა | 1,9 | 2,3 | 6,5 |
| 134 | პალერმო-დი სანგრო | 1,5 | 3,1 | 8,0 |
| 135 | ვიტერბეზე-სტაბია | 1,9 | 2,4 | 5,6 |

## ესპანეთი. I დივიზიონი. 32-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 136 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,5 | 3,6 | 5,6 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 137 | ალავესი-ესპანიოლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 138 | ვალიადოლიდი-სარაგოსა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 139 | ნუმანსია-სოსიედადი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 140 | ბილბაო-რაიო ვალეკანო | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 141 | მალაგა-სევილია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 142 | ვალენსია-ოვიედო | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 143 | ბარსელონა-მალიორკა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 144 | ბარსელონა-მალიორკა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 145 | ბეტისი-რასინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 146 | რეალი-სელტა | 1,5 | 3,4 | 6,5 |

## ესპანეთი. II დივიზიონი. 34-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 147 | სპორტინგი-ტენერიფე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 148 | ლეგანესი-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 149 | ლოგრონიესი-ესტრემადურა | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 150 | ლას პალმასი-ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,4 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 151 | უელვა-ლევანტე (15[00]) | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 152 | ატლეტიკო "ბ"-ეიბარი (15[00]) | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 153 | ტოლედო-ვილიარეალი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 154 | მერიდა-ელჩე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 155 | ოსასუნა-ბადახოსი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 156 | კომპოსტელა-ალბასეტე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 157 | კორდობა-სალამანკა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

## პორტუგალია. 29-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 160 | კამპომაიორენსე-ბენფიკა | 4,7 | 3,3 | 1,65 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 161 | ალვერკა-სეტუბალი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 162 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 163 | ჟილ ვისენტე-ამადორა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 164 | ბრაგა-სანტა კლარა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 165 | პორტუ-სალგეირუში | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 166 | პორტუ-სალგეირუში 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 167 | ბოავიშტა-ფარენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |

## ჰოლანდია. 29-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 171 | კამბური-დენ ბოსხი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 172 | ტვენტე-მაასტრიხტი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 173 | ტვენტე-მაასტრიხტი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 174 | ტილბურგი-ვიტესი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 175 | ფეიენოორდი-უტრეხტი (17[30]) | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 176 | ფეიენოორდი-უტრეხტი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 177 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 178 | აიაქსი-სპარტა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 179 | აიაქსი-სპარტა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

## ბელგია. 30-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 185 | შარლერუა-სენტ ტრუიდენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 186 | ბეერსხოტი-გენკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 187 | ვესტერლო-ანდერლეხტი | 4,0 | 2,9 | 1,9 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | მეხელენი-ჰარელბეკე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 189 | ბევერენი-ლომელი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 190 | გენტი-აალსტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 191 | გენტი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

## საბერძნეთი. 27-ე ტური

8-10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | კალამატა-პანილიაკოსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 193 | აპოლონი-პანიონიოსი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 194 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 195 | ოლიმპიაკოსი-ირაკლისი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 196 | კავალა-პროდეფტიკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | იონიკოსი-ეთნიკოსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 198 | ტრიკალა-პანაჰაიკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 199 | არისი-პანათინაიკოსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 200 | აეკ-ქსანთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 201 | პაოკ-ოფი | 2,3 | 2,8 | 3,1 |

ჩეხეთი. 24-ე ტური

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 203 | სპარტა-ბანიკი ($17^{30}$) | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 204 | სპარტა-ბანიკი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 205 | დუკლა-ბრნო | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 206 | ბუდეიოვიცე-ბოჰემიანსი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 207 | ტეპლიცე-ჰ.კრალოვე | 1,3 | 5,0 | 7,0 |
| 208 | ტეპლიცე-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 209 | იაბლონეცი-ლიბერეცი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 210 | ოპავა-ბლშანი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 211 | დრნოვიცე-სიგმა | 1,6 | 3,4 | 5,0 |

პოლონეთი. მე-22 ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | რუხი-პოლონია ($17^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 214 | ვისლა-სტომილი ($17^{30}$) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 215 | ვისლა-სტომილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 216 | ლეხი-ოდრა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 217 | გურნიკი-გროცლინი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 218 | ლკს-პოგონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 219 | ლეგია-პლოცკი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 220 | ლეგია-პლოცკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 221 | ზაგლებე-რაძიონკოვი ($17^{00}$) | 1,7 | 3,1 | 4,7 |

უკრაინა. მე-19 ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | ტავრია-დინამო | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 223 | ზირკა-დნიპრო | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 224 | მეტალურგი-კრივბასი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 225 | ჩორნომორეცი-ვორსკლა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 226 | კარპატი-ზაპოროჟიე | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 227 | მეტალისტი-შახტარი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 228 | ცსკა-პრიკარპატია | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 229 | ნივა-მარიუპოლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

თურქეთი. 28-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 231 | გიოზთეფე-სამსუნი ($16^{30}$) | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 232 | ისთანბული-ალთაი ($16^{30}$) | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 233 | ქოჯაელი-გაზიანთეფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 234 | ადანა-ბეშიქთაში | 4,4 | 3,2 | 1,7 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | ტრაბზონი-ვანი ($16^{30}$) | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 236 | ტრაბზონი-ვანი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 237 | ანთალია-ერზურუმი ($16^{30}$) | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 238 | ანკარა-დენიზლი ($16^{30}$) | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 239 | გალათასარაი-გენჩლერბირლ. | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 240 | გალათასარაი-გენჩლერ. 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

შოტლანდია. 30-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | დანდი-მოზერუელი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 242 | ჰართსი-სელტიკი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 243 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ავსტრია. 28-ე ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 245 | აუსტრია-შტურმი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 246 | ბრეგენცი-რიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 247 | ლინცერი-ლუსტენაუ | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 248 | ზალცბურგი-ტიროლი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

შვეიცარია. მე-5 ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 250 | სერვეტი-ლუცერნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | ივერდონი-ქსამაქსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 252 | გრასჰოპერი-ლოზანა | 1,7 | 3,1 | 4,7 |

დანია. 23-ე ტური

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 253 | ვიბორგი-ბრიონდბიუ | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 254 | ოლბორგი-ლიუნგბიუ | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 255 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 256 | სილკებორგი-ოდენსე | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 257 | აკადემისკი-ჰერფიოლგე | 2,2 | 3,0 | 3,1 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 258 | ორჰუსი-ვაილე | 1,9 | 3,2 | 3,5 |

რუსეთი. მე-3 ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 260 | კრილია-ცსკა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 261 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 262 | ფაკელი-ურალანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 263 | როტორი-ალანია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 264 | ანჟი-როსტსელმაში | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 263 | ნ.ნოვგოროდი-ზენიტი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 264 | სატურნი-ჩერნომორეცი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

შვედეთი. 1-ლი ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 265 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი ($17^{00}$) | 2,4 | 3,1 | 2,6 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 266 | გაის-ფრიოლუნდა | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 267 | იორებრო-ნორჩიოპინგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 268 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

10 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 269 | ელფსბორგი-აიკ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 270 | ჰაკენი-გიოტებორგი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 271 | ჰამარბი-სუნდსვალი | 1,6 | 3,5 | 4,7 |

ნორვეგია. 1-ლი ტური

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 272 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,3 | 1,9 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 273 | ბრინი-სტარტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 274 | ჰაუგესუნდი-ბოდიო გლიმტი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 275 | ლილესტრიომი-მიოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 276 | მოსი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 277 | ვოლერენგა-ტრომსიო | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 278 | ბრანი-ვიკინგი | 1,7 | 3,4 | 4,0 |

ინგლისი. თასის 1/2 ფინალი (უემბლიზე)

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 279 | ნიუკასლი-ჩელსი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი (ნეიტრალურზე)

8 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 280 | რეინჯერსი-ეირი | 1,1 | 7,0 | 15,0 |

9 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 281 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

კალათბურთი

8 აპრილი

810 ვაშინგტონი-ატლანტა
811 კლივლენდი-დეტროიტი
812 ჩიკაგო-ტორონტო
813 მილუოკი-ნიუ ჯერსი
814 დალასი-კლიპერსი
815 დენვერი-სიეტლი
816 ლეიკერსი-სან ანტონიო
817 პორტლენდი-ვანკუვერი

9 აპრილი

818 ორლანდო-ფილადელფია
819 მაიამი-ნიუ იორკი
820 შარლოტი-ინდიანა
821 ჰიუსტონი-იუტა
822 გოლდენ სტეიტი-დენვერი
823 საკრამენტო-ფინიქსი
824 ვანკუვერი-სან ანტონიო

10 აპრილი

825 ბოსტონი-ატლანტა
826 ნიუ იორკი-ინდიანა
827 ფილადელფია-მაიამი
828 ვაშინგტონი-შარლოტი
829 ტორონტო-კლივლენდი
830 მილუოკი-ორლანდო
831 მინესოტა-დეტროიტი
832 იუტა-პორტლენდი
833 ლეიკერსი-სიეტლი

ჰოკეი

8 აპრილი

843 ნიუ ჯერსი-ფლორიდა
844 ფილადელფია-ბოსტონი
845 ატლანტა-კაროლინა
846 ტორონტო-ტამპა ბეი
847 მონრეალი-ოტავა
848 კალგარი-ედმონტონი

9 აპრილი

849 აილენდერსი-ფლორიდა
850 ვაშინგტონი-ბუფალო
851 კაროლინა-ატლანტა
852 რეინჯერსი-ფილადელფია
853 ჩიკაგო-სენტ ლუისი
854 დალასი-ფინიქსი
855 კოლორადო-დეტროიტი
856 ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
857 ბოსტონი-პიტსბურგი
858 სან ხოსე-ვანკუვერი
859 ოტავა-ტამპა ბეი

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობაში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ველორბოლა

# ჰოი, მერანო... ერიკ ზაბელი ცხენს შეაჯდა

ბელგიურ გენტსა და ვაველგემს შორის გამართულ ტრადიციულ ველორბოლაზე 41-ე ადგილი დაიკავა გერმანელმა ერიკ ზაბელმა, ამას წინათ „მილანი-სან რემოს“ ტურის მომგებმა და მონაწილეებში უეჭველად ყველაზე ტიტულიანმა კაცმა. ზაბელმა 214-კილომეტრიანი გზა უხასიათოდ დაიწყო, ფინიშამდე 75 კილომეტრით ადრე კი ცხენს დაეჯახა და თხრილში ჩავარდა. ცხენი (უფრო სწორად კი პონი, სახელად ტინ-ტინი) ერთი ადგილობრივი ფერმერისა ყოფილა და პატრონს გამოჰპარვია. ცხოველიც გადარჩა და ზაბელიც. უკანასკნელს არც რაიმე მოუტეხია და არც დაბეჟვია, თუმცა ლამის მანქანის სიჩქარით მიაქანებდა თავის რკინის მერანს. ორიოდე წუთის დაკარგვის შემდეგ ზაბელმა რბოლა განაგრძო და ფინიშს დიახაც შეუფერებელ დროს უწია. პონის პატრონი ცოტა გვიან გამოცხადდა და შეპარვით უმზერდა მრბოლს, რაიმე საჩივარივით არ გამოატყვრინოსო, მაგრამ ზაბელმა კურიოზის დეტალების მოყოლით ხალხი გაამხიარულა. მერე ისიც გაიხსენეს, რომ გასულ წელს, სადღაც ახლომახლო, ბელგიელმა ლუდო დირკსენმა შინაური კურდღელი გაჭყლიტა და ზაბელის თავგადასავალი ამ ისტორიის გაგრძელება იყო მხოლოდ.

თავად რბოლა კი მასპინძლებმა მოიგეს და დამაჯერებლადაც — პირველი სამი ადგილი მათ ერგოთ. ხოლო იგი, ვინც პირველად შედგა ფინალურ ხაზზე, გეერტ ვან ბონდტი გახლავთ. ოთხი კილომეტრი დარჩენილიყო ფინიშამდე, როცა ბონდტი რვაკაციან ჯგუფს გაექცა და 29-წამიანი უპირატესობით დაასრულა ასპარეზობა.

დავით გულუა

**რბოლის შედეგები**

1. გეერტ ვან ბონდტი (ბელგია, „ფარმ ფროტსი“) — 4:57.00; 2. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, „ფარმ ფრაიტსი“) — +0.29; 3. იოჰან მუსეუვი (ბელგია, „მაპეი“) — +0.29.

ჭადრაკი

# ჭადრაკის დიდი ოქტომბერი

გაირკვა უკანასკნელი დეტალებიც და ლონდონში საზეიმოდ მოეწერა ხელი შეთანხმებას, რომლის თანახმადაც 2000 წლის 9 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე ბრიტანეთის დედაქალაქში შედგება მატჩი გარი კასპაროვსა და ვლადიმერ კრამნიკს შორის. პირობები ადრეც გაცნობეთ. არაფერი შეცვლილა. 2-მილიონიანი საპრიზო ფონდი, ორი მესამედი გამარჯვებულს, დანარჩენი — დამარცხებულს. მხარეები 16 პარტიას გამართავენ და ყაიმის შემთხვევაში კასპაროვი შეინარჩუნებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) მოიწონა მატჩის იდეა, თანამედროვეობის ორი უდიდესი დიდოსტატის დაპირისპირება, და, ცხადია, დაუმატა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის თვალსაზრისით მატჩის იურიდიული ძალა ნულს უდრის, რახან ჩემპიონი ნოკაუტ-სისტემით მიმდინარე ტურნირში ვლინდება. თუმცა ამაზე ყურსაც არავინ იბერტყავს, არც კასპაროვი და არც მატჩის ორგანიზატორები — ბრიტანელ მოჭადრაკეთა კონსორციუმი დიდოსტატ რეი კინის თამადობით და კომპანია „ბრაიენ გეიმზი“ (იგივე „გონიერი თამაშები“), რომელიც ინტერნეტით განათლების ამბებზე ილვწის და ამ საქმეში დიდი ფული ჩაუდვია. მხოლოდ კრამნიკმა განაცხადა ერთხელ, ფიდესეული ლას ვეგასის პირველობა ჩემთვის მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და იქ რომ მომეგო, ტიტულის მიღება არ შემრცხვებოდაო, მაგრამ კასპაროვთან ზიარ სასწორზე ახლა შეგდებული ჩემპიონის გვირგვინი ფიდესაზე ბევრად ელვარე მოჩანს, მსოფლიოს თვალში მაინც, და არა მგონია, კრამნიკს უკვე ფიდე ახსოვდეს. იმავე კასპაროვმა კი კითხვაზე, რამდენად იქნება მომავალ მატჩში ფიდეს არსებობა გათვალისწინებული, სიტყვასიტყვით მიუგო: „ფიდე არავის აინტერესებს“. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: მოჭადრაკეებისა და „ბრაიენ გეიმზის“ კონტრაქტი ხუთწლიანია და უკვე მომავალ წელს პრეტენდენტთა ახალი ციკლის გამართვას ითვალისწინებს, რომელშიც რეიტინგებით (ცხადია, მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს რეიტინგებზეა საუბარი) 25 საუკეთესო მოჭადრაკე ითამაშებს და 500 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდი ექნება, ანუ ესეც პირველი ნიშნები იმისა, რომ ფიდეს არამარტო ერთ-ორ რჩეულს, არამედ მთელ ელიტას წაართმევენ. საბჭოს შესარჩევი ციკლის არსებობა ილუმჟინოვისა და კომპანიისთვის მეტად უხერხული ფაქტორი იქნება.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კასპაროვმა ბოლო მატჩი ითამაშა (ანანდს მოუგო 10,5-7,5). ამიტომ სავსებით გასაგებია ის ინტერესი, რასაც მომავალი დაპირისპირებისადმი იჩენენ. კრამნიკი კასპაროვის ყველაზე „ცუდი“ მეტოქეა. თუკი ანანდმა ბოლო პერიოდის ჩავარდნებით ჩემპიონთან თავისი პირადი შედეგი „მინუს თერთმეტამდე“ ჩაიყვანა და „მინუს 9“ აქვს თუნდაც შიროვს, ვოვასა და გარის მაჩვენებლები აბსოლუტურად თანაბარია. „კარპოვის შემდეგ პირველად ვხვდები მეტოქეს, რომელიც არაფერში ჩამომივარდება — ამბობს კასპაროვი — ამიტომაც არ მესმის ბუზღუნი, მეტოქე თავისი ხუხტურით აირჩიაო“. მართლაც ასეა, 80-იანი და 90-იანი წლების უდიდესი ვარსკვლავების საშემოდგომო ომი თანაბარი და უკიდურესად დაძაბული უნდა გამოვიდეს.

დავით გულუა

## XX საუკუნის ფოტომატიანე

№4



ფენომენალური ამერიკელი მოცურავის, მსოფლიოს 22-გზის რეკორდსმენის მარკ სპიტცის სპორტული ბიოგრაფიის აპოთეოზი მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე იყო. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე იგი თავის თანამემამულეს, ასევე სახელგანთქმულ მოცურავე დონალდ (დონ) შოლანდერს დაენიძლავა, შენი დან ჯონ ვაისმიულერის რეკორდებს გავაუმჯობესებო.

ვაისმიულერიცა და შოლანდერიც ხუთ-ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და მარკ სპიტცსაც სწორედ მათი ამგვარი წარმატებები ჰქონდა მხედველობაში. მაგრამ სპიტცმა მაშინ დანაპირები ვერ შეასრულა. მან მხოლოდ ორი „ოქრო“ მოიპოვა და ისიც ესტაფეტებში (4X100 და 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით), ხოლო 100 მეტრზე ბატერფლაით „ვერცხლი“ დაიმსახურა, ამავე სტილით თავისუფალი სტილით მესამე იყო.

მომდევნო, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მარკ სპიტცმა მაინც აისრულა გულისნადილი. აისრულა და მერე როგორ — ჩემპიონი გახდა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, იმავე დისტანციებზე ბატერფლაით, 4X100 და 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტებში, 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში. ამასთან, ყველა ესტაფეტაში იგი მსოფლიოს რეკორდე[illegible]ს თანაავტორი გახდა.

ერთ ოლიმპიურ თამაშებზე შვიდი ოქროს მედალი!

ასეთი წარმატებისთვის არც მარკ სპიტცამდე და არც მის მერე არავის მიუღწევია.

საერთო ჯამში მარკ სპიტცი ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ამდენი „ოქრო“ კი მთელს მსოფლიოში დღემდე მხოლოდ ოთხს მოუპოვებია.

ავტორბოლა

# F1

**მესამე ეტაპი სან მარინოს დიდი პრიზი**

**ენცო და დინო ფერარების ტრასა**

*იმოლა, 9 აპრილი*




**ტრასის სიგრძე** ........ **4.933 კმ**
**რბოლის დისტანცია** ........ **62 წრე — 305.609 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (სტიუარტი); 4 ჰილი (ჯორდანი); 5 ფიზიკელა (ბენეტონი); 6 ალეზი (ზაუბერი)

**კვალიფიკაცია** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:26.362

**წინა წლების გამარჯვებულები**

1990 — პატრეზე (უილიამსი); 1991 — სენა (მაკლარენი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — ჰილი (უილიამსი); 1996 — ჰილი (უილიამსი); 1997 — ფრენცენი (უილიამსი); 1998 — კულჰარდი (მაკლარენი)

**საუკეთესო წრე** . . ფრენცენი (უილიამსი) - 1997 — 1:25.531

# ჯუჯა ჯალათი

იმოლას ავტოდრომზე, რომელიც 12 წლის წინ გარდაცვლილი ენცო ფერარისა და ტრაგიკულად დაღუპული მისი ვაჟის, დინოს სახელს ატარებს, ხვალ მეოცედ გათამაშდება სან მარინოს დიდი პრიზი.




ორრბოლაწაგებულმა მიკა ჰაკინენმა „იმოლაზეც“ თუ წააგო...

ამ ჯუჯა სახელმწიფოში ავტოდრომის ასაგები ტერიტორია, ცხადია, არსად მოიძებნება. მაგრამ საფორმულო ციებცხელება ჯუჯელებს იმდენად შეუჩნდათ, რომ მოსაზღვრე იტალიაში, 80 კმ-ის დაშორებით მდებარე „იმოლაზე“ განიზრახეს „სამეფო რბოლების“ მარაქაში გარევა. თუმცა „იმოლაზე“ თავდაპირველად იტალიის დიდი პრიზი გაითამაშეს 1980 წელს — სადებიუტო რბოლა ნელსონ პიკემ („ბრებემი“) მოიგო. ბრაზილიელმა პილოტმა მომდევნო წელსაც იმარჯვა და სან მარინოს პირველი ჩემპიონიც გახდა.

რამდენიმე საინტერესო ფაქტი: 1985 წლის გამარჯვებული ალენ პროსტი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რადგან მისი ბოლიდი მაშინდელ 540-კილოგრამიან ნორმაზე მსუბუქი აღმოჩნდა. ლიდერ აირტონ სენას კი 4 წამით ადრე საწვავი გაუთავდა.

1986 წელს პროსტმა მაინც იყოჩაღა — მისი „მაკლარენი“ პირველი მიგორდა ფინიშთან, მანამდე რამდენიმე მეტრით ადრე ბენზინი გამოელია (მაშინ ჰაწვავის ჩამატება აკრძალული იყო).

ექვსი წლის წინ მომხდარი ფატალური შემთხვევების შემდეგ „იმოლას“ სამუდამოდ დაუმკვიდრდა ტრაგიკულის სახელი — ჩქაროსნულ მოსახვევ „ტამბურელოში“ ბეტონის კედელთან შეჯახებამ სენას სიცოცხლე შეიწირა, წინადღეს კი კვალიფიკაციისას ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერი დაიღუპა. ის დაწყევლილი „ტამბურელო“ მანამდეც მეტად საშიში იყო, მაგრამ რადგან საქმე სიკვდილამდე არ მისულა, მისი ტრაექტორიის შეცვლას არ ჩქარობდნენ. თუმცა 1987 წელს სწორედ ზემოხსენებულ კედელთან მინარცხებისას ბეწვზე გადარჩა პიკე, ორი წლის შემდეგ კი ავსტრიელი გერჰარდ ბერგერი ლამის ცოცხლად ჩაიწვა თავის „ფერარიში“. 1994 წლის კატასტროფების გამო „იმოლამ“, სხვა ტრასების მსგავსად, ძირეული ცვლილება განიცადა და „ტამბურელოც“ ბევრად უხიფათო გახდა. მიუხედავად ამისა, 5-კილომეტრიანი წრე უწინდელივით საკმაოდ ჩქაროსნულია, ამასთან, ევროპაში ერთადერთია, სადაც მრბოლები ჩვეულებრივისგან განსხვავებით ანუ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაჰქრიან.

სან მარინოში სამ-სამჯერ გაიმარჯვეს პროსტმა და სენამ, ორ-ორი მოგება აქვთ ნაიჯელ მენსელს, მიხაელ შუმახერსა და დეიმონ ჰილს. გუნდური უპირატესობა კი „უილიამსისაა“ — 7 დიდი პრიზი. „იმოლა“ დღემდე დაუძლეველ ზღუდედ რჩება მიკა ჰაკინენისთვის. ჩემპიონის აქტივში ერთადერთი საპრიზო ადგილია (მესამე, 1994). შუმი კი იმ ორი მოგების გარდა კიდევ ოთხჯერ იდგა პოდიუმზე — ოთხჯერვე მეორე საფეხურზე.

წინა ორ ეტაპზე განცდილი მარცხის შემდეგ ჰაკინენი, რა თქმა უნდა, ყოველ ღონეს იხმარს გამარჯვების მისაღწევად, რადგან შუმახერის წარმატების შემთხვევაში მას კატასტროფულად ჩამორჩება. კბილებს ილესავს ფინელის თანაგუნდელი დევიდ კულჰარდიც, რომლის პროტესტიც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ბრაზილიაში ჩამორთმეული სამეორეადგილო 6 ქულის აღდგენაზე უარი უთხრა. ალბათ, გაორმაგებული ენერგიით იბრძოლებს 1997 წლის ჩემპიონი ჟაკ ვილნევი, რომელსაც სწორედ ხვალ აქვს დაბადების დღე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხვალინდელი რბოლა საიუბილეო — მე-100 გახდება ჰაინც-ჰარალდ ფრენცენისა და ედი ირვინისთვის. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე „მრგვალი“ შედეგია მოსალოდნელი, კერძოდ, კარიერაში შუმის მე-600, მიკას მე-300 და ჯონი ჰერბერტის მე-100 ქულები.

ირაკლი ნიკოლაძე

# ოლიმპიური ორდენი იტალიელ კარაბინერს

## ალბერტო ტომბა სამარანჩმაც დააფასა



ალბერტო ტომბა

კარიერის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ, იტალიელმა სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბამ კიდევ ერთი ოლიმპიური ჯილდო მიიღო. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ორდენით დააფასა და მართალიც იყო — ტომბა თავის ქვეყანაში უპოპულარულესი სპორტსმენია.

1999 წელს იტალიის სტატისტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, აპენინის ნახევარკუნძულის ყველაზე ცნობილ ათლეტად ალბერტო ტომბა დაასახელეს თვისტომებმა. მან ისეთ ხალხს აჯობა, რობერტო ბაჯო და მაქს ბიაჯი რომ არიან.

იტალიელებს უყვართ „ბომბა". მას დღესაც არ აკლია ჟურნალისტთა ყურადღება და მუდმივად ელვარებს იქაურ გაზეთებში. თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ტომბას ბრწყინვალე შედეგები ჰქონდა. მსოფლიოს თასზე 50 ეტაპის მოგება მოახერხა და მხოლოდ ლეგენდარულ შვედს, ინგმარ სტენმარკს (85 ეტაპი) ჩამორჩება. 1995 წელს საერთო ჩათვლაში იპირველა, საერთოდ კი, სლალომსა და სუპერ გიგანტში ოთხ-ოთხი ბროლის გლობუსი მოიგო. 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბერტომ ორივე ამ დისციპლინაში ოქროს მედალი დაისაკუთრა და კიდევ ორი ბრინჯაოც მოიპოვა.

ოლიმპიადებზეც დიდი წარმატებით გამოდიოდა. 1988 წელს კალგარიში სლალომსა და სუპერ გიგანტში ყველას აჯობა, ოთხი წლის შემდეგ ალბერვილში კვლავ ოქროს მედალი მოიგო სუპერ გიგანტში, სლალომში კი, ისევე, როგორც 1996 წელს ლილეჰამერში, ვერცხლით დაკმაყოფილდა.

დღეს ტომბა მსახიობობას ცდის. მალე გამოვა სატელევიზიო ფილმი მისი მონაწილეობით. ცხოვრებაში „ბომბა" კარაბინერია. ამ საქმიანობის მიუხედავად, იგი სპორტს მაინც ვერ შორდება. ალბერტო ტომბა, 2006 წელს, ტურინში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორია. ისევე როგორც ალბერვილში, მეორე ლეგენდარული სამთომოთხილამურე ფრანგი ჟან-კლოდ კილი. ისე, საინტერესოა, რომ კილი აქამდე ერთადერთი წარმომადგენელი იყო სპორტის ამ სახეობისა, ოლიმპიური ორდენის ღირსი რომ გახადეს სოკ-ის ჩინოსნებმა.

ამრიგად, შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის საუკეთესო შანსი ტურინს აქვს.

**გაგი გურული**



დედოფალი ელისაბედი ახალი სამხრეთ უელსის პრეზიდენტ ბობ კართან და ოლიმპიადის საკოორდინაციო სამსახურის გენერალურ მდივან ბობ ლისთან ერთად ათვალიერებს ოლიმპიურ სტადიონს

# გზა დაუთმეთ დედოფალს, ეოგვინოდებს დონ ფრეზერი

ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალის პატივი ქარტიის თანახმად ევალებათ მასპინძელი ქვეყნის მეთაურს, პრემიერ მინისტრსა თუ პრეზიდენტს, მონარქისტული სახელმწიფოს შემთხვევაში მეფესა თუ დედოფალს.

ავსტრალიელთა ყველაზე პატივდებულ ოლიმპიელს, მოცურავე დონ ფრეზერს, რომელსაც სამი ოქროს მედალი მოუპოვებია 1956, 1960 და 1964 წლების ოლიმპიურ თამაშებზე, სურს, რომ სიდნეის ოლიმპიური თამაშები 15 სექტემბერს გახსნას დედოფალმა ელისაბედმა, რადგან იგი ყველაზე სასურველი პიროვნებაა.

— ოლიმპიადის გასახსნელად მე ვამჯობინებდი დედოფალს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა ექნება სპორტსმენთათვის. — თქვა ფრეზერმა, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ჰოვარდმა კი შარშან განაცხადა, რომ დედოფლის წარმომადგენელი ავსტრალიაში გენერალ-გუბერნატორი სერ ვილიამ დინი მიწვეულია საზეიმო ცერემონიალის გასახსნელად, მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ქარტიით სხვაგვარადაა განსაზღვრული.

საინტერესოა, რომ ფრეზერი შარშანდელი რეფერენდუმისას ავსტრალიის დედოფლის ქვეშევრდომად ყოფნის წინააღმდეგ კამპანიას ეწეოდა, თუმცა განმარტა, რომ მისი პოლიტიკური შეხედულებანი ოლიმპიურისას არ აღემატება.

— მე დედოფლის დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ მხარს ვუჭერ, რომ ავსტრალია იყოს რესპუბლიკა. ვფიქრობ, რომ იგი უნდა გაიზარდოს და იყოს დამოუკიდებელი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ სამეფო ოჯახს.

**გიგა გურასაშვილი**



# ჰაშეკმა ეშმაკები გაანადგურა

6 აპრილი

**ოტავა — აილენდერსი 1:2**

0:1 0:0 1:1

0:1 ჩერკავსკი 4'46 (32); 1:1 სჩასტლივი 41'39 (2); 1:2 ისბისტერი 51'42 (22)

**მონრეალი — ტამპა 5:1**

2:0 3:0 0:1

1:0 სურეი 1'12 (3); 2:0 ბრისბუა 7'38 (9); 3:0 სტივენსონი 29'44 (8); 4:0 ზუბრუსი 31'13 (14); 5:0 ბრისბუა 35'49 (10); 5:1 უორინერი 44'5 (14)

**ნიუ ჯერსი — ბუფალო 0:5**

0:1 0:2 0:2

0:1 ბარნსი 12'00 (19); 0:2 ვული 20'32 (8); 0:3 კ. ბრაუნი 23'14 (21); 0:4 კ. ბრაუნი 50'47 (22); 0:5 პეკა 38'35 (20)

**ფილადელფია — ატლანტა 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ჯონსი 8'16 (9); 1:1 კარლსონი 24'57 (5); 2:1 ლენგკოუ 29'21 (17); 3:1 ჯ. ჰალი 59'39 (10)

ახლა ისღა დაგვრჩენია, მარტინ რუჩინსკის ვთხოვოთ, თავის თანამემამულეებს გალაურეკოს და სთხოვოს, მომდევნო ორ მატჩში თავი აღარ მოიკლანო — სევდანარევი ხუმრობით თქვა მონრეალის ფორვარდმა ბრაიან სავაჟმა ტამპასთან მოგების შემდეგ. გავიმეორებთ, იმის მიუხედავად, გავა თუ არა მონრეალი პლეი ოფში, ამ სეზონში მხოლოდ ქებას იმსახურებს. ეხუმრებით, წლეულს, ერთ მატჩში კანადურ კლუბს საშუალოდ 6 (!) ძირითადი მოთამაშე აკლდა, თანაც ლიდერები: კოივუ, კორსონი, სავაჟი... გუნდმა მაინც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სეზონის ბოლომდე საპლეიოფო ბრძოლის ორომტრიალში ყოფილიყო. განა მათი ბრალია, რომ აღმოსავლეთში მხოლოდ ერთი საგზური დარჩა, ხოლო მთავარ კონკურენტ ბუფალოს ქულების თანაბარ რაოდენობასთან ერთად, ერთი თამაში აქვს მარაგში.

ტამპასთან შეხვედრაში მონრეალმა მართლაც რომ საპლეიოფო გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, სწრაფი და აგრესიული, დაცვაშიც ძალიან საიმედოდ გამოიყურებოდა. მატჩის შუაგულში კიდეც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ამ დროს ბუფალო ნიუ ჯერსის ხვდებოდა, სულ უფრო და უფრო ზრდიდა თავის უპირატესობას და კიდეც გაანადგურა მეტოქე — 5:0. რას იზამ, „ხმლებიც" მონრეალზე არანაკლებ იმსახურებენ საპლეიოფო საგზურს. მას შემდეგ, რაც თასის მაშინდელმა ფინალისტმა დედლაინზე დუგ გილმორი შეიძინა, ნამდვილად გარდაიქმნა და თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა. მერედა დომინიკ ჰაშეკიც როგორ ათამაშდა!.. ბუფალოელთა დიადმა მეკარემ, „დომინატორმა" დაიბრუნა ჩვეული ფორმა და კვლავ სასწაულებს ახდენს. „ეშმაკებმა" 32-ჯერ შეუტიეს ჰაშეკის კარს, თუმც ამაოდ. ამასობაში გილმორი (3 პასი) და მისი პარტნიორები თავიანთ საქმეს ჩინებულად ასრულებდნენ. საბოლოოდ ჰაშეკმა ბოლო ექვს დღეში მეორე, ხოლო კარიერაში 45-ე შათაუტი მიითვალა და ნჰლ-ის ლიდერთა სიაში მე-19 ადგილიდან თვით კენ დრაიდენი განდევნა.

ასეა თუ ისე, ბრძოლა გრძელდება და ყველაფერი (ნუ დაგვავიწყდება, რომ კაროლინასაც აქვს მცირე შანსი) მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო დღეს, კვირას გაირკვევა.

ბოლო დღეს გამოვლინდება აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდიც. ატლანტასთან გამარჯვების შემდეგ ამის შესაძლებლობა მიეცა ფილადელფიას და ეს მაშინ, როცა ორი-სამი კვირის წინ ნიუ ჯერსის ლიდერობა ეჭვს არ იწვევდა.

...ოტავას მარცხის შემდეგ კი ტორონტო 1966 წლის შემდეგ პირველად მოექცა დივიზიონის სათავეში.

წლეულს კარიერას კიდევ ერთი სახელოვანი მოთამაშე დაასრულებს, 37 წლის გრანტ ფიური. 80-იანი წლების ლეგენდარული ედმონტონის ბრწყინვალე მეკარემ, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ცხადი გახდა, რომ მისი ამჟამინდელი კლუბი — კალგარი პლეი ოფში ვერ გავიდოდა. „დროა, ჩემი სხეული ამას ნათლად მაგრძნობინებს" — განაცხადა ფიურმა, რომლისთვისაც უკანასკნელი სეზონი არცთუ სახარბიელო გამოდგა — კარიერაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ჰქონდა, ტრავმის შემდეგ ადგილი ფრედ ბრეტუეიტს დაუთმო.

ბევრი უსიამოვნება შეხვდება კაროლინას ფორვარდს ანდრეი კოვალენკოს. მისმა ყოფილმა მეუღლემ, ოლგა მარჩენკომ სასამართლოში უჩივლა ქმარყოფილს, რომელიც თემიდის მსახურთა 1998 წლის გადაწყვეტილებას არ ასრულებს და სამ ტყუპისცალს ალიმენტს არ უხდის.

**სამველ ლარიბიანი**



მონრეალელმა პატრიკ ბრისბუამ (№43) ტამპელებს ორი გოლიც გაუტანა და დაცვაშიც რიგიანად გაისარჯა

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 81 | 44 | 8 | 5 | 29 | 249:202 | 101 |
| ვაშინგტონი | 80 | 43 | 11 | 2 | 26 | 222:191 | 99 |
| ტორონტო | 80 | 43 | 7 | 3 | 30 | 240:219 | 96 |
| ფილადელფია | 80 | 43 | 12 | 3 | 25 | 230:178 | 101 |
| ფლორიდა | 80 | 43 | 6 | 5 | 31 | 241:204 | 97 |
| ოტავა | 80 | 39 | 11 | 2 | 30 | 236:207 | 91 |
| პიტსბურგი | 80 | 36 | 8 | 6 | 36 | 238:232 | 86 |
| ბუფალო | 80 | 35 | 10 | 3 | 35 | 211:201 | 83 |
| მონრეალი | 81 | 35 | 9 | 4 | 37 | 195:191 | 83 |
| კაროლინა | 80 | 35 | 10 | 0 | 35 | 211:212 | 80 |
| რეინჯერსი | 81 | 29 | 12 | 3 | 40 | 217:242 | 73 |
| ბოსტონი | 80 | 23 | 19 | 6 | 38 | 207:244 | 71 |
| აილენდერსი | 80 | 23 | 9 | 1 | 48 | 190:271 | 56 |
| ტამპა | 80 | 19 | 9 | 7 | 52 | 200:301 | 54 |
| ატლანტა | 80 | 14 | 7 | 4 | 59 | 166:307 | 39 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 80 | 51 | 11 | 0 | 18 | 244:158 | 113 |
| დალასი | 80 | 43 | 9 | 6 | 28 | 207:179 | 101 |
| კოლორადო | 80 | 40 | 11 | 1 | 29 | 227:198 | 92 |
| დეტროიტი | 80 | 48 | 10 | 2 | 22 | 274:203 | 108 |
| ლოს ანჯელესი | 80 | 37 | 12 | 4 | 31 | 238:223 | 90 |
| ფინიქსი | 80 | 39 | 7 | 4 | 34 | 229:223 | 89 |
| სან ხოსე | 80 | 34 | 10 | 7 | 36 | 220:208 | 85 |
| ედმონტონი | 80 | 30 | 16 | 8 | 34 | 215:205 | 84 |
| ვანკუვერი | 80 | 29 | 15 | 8 | 36 | 218:230 | 81 |
| ანაჰაიმი | 80 | 33 | 12 | 2 | 35 | 209:222 | 80 |
| კალგარი | 80 | 31 | 10 | 5 | 39 | 207:247 | 77 |
| ჩიკაგო | 80 | 31 | 10 | 2 | 39 | 235:241 | 74 |
| ნეშვილი | 81 | 28 | 7 | 7 | 46 | 198:235 | 70 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

REUTERS მარსელიდან




მარსელი — მონაკო. მარსელელი ჟერომ ლერუა (№3) სტუმარმა პონტუს ფარნერუდმა ხელითაც ვერ შეაჩერა

## გერმანია

XXVIII ტური

ჰამბურგი 1:0 ჰანზა
1:0 გროთი (18)

უნტერჰახინგი 1:1 მიუნხენი
1:0 ზაიფერტი (47), 1:1 აგოსტინო (90)

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

მაინცი 1:1 ზანქტ პაული
ნიურნბერგი 3:1 ალემანია
ჰანოვერი 3:2 კოტბუსი

## ინგლისი

II დივიზიონი. XLI ტური

რედინგი 2:2 ჯილინგემი

## საფრანგეთი

XXX ტური

სედანი 0:1 ბორდო
მარსელი 4:2 მონაკო

## იტალია

სერია B. XXX ტური

ჩეზენა 0:0 სამპდორია

## ჰოლანდია

XXIX ტური

ალკმარი 2:0 გრააფსხაპი
სიტარდი 0:4 პსვ
ნაიმეგენი 0:0 როდა

## ბელგია

XXX ტური

მუსკრონი 1:2 ბრიუგე
სტანდარდი 1:2 ლოკერენი
ლიერსი 2:2 გეელი

## რუსეთი

III ტური

დინამო 0:0 ტორპედო

## ავსტრია

XXXVIII ტური

გრაცერი 0:4 რაპიდი

## შვეიცარია

V ტური

სენტ გალენი 1:1 ბაზელი

## თურქეთი

XXXVIII ტური

ბურსა 2:1 ფენერბაჰჩე

## პოლონეთი

XXII ტური

ამიცა 2:0 ვიძევი

## ჩეხეთი

XXIV ტური

ვიქტორია 3:1 სლავია

# აპრილია, სრიალია

*თბილისში უცბად და უსაშველოდ ჩამოცხა, შვეიცარიულ კლოსტერში კი ხალხი ახლაც დასრიალებს. თან რა ხალხი! უელსის პრინცი და ბრიტანეთის მომავალი მეფე ჩარლზი, უფლისწული უილიამი (მარჯვნივ), ვინც სამეფო ოჯახის საუკეთესო მოთხილამურედ ითვლება და ჰარი, „არსენალის“ ფანი. ჰარის ხუთშაბათს „ჰაიბერიზე“ ყოფნა ერჩივნა, მაგრამ ძმასთან და მამასთან ერთად გოშნას მთაზე აღმოჩნდა.*

REUTERS კლოსტერსიდან




REUTERS



# ხმა მიეცით ზედილიოს!

*ხვალ მექსიკაში არჩევნები ნაღდად არ ტარდება, თუმცა იქაურთა პრეზიდენტი ერნესტო ზედილიო ჩვეულებრივ დღეებშიც ბევრს დადის და ხალხს ხელს ართმევს. ამჯერად მექსიკის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების წევრს რაფაელ მარკესს დასდო პატივი. მისი გუნდი სიდნეი 2000-ის შესარჩევი ტურნირისთვის გვადალახარაში ემზადება.*

# თეთრია თუ შავია...

მარცხენა ფოტოზე ვინც ჩანს, ყველა დასაჭერია. აბა, კაცს XXI საუკუნეში ესესი, გესტაპო, ჩეკა და კაგებე რომ მოენატრება, სხვა რა უნდა უყო. მარჯვენა ფოტო კი გამოცანაა, რომლის პასუხსაც აქვე გაახლებთ: ეს სოფიის ლევსკის ქომაგთა ზეიმია მაშხალებითა და მსგავსი რამე-რუმეებით. ორივე ფოტო ბულგარეთის თასის ნახევარფინალის დროსაა გადაღებული და სოფიური დერბის ჩრდილოვან მხარეებს ააშკარავებს.




REUTERS სოფიიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli